პრეზიდენტის რადიოფანატებს საკბილო შემოაკლდათ A3

რუსი ჯარისკაცები მაისიდან ხელფასებს ლარებში მიიღებენ A6

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 25 მარტი, 2003 წელი. №82 (294)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### „ამ ფაქტის უკან რაღაც დგას„...

"მუხროვანის ფაქტთან დაკავშირებით, სამხედრო მოსამსახურეებს ვაპატიეთ, ახლა პატიებაზე ლაპარაკი აღარ შეიძლება. ყველაფერი დეტალურად უნდა გამოვიძიოთ და დამნაშავეებს პასუხი მოვთხოვოთ", - საქართველოს პრეზიდენტი ისანში დისლოცირებულ სამხედრო ნაწილში მომხდარი ინციდენტის ორგანიზატორების, ყოფილი გვარდიელების დასჯას მოითხოვს.

A3

## ომი

### ბლერი: გადამწყვეტი მომენტი ახლოვდება

მოკავშირეთა ჯარების ავანგარდი, აშშ არმიის "ვ" კორპუსი ბაღდადს 100 კილომეტრის მანძილზე მიუახლოვდა – ამის შესახებ ორშაბათს ტონი ბლერმა განაცხადა.

A4

## უცხოეთი

### „ჩეჩნების 95-მა პროცენტმა ხმა მისცა ახალი კონსტიტუციის მიღებას„

კვირას ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად, ჩეჩნეთი რუსეთის შემადგენლობაში დარჩება. მალე ჩეჩნეთში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსაც აირჩევენ.

A5

## ეკონომიკა

### რას გვთავაზობს ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი

პროექტი სრულად ითვალისწინებს საქართველოს სინამდვილეში არსებულ პრობლემებს, მათ სპეციფიკურობას და შეიცავს მათი გადაჭრის ქმედით მექანიზმებს, რომლებიც შემუშავებულია ქართული და საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე.

A6

## სამართალი

### ექიმები ნარკოვაჭრების სამსახურში

კურორტმა წყალტუბომ, რომელიც წარსულში უებარი სამკურნალო აბანოებითა და კომფორტული სანატორიუმებით გახლდათ ცნობილი, საკურორტო ფუნქცია დაკარგა და ახალი ფუნქცია შეიძინა - ქალაქი რეგიონში ნარკოტიკების გასაღების ყველაზე სერიოზულ კერად იქცა.

A7

## საზოგადოება

### ვისაც ომი გაშინებთ

საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტის რეკომენდაციები

A8

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 10 | |
| ქუთაისი | 13 | |
| ბათუმი | 9 | |
| სოხუმი | 11 | |
| ფოთი | 11 | |
| თელავი | 9 | |
| ზუგდიდი | 12 | |
| გორი | 8 | |
| ახმეტა | 9 | |
| ჭიათურა | 12 | |
| გაგრა | 10 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1400 |
| ევრო | 2.2748 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3632 |
| რუბლი | 0.0682 |

# კოალიცია ბაღდადს უახლოვდება



უდაბნოს თეთრი ღამე.

REUTERS

ლევან ღირსიაშვილი

### ჰუსეინმა ერაყელები გაამხნევა

ერაყის ომის მეხუთე დღე პრეზიდენტ სადამ ჰუსეინის სატელევიზიო მიმართვით დაიწყო. ერაყის ნაციონალური ტელევიზიით მისი გამოსვლა მსოფლიოს თითქმის ყველა წამყვანმა ტელეარხმა პირდაპირ ეთერში გადასცა. სადამ ჰუსეინმა განაცხადა, რომ ანტიერაყულმა კოალიციამ **"ერაყელების შესაძლებლობა სათანადოდ ვერ შეაფასა." ჰუსეინის** თქმით, ერაყში ომი **"ხანგრძლივი და მძიმე იქნება,"** თუმცა, იქვე დასძინა: **"გამარჯვება ახლოსაა. ჩვენმა არმიამ გმირობის დემონსტრირება მოახდინა, ხოლო მტერმა თავისი მოქმედებით საკუთარი ბოროტება გამოამჟღავნა."** ერაყის ლიდერმა ერაყის არმიის სარდლობას და ჯარისკაცებს მადლობა გადაუხადა. მან განსაკუთრებულად გამოჰყო ერაყის არმიის მე-11 და 45-ე ბრიგადები, რომლებმაც საპორტო ქალაქ უმ ალ-კასრში კოალიციის ძალებს გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს. **"ერაყის არმია დიდ წინააღმდეგობას უწევს მტერს. ყველა გმირია. მტერს დიდი სიძნელეები შეექმნა. დახვდით მათ და არ დაინდოთ, ერაყის გმირებო! გაუსწორდით, ვიდრე მიხვდებიან, რომ ჩვენსა და კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენა აღარ შეუძლიათ. მტრისთვის ყელის გამოჭრის უფლება თავად ღმერთმა მოგვცა. დახმარებას თავად ღმერთი შეგვპირდა. ალაჰმა პირობა მოგვცა, რომ დამპყრობლები დამარცხდებიან,"** - განაცხადა ერაყის პრეზიდენტმა.

გაგრძელება A4 გვერდზე

## საქართველოს საბრძოლო მზადყოფნა მორიგი სამხედრო ავანტიურის ფონზე

*იმ ადამიანებს, ვინც უსაფრთხოების საკითხების თვალსაზრისით საქართველოს ხელისუფლებას ზედმეტ თავდაჯერებულობაში ადანაშაულებს, 24 მარტს კრიტიკის ახალი საბაბი მიეცათ. ორშაბათ საღამოს, ორიოდე ათეული ყოფილი გვარდიელისგან შემდგარმა რაზმმა სრულიად დაუბრკოლებლად შეძლო თბილისის ცენტრში მდებარე სამხედრო ნაწილში შეღწევა, იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის ხელში ჩაგდება და შტაბში გამაგრება. ამ სამხედრო ავანტიურამ მთელი სიცხადით დაადასტურა, თუ სინამდვილეში რას წარმოადგენს, სასიცოცხლო ობიექტების დაცვის მიზნით, საქართველოს ხელისუფლების მიერ გამოცხადებული განსაკუთრებული ზომები.*

კობა ლიკლიკაძე
*"რადიო თავისუფლება"*
*სპეციალურად "24 საათისთვის"*

ანტიერაყული კოალიციის წევრისა და ნატო-ს წევრობაზე მეოცნებე საქართველოსთვის ყველაზე სუსტი წერტილი კვლავაც საკუთარი არამოტივირებული სამხედრო სისტემაა. ბოლო სამი წლის განმავლობაში ქვეყანამ სხვადასხვა მასშტაბის სამხედრო მღელავარება გადაიტანა: 2001 წელს 25 მაისს ეროვნული გვარდიის ოპერატიულმა პოლკმა წამოიწყო სამხედრო ამბოხი სოფელ მუხროვანში, 2002 წლის მარტში შინაგანი ჯარის 40-მა მებრძოლმა მიატოვა საბრძოლო საგუშაგოები პანკისის ხეობაში, იმავე წლის ივლისში პროტესტის ნიშნად გადადგომის შესახებ 102-მა ქართველმა ოფიცერმა დაწერა განცხადება.

სამხედრო სტრუქტურისთვის მიუღებელი ფორმით გამოხატული თითოეული საპროტესტო აქციის უკან, თითქმის მსგავსი ჟღერადობის მიზეზები დგას: არმიის დაუფინანსებლობა, ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობების უქონლობა, მეთაურის მხრიდან პირადი შემადგენლობის აბუჩად აგდება, მმართველობის დრომოჭმული სტილი, კორუფციული ურთიერთობები და გაურკვეველი მომავალი. მსგავსია საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულებაც: შესაბამისი სტრუქტურის ხელმძღვანელები პოსტფაქტუმ აცხადებენ, რომ ჰქონდათ წინასწარი ინფორმაციები მღელვარების მზადების შესახებ. მაგრამ არასოდეს არ მიჩნევენ საჭიროდ, დააზუსტონ, თუ რატომ ვერც ერთ შემთხვევაში ვერ მოხერხდა დანაშაულის პროფილაქტიკა.

ხელისუფლების ხელწერა არ იცვლება სამხედრო მღელვარების შეფასების საკითხშიც: ყოველთვის ხაზი ესმება სამხედრო ამბოხის უკან მდგარ რაღაც "მესამე ძალასა" თუ "მეხუთე კოლონას". ოღონდ ეს არის, რომ რეალურად ვერც ერთ შემთხვევაში ვერ იქნა აღმოჩენილი ის ძალა, ვინც პერმანენტულად არის დაინტერესებული

გაგრძელება A2 გვერდზე

## სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, თუ სასოწარკვეთილთა შეიარაღებული პროტესტი

რა ინფორმაციებს ფლობდნენ ძალოვნები



თამარ კაციტაძე

საქართველოს პრეზიდენტი იმ ვეტერან ჯარისკაცთა უმკაცრეს დასჯას ითხოვს, რომელთა ქმედებამაც, მისივე თქმით, "საფრთხე შეუქმნა ქვეყნის უსაფრთხოებას". **"ჩემი აზრით, ეს შემთხვევითი ინციდენტი არაა. ის პირები, ვინც ქალაქს ტანკებით ემუქრებოდნენ, კანონის მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯონ,"** - აცხადებს ედუარდ შევარდნაძე.

პრეზიდენტის განცხადების თანახმად, უმკაცრესი სასჯელები ელით იმ ამბოხებულ ვეტერან მებრძოლებს, რომლებიც 23 მარტს, დაახლოებით 22.40 საათზე გვარდიის სამხედრო ბაზაზე შეიჭრნენ.

ვეტერანებმა, რომლებიც დღემდე სოციალური პრობლემების მოგვარებას მშვიდობიანი აქციებით ითხოვდნენ, იარაღი აიღეს ხელში და სამხედრო ნაწილში გამაგრდნენ. ყოფილმა სამხედროებმა გარანტიების

გაგრძელება A7 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ომი A5 უცხოეთი A6 ეკონიმიკა A7 სამართალი A8 საზოგადოება

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

## არძინბას წინააღმდეგ აფხაზეთში სახალხო მოძრაობა იწყება

აფხაზეთში არძინბას რეჟიმის წინააღმდეგ სახალხო მოძრაობა იწყება. რამდენიმე დღის წინ სოხუმში გავრცელდა პროკლამაციები, რომლითაც ხალხს არძინბასა და მისი რეჟიმის დამხობისკენ მოუწოდებდნენ. სეპარატისტთა უშიშროების მინისტრი ზურაბ აგუმა ამჟამად ამ პროკლამაციების ავტორებისა და მათ უკან მდგომი ძალების დადგენაზე მუშაობს. არძინბას რეჟიმის წინააღმდეგედ გამოდს არა მარტო ოპოზიციური პარტია „აიტაირა" (აღორძინება), არამედ აფხაზეთში მოქმედი სხვა გავლენიანი პოლიტიკური ძალებიც.

სარწმუნო წყაროს ცნობით, არძინბას კლანს უკვე სერიოზულად დაუპირისპირდა აფხაზ მეომართა კავშირი „ამცახარაც", რომლის დამფუძნებელიც თავის დროზე თავად არძინბა იყო. **მედია-ნიუსი**

## ოსაძის კომისია პარლამენტში უშიშროების მინისტრს იბარებს

პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია დაახლოებით ორ კვირაში აპირებს სხდომის გამართვას, რომელზეც პარლამენტარ ჯუმბერ პატიაშვილის განცხადების საფუძველზე შესწავლილი საკითხის შესახებ მომზადებულ დასკვნას წარმოადგენს.

განცხადება სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში კონსტიტუციის დარღვევის ფაქტებს და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს ეხებოდა.

კომისიამ უშიშროების სამინისტროს ხუთ ოფიცერს ახსნა-განმარტებითი ბარათი ჩამოართვა ანტიტერორისტული ცენტრის იმ გეგმასთან დაკავშირებით, რომლის ასლიც პატიაშვილს ხელში ჩაუვარდა. სამინისტროს თანამშრომლებმა დოკუმენტის ნამდვილობა დაადასტურეს და აღიარეს, რომ გეგმაში შეტანილი იყო ზოგიერთი მუხლი, რომელიც მოქმედ კანონმდებლობას და კონსტიტუციას ეწინააღმდეგება.

კომისიას გადაწყვეტილი აქვს, ამ საკითხთან დაკავშირებით პარლამენტში მოიწვიოს უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანიაც, რომელმაც ადრე განაცხადა, რომ ანტიტერორისტული ცენტრის სამოქმედო გეგმას ხელი არ მოაწერა. მიღებული დასკვნის საფუძველზე, კომისიის სხდომაზე, სავარაუდოდ, პასუხისმგებელ პირთა ვინაობაც დაკონკრეტდება.

ცნობილია, რომ ანტიტერორისტული ცენტრის გეგმა 2001 წლის დეკემბერში შედგა და ხელმოსაწერად ამავე წლის ნოემბერში უშიშროების მინისტრად დანიშნულ ხაბურძანიას გადაეცა. **მედია-ნიუსი**

## მოკლედ

**თბილისი.** თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე აცხადებს, რომ ძალოვანი სტრუქტურები ფლობდნენ ინფორმაციას პროვოკაციის მზადებასთან დაკავშირებით, თუმცა არ იცოდნენ, რომელ სამხედრო ნაწილს დაესხმოდნენ თავს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თავდაცვის ყოფილი მინისტრი თენგიზ კიტოვანი აცხადებს, რომ ერთადერთი მიზეზი, რამაც ვეტერან-გვარდიელთა აჯანყება გამოიწვია, "მძიმე სოციალური მდგომარეობაა, რომელშიც ისინი ხელისუფლების წყალობით აღმოჩნდნენ...რაც მოხდა, კვლავ განმეორდება, თუ დამოკიდებულება არ შეიცვლება". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ეჭვი გამოთქვა საქართველოში ერაყელი ლტოლვილების გამოჩენასთან დაკავშირებით. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებას აპირებს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მესაზღვრეებმა რუსეთის საზღვართან, ლესელიძეში საკონტროლო გამშვები პუნქტი გახსნეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოსა და ნატოს შორის ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმა ბრიუსელში მიმდინარე კვირას დამტკიცდება. **პრაიმ-ნიუსი**

„ხალხის პირისპირ" - ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს).

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ქსეროასლით

შეკითხვის ტექსტი | პასუხის ტექსტი

1

2

3

4

5

სახელი და გვარი
ბინის მისამართი
სამსახურის ტელეფონის ნომერი
ბინის ტელეფონის ნომერი
მობილური ტელეფონის ნომერი

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

# სადავოსა და საჩხუბარს პარლამენტში რა გამოლევს!

გიორგი ასანიშვილი

ერაყში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებს ქართველი სამხედროები ერთობ ორიგინალურად გამოეხმაურნენ. იანკებისა და სადამ ჰუსეინის ქვეშევრდომების დაპირისპირებამ საქართველოს ეროვნული გვარდიის ვეტერანთა გულებიც ააძგერა და იარაღის აჟღარუნების ხასიათზე მოიყვანა. ამჟამად ძნელია იმის თქმა, სამხედრო ისტორიკოსები როგორ შეაფასებენ სოფელ ხანდაკიდან ისანი-სამგორის რაიონში განლაგებული სამხედრო ნაწილის მიმართულებით განხორციელებულ "მარშბრასოკს". ამ "მანევრის" შესახებ, ჯერჯერობით, პარლამენტშიც ერიდებიან კომენტარს. ყოველ შემთხვევაში, ბიუროს გუშინდელ სხდომაზე ირაკლი ბათიაშვილმა გვარდიელების საქციელზე საუბარი მიზანშეწონილად არ მიიჩნია და უარი განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარის შეთავაზებაზე - მომხდარის თაობაზე დეპუტატებისთვის ინფორმაცია მიეწოდებინა.

**"ისედაც ყველამ ყველაფერი იცის და ამაზე მსჯელობა აღარ არის საჭირო,"** - პირში წყალი ჩაიგუბა თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ. ისე, ძნელი დასაჯერებელია, რომ მართლაც "ყველამ ყველაფერი იცის". მთლად ასეც რომ არ არის საქმე, ალბათ, დღევანდელი პლენარული სხდომაც დაგარწმუნებთ, რომლის მიმდინარეობისას აუცილებლად გამოჩნდებიან დეპუტატები, რომლებიც "საკითხის ბოლომდე გარკვევას" შეეცდებიან.

თუმცა, სავარაუდოა, რომ გვარდიელთა ამბოხების თემა მაინც მალე მიეცემა დავიწყებას - ამ კვირაში საკანონმდებლო ორგანოში იმდენი დამაინტრიგებელი საკითხია განსახილველი, რომ ეს "წვრილმანი ამბავი" ბევრს აღარც გაახსენდება.

პირველ რიგში, საინტერესოა იმის გარკვევა, დაიძლია თუ არა კონფლიქტი, რომელიც ორი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა და ე.წ "თემატურმა უმრავლესობამ" "საპარლამენტო კრიზისად" მონათლა. ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი დარწმუნებულია, რომ კრიზისი გრძელდება.

**"ნუ გავიწყდებათ, რომ ჩვენს ფრაქციას, პროტესტის ნიშნად, სხდომათა დარბაზი დატოვებული აქვს და, კონსულტაციების გარეშე, მუშაობის განახლებას არ აპირებს,"** - აცხადებს რჩეულიშვილი, რომელიც, ამასთან, კოლეგებს საქმის კურსში აყენებს, რომ ოთხაშაბათს ისევ მიემგზავრება მოსკოვში.

**"თქვენი ვეღარაფერი გავიგე, ბატონო ვახტანგ: ამბობთ, საპარლამენტო კრიზისიაო და ასეთ დროს რუსეთში გარბიხართ?"** - სოციალისტების "ლოგიკამ" მთლიანად დააბნია გუშინ პარლამენტის თავმჯდომარე.

რჩეულიშვილისგან განსხვავებით, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გოჩა პაიჭაძე მიიჩნევს, რომ არანაირი საპარლამენტო კრიზისი არ არსებობს და დეპუტატების ბობოქრობა ბუნებრივი ამბავია.

**"აბა, ის იყო კარგი, მმართველი ფრაქციის თავმჯდომარე რომ ასწევდა ხოლმე ხელს და ყველა ერთსულოვნად ეძგერებოდა პულტებს?"** - "მოქალაქეთა კავშირის" აღზევების პერიოდს იხსენებს "აღორძინების" წარმომადგენელი.

მიმდინარე სასესიო კვირის მთავარი თემა, ალბათ, მაინც ახალი საგადასახადო კოდექსის განხილვა გახდება. როგორც ცნობილია, "მრეწველები" უკვე დიდი ხანია, ამ საკითხს ლობირებენ და ბოლოს, როგორც იქნა, მიაღწიეს საწადელს - დღეს ზურაბ ტყემალაძე საკანონმდებლო კორპუსს კანონპროექტს წარუდგენს, რომელიც ამჟამად მოქმედ საგადასახადო კოდექსთან შედარებით, თითქმის საერთო აზრით, ბევრად უფრო ლიბერალურია.

თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ახალ კოდექსს მწვანე შუქი გარანტირებული აქვს. მართალია, ტყემალაძე აღნიშნავს, რომ კანონპროექტს მხარს უჭერენ პრეზიდენტი შევარდნაძე და ფინანსთა მინისტრი გოგიაშვილი, მაგრამ აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც და პარლამენტის პროსამთავრობო ფრაქციებშიც აუცილებლად გამოჩნდება ხალხი, ვისაც ეს დოკუმენტი გაალიზიანებს. ამის პრეცედენტი ბიუროს გუშინდელ სხდომაზევე გაჩნდა: მიუხედავად იმისა, რომ "მოქალაქეთა კავშირიცა" და "მრეწველებიც" "თემატურ უმრავლესობაში" შედიან, ფრაქცია "მოქკავშირის" თავმჯდომარე ვიტალი ხაზარაძე ახალი საგადასახადო კოდექსის განხილვის დაწყების ცნობას საკმაოდ ცივად შეხვდა, პოლიტიკური პარტნიორის წყენინებას არ მოერიდა და ზურაბ ტყემალაძეს მიუთითა, რომ კანონპროექტზე მუშაობას უფრო "ფაქიზად" უნდა მოჰკიდებოდა.

**"ვიტალის ბევრი გამონათქვამი პოპულარობით არ სარგებლობს და მის ნათქვამს გულთან ახლოს ნუ მიიტან,"** - აღელვებული ტყემალაძე მისმა თანაფრაქციელმა დავით სალარიძემ ძლივს დაამშვიდა.

სამაგიეროდ, ვერაფრით მშვიდდებიან სოციალისტები: მას შემდეგ, რაც ხელისუფლების სამსახურში ჩადგნენ, ვახტანგ რჩეულიშვილის თანაფრაქციელებს მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციების შემადგენლობების გადასინჯვის იდეა მუდმივად ულიტინებთ.

**"როგორი ამბავია, პარლამენტის პოლიტიკური კომპოზიცია, დიდი ხანია, შეიცვალა, საკვანძო დელეგაციებში კი ისევ ძველი ხალხი, ამჟამინდელი ოპოზიციის წარმომადგენლები შედიან!"** - აღშფოთებულია სოციალისტების საპარლამენტო ფრაქციის ლიდერი ირაკლი მინდელი.

მისმა დაჟინებამ, როგორც ჩანს, ნაყოფი გამოიღო: ოპოზიციამ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და დათანხმდა, რომ სხდომაზე განხილვამდე, ამ საკითხზე კონსულტაციები დაიწყოს. ოღონდ, ახლავე ნათელია, რომ "სეკვესტრი" "გაერთიანებული დემოკრატების" ფრაქციის თავმჯდომარეს არ შეეხება - უმრავლესობის წევრთა თქმით, ნატო-ს "ფლანგზე" გიორგი ბარამიძის მუშაობით კმაყოფილები არიან და მისი "სამართალმემკვიდრის" ძებნას არ აპირებენ. ამ პირობის სანაცვლოდ, სოციალისტები ელენე თევდორაძისა და ელდარ შენგელაიას "თავებს" ითხოვენ. მოახერხებენ თუ არა "დემოკრატები" თანაფრაქციელების დაცვას, კონსულტაციების შედეგები გვიჩვენებს.

მიმდინარე პლენარული სხდომის დღის წესრიგში კიდევ ორი ფეთქებადსაშიში საკითხია შეტანილი: პრეზიდენტის ვეტო 115-ლარიან მინიმალურ ხელფასზე და აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების მთავრობისეული კონცეფცია. სადავოსა და საჩხუბარს პარლამენტში რა გამოლევს!



იური მეჩითოვის ფოტო

*ხაზარაძის ხალისიანი წინადადებები აშკარად არ მოსწონთ თანაფრაქციელებს.*

# საქართველოს საბრძოლო მზადყოფნა მორიგი სამხედრო ავანტიურის ფონზე

პირველი გვერდიდან

საქართველოში სამხედრო ავანტიურის ორგანიზებით. მეტიც, ხელისუფლების რეაქცია ზოგჯერ მოულოდნელიც კია - 2001 წლის მაისის მუხროვანის ამბოხების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, პოლკოვნიკი გია კრიალაშვილი უკრაინაში სამხედრო ატაშედ დაინიშნა, პოლკოვნიკი კობა ოთანაძე კი სხვა უწყებაში ასევე მაღალ თანამდებობაზე იღვწის. ერთადერთი, ვინც ყველაზე სასტიკად დაისაჯა, ვიცე-პოლკოვნიკი ნიკოლოზ ჯანჯღავაა, რომელსაც წოდება ჩამოართვეს და არმიის რიგებიდან დაითხოვეს. ჯანჯღავას მიერ გამოხატული პროტესტი - მინისტრ თევზაძის პოლიტიკის გაკრიტიკება საჯარო გამოსვლებში – მართალია, იმსახურებდა დისციპლინურ სასჯელს, მაგრამ, წინა შემთხვევებისგან განსხვავებით, არ გასცდენია ცივილიზებული პროტესტის ფორმას.

ორშაბათს, 24 მარტს ვეტერანი გვარდიელების მიერ სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე შეჭრა, შტაბისა და შეიარაღების ხელში ჩაგდება და ხელისუფლების მიმართ ულტიმატუმის წაყენება არც ერთ ზემოხსენებულ საპროტესტო აქციას არ ჰგავს.

მაგრამ, გარე ძალების დაუბრკოლებელი შეჭრა სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე, შესაძლოა, კიდევ უფრო საშიში პრეცედენტი იყოს და იგი, ძალაუნებურად, აღძრავს ეჭვს, რომ სამხედრო სისტემისა და უსაფრთხოების ძალების თანდაყოლილი სისუსტის პირობებში, კვლავაც მაღალი ალბათობით არსებობს მომავალი სამხედრო მღელვარებების შესაძლებლობები. მთელ ამ ჯაჭვში ეროვნული გვარდია, მასში მიმდინარე რეფორმების რთული პროცესის გამო, ერთ-ერთი სუსტი რგოლია, მაგრამ არამცდაარამც - ერთადერთი.

ერთგვარ სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ 24 მარტის სამხედრო ავანტიურა მხოლოდ ექვს საათს გრძელდებოდა (რაც ლოკალიზების პროცესში მონაწილე "კომანდოს" ბატალიონის ფაქტორით უნდა აიხსნას) და მასში უკვე აღარ მონაწილეობდნენ ცნობილი სახელები სამხედრო უწყებიდან. მარტიაშვილი და გალდავა ხომ მხოლოდ ვეტერანის სტატუსით სარგებლობენ და შევარდნაძის ერთ-ერთი ყველაზე ოდიოზური ოპონენტის - თენგიზ კიტოვანის თანამოაზრეები არიან. შესაბამისად, მათ მიმართ კანონის მთელი სიმკაცრით ამოქმედებისას ხელისუფლებას ხელი აღარ აუკანკალდება.

საქართველოში ხომ დიდი ხანია, არავინ დასჯილა სამაგალითოდ!

# კოკოითის გლობალური აზროვნება მოსკოვს ვერ სცდება

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

კოკოითი რუსეთის დედაქალაქში მართლა შიშმა ჩაიყვანა და პრესკონფერენციაც გამართა "იზვესტიას" მედიაცენტრში, მყვირალა, მაგრამ აქტუალური სათაურით - **"სამხრეთ ოსეთის მომავალი – რუსეთთან ერთად".**

"ბატონმა პრეზიდენტმა" (ასე მიმართავდნენ გუშინ რუსი ჟურნალისტები კოკოითს) "იზვესტიაში" წაიკითხა განცხადება და ცდილობდა, გლობალურად გაეანალიზებინა ერაყის ომის შესაძლო შედეგები. კოკოითმა ძირითადი ყურადღება დაუთმო ომის შედეგად დარღვეულ სეისმოლოგიურ ბალანსს და კავკასიას, გამწარებული რუსი გენერლების მსგავსად, დიდი მიწისძვრები უწინასწარმეტყველა. ისევე, როგორც რუსი გენერლები, კოკოითიც სრულიად უდრტვინველად მსჯელობდა მთელი კავკასიის დანგრევაზე, რადგან ლამპასებიანი მრჩევლების მსგავსად, იგიც მოსკოვში უფრო მეტ დროს ატარებს, ვიდრე ცხინვალში.

რასკვირველია, კოკოითმა საქართველოსაც გაჰკრა კბილი:

**"ეს შეთანხმება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ამერიკელ სამხედროებს შეუზღუდავ უფლებებს აძლევს. ფაქტობრივად, საქართველო უკვე აღარ არის სუვერენული სახელმწიფო, აძლევს რა უცხოელ სამხედროებს უვიზო და უპასპორტო ყოფნის უფლებას."** იქვე, საქართველოს მომავალზე გულდამწვარმა სეპარატისტმა საკუთარი ქვეყნის ნათელ მომავალზე გააკეთა მედიდური განცხადება:

**"ასეთ სიტუაციაში სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა კიდევ მეტად განამტკიცებს საკუთარ გადაწყვეტილებას რუსეთის ფედერაციასთან შემდგომ დაახლოებაზე და გადაწყვეტილი აქვს, მიმართოს რუსეთის ხელმძღვანელობას შემდეგი წინადადებით: გაზარდოს ქართულ-აფხაზეური კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობოთა კონტიგენტი, აგრეთვე გამოყოს იქ ტერიტორია საქართველოდან გაყვანილი რუსეთის სამხედრო ბაზების განსალაგებლად,"** - ასეთია ამერიკისგან და საქართველოსგან კავკასიის დახსნის კოკოითისეული სტრატეგია.

**"24 საათი": ეს მიმართვა თუ გადაეცით რუსეთის ხელისუფლებას და როგორი რეაქცია იყო მათი მხრიდან?**

- ჯერ არ გადაგვიცია. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა და პარლამენტმა 2003 წლის 15 იანვარს მივმართეთ რუსეთის სახელმწიფო სათაბიროსა და ხელისუფლებას, განიხილონ სამხრეთ ოსეთის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლის საკითხი.

**- მაგრამ, ამავე დარბაზში, სულ რამდენიმე კვირის წინ, ალექსანდრ ძასოხოვი გვარწმუნებდა, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირება საიმედო ხელშია და საქართველოს პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელს რჩეულიშვილს აქებდა. თქვენ საწინააღმდეგო მოსაზრება გაქვთ?**

- დღეს საქართველოს ხელისუფლებას არ აქვს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანი გზით გადაჭრის პროგრამა. ოთხი თვე გავიდა კონფლიქტის ზონის ეკონომიკურ აღდგენაზე დაპირების შემდეგ, პრაქტიკულად კი არაფერი კეთდება. საქართველოს ხელისუფლების მოქმედება მიმართულია კავკასიის ხალხთა გაყოფისაკენ, საერთაშორისო ტერორისტებთან თანამშრომლობისაკენ.

**- გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსეთიდან სამხრეთ ოსეთში შედის მძიმე ტექნიკა და სხვადასხვა სახის შეიარაღება...**

- არის ის, რაც სამშვიდობო მანდატითაა განსაზღვრული, ისიც სავალალო მდომარეობაში, დაჟანგდა და გაცვდა.

**- თქვენი საბოლოო მიზანი ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანებაა?**

- 1992 წელს ოსი ხალხის 99 პროცენტმა ხმა მისცა ამ გაერთიანებას. ჩვენ დღეს მოვითხოვთ ჩვენს ძმებთან, ჩრდილოელ ოსებთან გაერთიანებას.

**- ე.ი. რუსეთის შემადგენლობაში შესვლას?**

- აშშ-ს აგრესიის მხარდაჭერა ეწინააღმდეგება ჩვენს პრინციპებს. ერაყში ომის შედეგები კავკასიისათვის კატასტროფული შედეგით დასრულდება, ამიტომ ჩვენ დახმარებას რუსეთის ფედერაციაში ვეძებთ.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# „ამ ფაქტის უკან რაღაც დგას"...

## პრეზიდენტი ამბოხებული ვეტერანების დასჯას მოითხოვს

ვერიკო თევზაძე

*"მუხროვანის ფაქტთან დაკავშირებით, სამხედრო მოსამსახურეებს ვაპატიეთ, ახლა პატიებაზე ლაპარაკი აღარ შეიძლება. ყველაფერი დეტალურად უნდა გამოვიძიოთ და დამნაშავეებს პასუხი მოვთხოვოთ", - საქართველოს პრეზიდენტი ისანში დისლოცირებულ სამხედრო ნაწილში მომხდარი ინციდენტის ორგანიზატორების, ყოფილი გვარდიელების დასჯას მოითხოვს.*

**"ეს მოვლენა შემთხვევითი არ არის. ალბათ, რაღაც დგას ამ ფაქტის უკან. გამოძიება ყველაფერს დაადგენს".** პრეზიდენტს ამბოხის მოტივებზე საუბარი, ჯერჯერობით, ნაადრევად მიაჩნია. შევარდნაძის ინფორმაციით, უახლოეს მომავალში, შესაძლოა, უშიშროების საბჭო შეიკრიბოს. იგი, ძირითადად, ამბოხების მიზეზებზე იმსჯელებს – შეიძლება თუ არა ამგვარი საპროტესტო გამოსვლების თავიდან აცილება.

**"ქართულ-ამერიკული ურთიერთობების გააქტიურებისას სამხედროებიც აქტიურდებიან ხოლმე. ხომ არ ფიქრობთ, რომ ისინი რომელიმე ქვეყნიდან იმართებიან?"** - ამ შეკითხვაზე პრეზიდენტის პასუხი ასეთია:

**"არაფერი არ არის გამორიცხული, ოღონდ ქვეყანას არ ვგულისხმობ, მხედველობაში მაქვს ქვეყნის გარკვეული ძალები, რომლებიც შეიძლება დაინტერესებულნი იყვნენ საქართველოში არასტაბილურობით."**

გუშინდელი ბრიფინგი, ბუნებრივია, ომის თემას ვერ ასცდა. შევარდნაძის განცხადებით, საქართველოს აეროპორტიდან ერაყი არ დაბომბილა. **"ამის თაობაზე ამერიკულ მხარეს, ჯერჯერობით, არ მოუმართავს. ისე, ჩვენ ყველა ვარიანტისთვის მზად უნდა ვიყოთ. საქართველოში არის ისეთი აეროპორტები, რომლებიც საერთაშორისო ფრენებს მოემსახურებიან."**

**"თავის ერთ-ერთ წერილში ბუში მწერს, ცოტაც გვადროვეთ და აფხაზეთისთვისაც მოვიცლითო"**, - ამბობს ედუარდ შევარდნაძე და დარწმუნებულია, რომ ერაყის ომის დასრულების შემდეგ აფხაზეთის პრობლემა, საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნების, უპირველესად კი - ამერიკის აქტიური მხარდაჭერით, მალე მოგვარდება. თუმცა, შევარდნაძე ამ პროცესში რუსეთის მონაწილეობასაც არ გამორიცხავს.

პრეზიდენტი თავს იწონებს იმით, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება ბიუჯეტის შესრულებას თავსართმევს. **"მართალია, ბევრი ნაკლი გვაქვს, მაგრამ აღმასრულებელი ხელისუფლება, ავად თუ კარგად, თავის ფუნქციას ასრულებს. ბიუჯეტის შესრულების მხრივ, საქმე განსაკუთრებით კარგად არის. ავთანდილ ჯორბენაძე 24-საათიან რეჟიმში მუშაობს, ასევე აქტიურად მოქმედებენ ფინანსთა სამინისტრო, ძალოვანი უწყებები."**


საქინფორმი

პრეზიდენტი ყველაფრით კმაყოფილია.

ჟურნალისტებმა პრეზიდენტს სპორტის სასახლის შენობის შესაძლო გაყიდვის შესახებ შეკითხვა დაუსვეს (თანაც, დაამატეს, რომ პრივატიზებას ის კაცი აპირებს, რომელიც საქართველოში ყველაფერს ყიდულობსო).

**"ამას წინათ, მე და ვანო ზოდელავა ერთად ვიყავით სპორტის სასახლეში. ბატონმა ვანომ დამიდასტურა, რომ ეს შენობა ქალაქის ბალანსზე იმყოფება. მართალია, სპორტის სასახლის შენახვა ძვირი ჯდება, მაგრამ იმდენად მნიშვნელოვანი ობიექტია, რომ ეს უნდა შევძლოთ,"** - თამამად აცხადებს ბატონი პრეზიდენტი და დასძენს, რომ კაცს, რომელიც ყველაფერს ყიდულობს, ჯერჯერობით, კანცელარიის შენობისთვის არ მიუკითხავს...

პრეზიდენტის საკმაოდ მშვიდ ბრიფინგზე წუთიერი გამოცოცხლება და ჟურნალისტების გაღიზიანება გამოიწვია კანცელარიის პრესსამსახურის ახალმა გადაწყვეტილებამ, რომელიც "B" და "C" კატეგორიის აკრედიტაციის ბარათის მქონე ჟურნალისტებს ბრიფინგზე დასწრებას უკრძალავს. გუშინ გამონაკლისი, გაზეთ "24 საათის" ხათრით, მასმედიის ყველა წარმომადგენლისთვის დაუშვეს და განგვიმარტეს, რომ მომავალში მსგავსი რამ აღარ განმეორდება. **"თუ ინფორმაციის მიღება გსურთ, კინოდარბაზში ფერადი, ფართოეკრანიანი მონიტორი დგას, მიბრძანდით და იქ უყურეთ...",** - ასეთია კანცელარიის პრესცენტრის თანამშრომლის, სოსო ტყეზუჩავას ლოგიკა. ამბობენ, მედალს ორი მხარე აქვსო: მართალია, "B " და "C " კატეგორიის ბარათების მქონე ჟურნალისტები ბრიფინგს, რატომღაც, "ცოცხლად" ვერ დაესწრებიან და ვერც შეკითხვას დასვამენ, მაგრამ, თუ რომელიმე მათგანს ოჯახში შავთეთრი და ვიწროეკრანიანი ტელევიზორი უდგას, აშკარად გაუმართლა...

# რუსთავის არჩევნების გაგრძელება - სასამართლო სერიალი

მერაბ მეტრეველი

რუსთავის არჩევნები, როგორც ჩანს, მანამ იქნება დავის საგანი, სანამ ახალი საპარლამენტო არჩევნები არ ჩატარდება. დეპუტატობის კანდიდატი ნარგიზ გვალია და უკვე დეპუტატი როლანდ მგალობლიშვილი ერთმანეთს საქმეს ისევ სასამართლოში ურჩევენ. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ სასამართლოს, პრაქტიკული თვალსაზრისით, არაფრის შეცვლა აღარ შეუძლია. მგალობლიშვილის უფლებამოსილება პარლამენტმა სცნო და დეპუტატის სავარძლიდან მისი აბრძანება მხოლოდ ისევ პარლამენტს შეუძლია. უზენაესმა სასამართლომ რაც არ უნდა გადაწყვიტოს და ცესკო-ს მიერ შედეგების გადასინჯვამ რაც არ უნდა გამოავლინოს, მგალობლიშვილი ისევ დეპუტატად დარჩება. გვალია აცხადებს, რომ იგი ამ შემთხვევაში მანკიერ სისტემას ებრძვის და არა კონკრეტულ პიროვნებას. მგალობლიშვილი კი სასამართლოში იმიტომ დარბის, უბრალოდ, თუ შედეგების გადასინჯვამ სიყალბე გამოავლინა, მას უკანონო დეპუტატის სტატუსი მიეწებება. ეს კი, ვერაფერი სახარბიელო "ტიტულია". ამიტომაც, ახლადგამომცხვარი დეპუტატი, რომლისთვისაც პარლამენტარობის სიამოვნება მხოლოდ ოთხი თვე თუ გაგრძელდება, არაფრის დათმობას არ აპირებს.

გუშინ ამ სასამართლო სერიალის კიდევ ერთი სერია შედგა. საქმეში, გვალიასა და მგალობლიშვილის გარდა, მხარეებად "სამართლიანი არჩევნები" და ცესკო-ც მონაწილეობენ. "სამართლიანი არჩევნები" სამართლიანობის დაცვას ცდილობს, ცესკო კი - საკუთარი გადაწყვეტილებისას. უზენაესმა სასამართლომ, ამ საქმესთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება უკვე ორჯერ მიიღო და ცესკო-ს ორჯერვე შედეგების გადასინჯვა დაავალა. უზენაესის გადაწყვეტილებას მხოლოდ უზენაესთან თუ გაასაჩივრებ. ეს უწყება ქვეყანაში უმაღლესი სასამართლო ორგანოა და მისი გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება. მაგრამ, მგალობლიშვილმა გამოსავალი აქაც მოძებნა: განაცხადა, რომ ახალი გარემოება აღმოჩნდა და, ამ მოტივით, საქმის თავიდან განხილვა მოითხოვა. გუშინ სასამართლომ მისი არც ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა. მგალობლიშვილის "ახალი გარემოება" სულაც არ აღმოჩნდა ახალი. ცესკო-ს მიერ გამოცემული ნორმატიული აქტი საჯარო დოკუმენტია და მისი გაცნობა მგალობლიშვილს ადრევე შეეძლო. ხოლო ის, რომ მის მიერ წარმოდგენილ "ახალ" დოკუმენტს იგი ადრე არ იცნობდა, კანონის ლოგიკით, მხოლოდ მისი პრობლემაა.

მაგრამ, ამით სამართლო დავა როდი დასრულდა. მგალობლიშვილი აცხადებს, რომ იგივე მოტივით, იგი ახლა უზენაესი სასამართლოს მეორე გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს (ზემოთ უკვე ვახსენეთ, რომ სასამართლომ ამ საქმესთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ორჯერ მიიღო). მართალია, უკვე წინასწარ იცის, რომ წააგებს, მაგრამ მისთვის ახლა ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. მისთვის მთავარია, დრო გაწელოს, რათა ცესკო-მ შედეგების გადასინჯვა რაც შეიძლება დიდხანს არ დაიწყოს. მისი მოწინააღმდეგეები ეჭვობენ, რომ ეს დრო მას საარჩევნო დოკუმენტაციის "წესრიგში მოსაყვანად" სჭირდება.

# პრეზიდენტის რადიოფანატებს საქბილო შემოაკლდათ

სოფო ბუკია

*დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ შევარდნაძის ორშაბათის რადიოინტერვიუს, მინიმუმ, ორი ერთგული მსმენელი მაინც ჰყავს. უკვე მესამე კვირაა, ზვიად ძიძიგური და კობა დავითაშვილი ორშაბათობით დილის ძილს იკლებენ და მძიმე დღეს პრეზიდენტის ტრადიციული რადიომასლაათის მოსმენით იხალისებენ. "კონკრეტულ საკითხზე აღარ საუბრობს, მისი საუბარი უფრო და უფრო "რიჟა" გახდა, მიედ-მოედება სხვადასხვა თემას და ნაკლებ სასაცილო რაღაცეებს ამბობს. ეს, ალბათ, იმის გამოა, რომ ჩვენ ტყუილებს ვუთვლით," – რადიოცვლილებები შეამჩნიეს პრეზიდენტს საკაშვილის მეგობრებმა.*

თორმეტი წლის წინათ შევარდნაძეს, თურმე, მისმა ძველმა მეგობარმა ბატონმა ჯეიმს ბეიკერმა დაურეკა, რომელიც მაშინ აშშ-ს სახელმწიფო მდივანი გახლდათ, და მსოფლიო ავტორიტეტის მქონე პოლიტიკოსს მეგობრულ რჩევას დაეკითხა: რა ვქნათ, სადამ ჰუსეინს დავარტყათ თუ არაო? შევარდნაძემ უპასუხა: არა, ნუ დაარტყამთო, და ამერიკამაც დაუჯერა. ასე გადაურჩენია ჩვენს პრეზიდენტს ერაყი და ჰუსეინის რეჟიმი აშშ-ს თავდასხმისგან. სწორედ ეს ძველი ამბავი გაიხსენა მან გუშინდელ რადიოინტერვიუში, რომელიც უყურადღებოდ არ დარჩენიათ ჩასაფრებულ "ნაციონალებს".

თორმეტი წლის წინანდელ ისტორიას ძიძიგურმა და დავითაშვილმა "კვირის ფრაზის" სტატუსი მიანიჭეს და ლოგიკური დასკვნაც გამოიტანეს: **"თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პრეზიდენტი, როგორც წესი, მხოლოდ საკუთარი ოჯახის წევრებსა და ნათესავებს ეხმარება, შესაძლოა ჰუსეინი, რომელიც მან განადგურებას გადაარჩინა, მისი გარე ბიძაშვილი აღმოჩნდეს."** ძიძიგური წუხს, რომ ჰუსეინი ერთობ უმადური აღმოჩნდა, ქართველ ნათესავზე სიტყვაც არსად დასცდენია და გადარჩენისთვის მადლობაც არ გადაუხდია.

პრეზიდენტმა გუშინდელ რადიოინტერვიუში, ბაირამობის დღესასწაულზე მარნეულში ვიზიტზეც ისაუბრა. მან სიხარულით აღნიშნა, რომ მარნეულში გაზიფიკაციის პროცესი დაიწყო და იქ ყველაფერი კარგადაა. შევარდნაძის თქმით, მარნეულის მოსახლეობა მას ადრინდელზე მეტი სითბოთი შეხვდა. კობა დავითაშვილი დარწმუნებულია, რომ შევარდნაძეს ეშლება და ტემპერატურა მარნეულის მოსახლეობას კი არა, პრეზიდენტის სხეულს ემატება.

პრეზიდენტი გუშინდელ რადიოინტერვიუში მკაცრი და ულმობელი იყო დსთ-ს მიმართ. მან ბევრი ისაუბრა თანამეგობრობის არაქმედითუნარიანობაზე. ძიძიგურმა და დავითაშვილმა ის შევარდნაძე გაიხსენეს, რომელსაც არც ისე შორეულ წარსულში დსთ-ზე მზე და მთვარე ამოსდიოდა. დღეს იგივე მზე და მთვარე, დავითაშვილის თქმით, პრეზიდენტს ამერიკაზე ამოსდის, მანამ, სანამ მორიგ მიპატიჟებას ან თბილ წერილს არ მიიღებს პუტინისგან.

ერთადერთი სიმართლე და გულწრფელობა, რომელიც შევარდნაძეს გუშინ არ დაუკარგეს, ეს გახლავთ ფრაზა, რომელიც პრეზიდენტმა 115-ლარიან ხელფასებზე ვეტოს დადებასთან დაკავშირებით პარლამენტში გაგზავნილ ტექსტში ჩაწერა: **"იქ პირდაპირ წერია, რომ 2005 წლის 1 ივლისამდე, ხელფასების მომატებაზე ფიქრიც კი არ შეიძლებაო. სავსებით გულწრფელია ამ შემთხვევაში პრეზიდენტი. რა თქმა უნდა, 2005 წლამდე, ანუ ვიდრე ის იქნება პრეზიდენტი, ხელფასებს არც ერთი თეთრი არ მოემატება,"** – აცხადებს დავითაშვილი.

**"ისღა დაგვრჩენია, მომავალ ორშაბათამდე ვიყოთ უსაზღვროდ ბედნიერნი იმის გამო, რომ დავაკავეთ ქელეხში შეზარხოშებული აჯანყებული ვეტერანები, გავათავისუფლეთ რწმუნებულის ვაჟი, მივიღეთ ბუშის სამადლობელი წერილი, ყვავის და იფურჩქნება ჩვენში მეჩაიეობა, 2005 წლის 1 ივლისს მოგვიმატებენ ხელფასებს და, რაც მთავარია, 2005-ის 9 აპრილის შემდეგ, დანამდვილებით აღარ გვეყოლება პრეზიდენტად შევარდნაძე,"** – ხარობენ პრეზიდენტის მთავარი რადიო-ფანატები მომავალი ორშაბათის მოლოდინში.



პრეზიდენტის რადიოფანატები.

# ბათიაშვილის აზრით, სამხედრო ამბოხი ქვეყნის გარეთ დაიგეგმა

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილი გუშინ ისნის სამხედრო ნაწილში მომხდარ სამხედრო ინციდენტს წინასწარ დაგეგმილ შეიარაღებულ ამბოხებას უწოდებს. ბათიაშვილი არ გამორიცხავს, რომ ინციდენტის მიზანი, სამხედრო გადატრიალების მცდელობაც იყოს. "შეიარაღებული ინციდენტი ქვეყნის გარე ძალების მიერ მომზადებული, სერიოზული გეგმის შემადგენელი ნაწილი იყო. აღნიშნული გეგმა ითვალისწინებდა შეიარაღებული ინციდენტი გაწელილიყო დროში და საქართველოს ტერიტორიის სხვა ნაწილებში ფეთქებად საშიში კერები შექმნილიყო", - განაცხადა ბათიაშვილმა.

*ინტერ-პრესი*

# გიორგი ყარყარაშვილი სახელმწიფოებრიობის შერყევის ნიშნებს ხედავს

თავდაცვის ყოფილი მინისტრი, დეპუტატი გიორგი ყარყარაშვილი, ისანი-სამგორის რაიონში ეროვნული გვარდიის ყოფილი ოპერატიული პოლკის დისლოკაციის ადგილზე მომხდარ სამხედრო ინციდენტში - "დესტაბილიზაციისა და სახელმწიფოებრიობის საფუძვლების შერყევის" ნიშნებს ხედავს.

*პრაიმ-ნიუსი*

Visage
ესთეტიკური კოსმეტოლოგიის ცენტრი "ვიზაჟი"

პირველად საქართველოსა და ამიერკავკასიაში მაღალი ტექნოლოგიების პროფესიულ პროგრამას "Danne Montague-King"

MATTIOLLI ENGINEERING
მიკროკრისტალურ დერმოგრაფიას "Aesthipeel"

- მეზოთერაპია
- სხეულის კორექცია არაქირურგიული, ინტელექტუალური სისტემით "ЭСМА"
- ელექტრო ეპილაცია "BLEND, Flash"
- გამონაყარი, აკნე, ფერიმჭამელები, ფორიანობა, პიგმენტური ლაქები, ნაოჭები, კანის მოდუნება, ლოკალური ცხიმების დაგროვება, ცელულიტი, ორსულობის შემდგომი სტრიები, ნაწიბურები, კანის მოვლა პოსტოპერაციულ პერიოდში.

ფალიაშვილის 98, TEL 91-24-20, 25-27-02, მობილური899-56-18-52

# ამერიკელი სამხედროები მარნეულის ან ვაზიანის ბაზებზე დაბანაკდებიან

მაია მოსიაშვილი

22 მარტს მარნეულში "საბაირამოდ" ჩასულმა ამერიკის ელჩმა რიჩარდ მაილსმა ჟურნალისტებს არ დაუმალა, რომ საქართველოს არაპირდაპირი ჩართვა ერაყის კამპანიაში მონაჭორი კი არა, რეალური პერსპექტივაა. **"ჩვენ უკვე მივმართეთ ოფიციალური თხოვნით საქართველოს ხელისუფლებას სამხედრო ბაზების დროებით დათმობის თაობაზე, თუმცა, ჯერჯერობით, რაიმე კონკრეტული გეგმა არ არსებობს,"** - განაცხადა მაილსმა.

**"ძალიან მნიშვნელოვანია ის განცხადება, რომელიც უკავშირდება ქართული სამხედრო ობიექტების გამოყენებას ერაყის ომში. საუბარი ჯერ არ არის რომელი სამხედრო ბაზა ან აეროდრომი იქნება გამოყენებული, ეს ჯერ შესწავლის ფაზაშია. შესაძლებელია მოხდეს ვაზიანის, მარნეულის ან ჩვენს რეგიონში არსებული სხვა სამხედრო ბაზების გამოყენება,"** - ასე გამოეხმაურა ამერიკელთა სურვილებს ქვემო ქართლის გუბერნატორი ლევან მამალაძე, რომელიც დარწმუნებულია, რომ ეს საქართველოსათვის ყველაზე კარგი და მისაღები ვარიანტია. **"ამერიკის შეერთებული შტატები ჩვენი პოლიტიკური და სამხედრო პარტნიორია, რომელმაც დაიწყო უპრეცედენტო ბრძოლა მსოფლიოში წესრიგის დასამყარებლად. საქართველოს მონაწილეობა ნიშნავს, რომ აქაც არის ასეთი უკონტროლო ტერიტორიები, პირველ რიგში აფხაზეთი, სადაც მსგავსი წესრიგი უნდა დამყარდეს. ამიტომ, თუკი რამ შეუძლია ჩვენს ქვეყანას, ეს სამხედრო აეროდრომი იქნება თუ სხვა რამ, ჩვენ ამაში უნდა ჩავერთოთ. წესრიგის დამყარება უნდა მოხდეს არა მარტო ერაყში, არამედ ჩვენთანაც - იმ ტერიტორიებზე, სადაც არსებობს ტერორიზმის, ნარკობიზნესის საშიშროება და სხვა გაუგებარი წარმონაქმნები,"** - განაცხადა გუბერნატორმა.

ამერიკის მხრიდან მხარდაჭერის კიდევ ერთ მაგალითად მამალაძე წითელ ხიდზე ორიოდე დღის წინ გახსნილ ახალ საგუშაგოს ასახელებს. მისი თქმით, ეს არის სრულიად ახალი კომპლექსი, რომელიც ამერიკელების დაფინანსებით აშენდა და **"ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს დონეზეა გაკეთებული"**.

არაბული რაკურსი




## ერაყმა "აპაჩის" ტიპის ვერტმფრენი ჩამოაგდო

გუშინ ერაყის ტელევიზიამ ამერიკული საბრძოლო ვერტმფრენის ჩამოგდების ამსახველი კადრები გაავრცელა. ვერტმფრენი ერაყის დედაქალაქ ბაღდადის სამხრეთით ჩამოვარდა. შავი ფერის ვერტმფრენზე, რომელიც რაკეტებით იყო შეიარაღებული, ამერიკული სამხედრო ავიაციის ამოსაცნობი ნიშნები მოჩანდა.

ერაყის ტელევიზიის კომენტატორმა აღნიშნა, რომ ვერტმფრენი ქალაქ ქერბელას ახლოს, ბაღდადის ჩრდილო-დასავლეთით ასათ კილომეტრზე ჩამოვარდა. აღსანიშნავია, რომ საბრძოლო მანქანის აფეთქებისას მასში ორი სამხედრო პირი იმყოფებოდა.

ერაყის ტელევიზიის განცხადებით, ერთი მოხუცებული მიწათმოქმედი ალი აბიდ მინქაში ამტკიცებს, რომ აღნიშნული ვერტმფრენი ჩეხური წარმოების ძველებური სანადირო თოფით ჩამოაგდო. მან კორესპონდენტს განუცხადა, რომ ის და მისი ძმები საჰაერო თავდასხმის მოლოდინში იყვნენ, როცა თავზე შვეულმფრენმა გადაუფრინათ, ცეცხლი გაუხსნეს და ჩამოაგდეს.

თავის მხრივ, ერაყის ინფორმაციის მინისტრმა მუჰამად საიდ ას-საჰაფიმ ბაღდადში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ერაყის შეიარაღებულმა ძალებმა "აპაჩის" ტიპის ორი ამერიკული საბრძოლო ვერტმფრენი გაანადგურეს. "ერთ-ერთი ამ ვერტმფრენის განადგურების კადრები პირდაპირ ეთერში გადასცა ბაღდადის ტელევიზიამ", - დასძინა ას-საჰაფმა.

სხვათა შორის, ვაშინგტონში ამერიკის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა, ერაყში "აპაჩის" ტიპის ერთი ვერტმფრენის ჩამოგდების ფაქტი აღიარა. მეორე ვერტმფრენის განადგურების თაობაზე ბაღდადის ტელევიზიის მიერ გადაცემული ინფორმაცია კი უკომენტაროდ დატოვა.

*ალ-ჯაზირა*

## გამარჯვების დაპირება

ერაყის პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი ერაყელ ხალხს გამარჯვებას დაჰპირდა. მან მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა და აქცენტი, ამერიკელებთან შედარებით, ერაყელთა მორალურ უპირატესობაზე გააკეთა. სადამ ჰუსეინმა ხალხს მოუწოდა, ბაღდადში შესვლის შემთხვევაში, ამერიკელებს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიონ. მან ანალოგიური საქციელისათვის ერაყის სამხრეთით მდებარე ქალაქების უმ კასრისა და ნასირიას მოსახლეობას მადლობა გადაუხადა.

სადამ ჰუსეინმა ხალხს მოთმინებისაკენ მოუწოდა და ამერიკული ინტერვენციის დაწყებიდან თავის მეორე საჯარო გამოსვლაში აღნიშნა: "ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ კრიზისული სიტუაციის მოგვარებისათვის და დავეთანხმეთ ამერიკელთა უკანონო, მორალურად გაუმართლებელ მოთხოვნებს, რათა ერაყი უკეთურებისაგან დაგვეცვა, მაგრამ თუ ამ უკეთურებამ ჩვენი მიწა-წყლის საზღვრები გადმოლახა, აუცილებელია მისი შეჩერება"

*ალ-ჯაზირა*

## დაბომბვები გრძელდება

ამ დროისათვის ერაყის ქალაქების დაბომბვები გრძელდება. მუდმივად ისმის საზარელი აფეთქებების გუგუნი. დაბომბვები მიმდინარეობს დედაქალაქ ბაღდადში, ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ მოსულსა და კიდევ რამდენიმე ქალაქში. ბაღდადში, ორი დღეა, გრძელდება ომის დაწყებიდან ყველაზე უფრო საზარელი დაბომბვები, დედაქალაქის რამდენიმე რაიონი ცეცხლის ალშია გახვეული.

*ალ-ჯაზირა*

## არაბები კოორდინაციას ცდილობენ

ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრი აჰმად მაჰირი ტელეფონით დაუკავშირდა არაბული ქვეყნების ლიგის პრეზიდენტს ამრ მუსას, ლიბანის საგარეო საქმეთა მინისტრს მაჰმუდ მაჰმუდსა და საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ალ-ამირ საუდ ალ-ფეისალის. სატელეფონო საუბრისას მხარეები შეთანხმდნენ არაბული ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციის დეტალების თაობაზე, რომელიც არაბული ქვეყნების ლიგის რეზიდენციაში გაიმართება. სატელეფონო საუბრისას განხილულ იქნა აღნიშნული კონფერენციის სავარაუდო დღის წესრიგი და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი. ამასთან, აჰმად მაჰირი ტელეფონით ესაუბრა თავის ამერიკელ კოლეგას კოლინ პაუელს, რომელმაც კიდევ ერთხელ დააზუსტა ამერიკის შეერთებული შტატების დღევანდელი პოზიცია ერაყთან დაკავშირებით. თავის მხრივ, ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრმა ამერიკელ კოლეგას გააცნო თავისი ქვეყნის პრეზიდენტის ჰოსნი მუბარაქის პოზიცია და აღნიშნა, რომ მუბარაქის აზრით, აუცილებელია დაუყოვნებლივ შეწყდეს ცეცხლი და ერაყის ისტორიული ქალაქების განადგურება არ იქნას დაშვებული. ეგვიპტის პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ უსათუოდ უნდა შენარჩუნდეს ერაყის ტერიტორიული მთლიანობა. ასევე, მისი აზრით, აუცილებელია პრობლემების მშვიდობიანი, თანამშრომლობის გზით მოგვარება საერთაშორისო სამართლის ნორმათა საფუძველზე.

*"ალ-გუმჰურია",*
*ეგვიპტური გაზეთი*

## ომანი მხარეებს ცეცხლის შეწყვეტისაკენ მოუწოდებს

როგორც ომანის საგარეო საქმეთა მინისტრმა, იბნ ალავიმ განაცხადა, აუცილებელია ბრიტანელთა და ამერიკელთა სამხედრო ძალებმა დატოვონ ერაყის ტერიტორია. "ეგვიპტეში გამართული არაბული ქვეყნების ლიგის კონფერენციის მთავარი თემა ერაყის ომთან დაკავშირებული პრობლემატიკის განხილვა იქნება, რათა გამოინახოს გზა შექმნილი ვითარების თაობაზე ერთიანი არაბული პოზიციის შესამუშავებლად," – განაცხადა მან. იბნ ალავის თქმით, დღევანდელი ვითარება არაბული ქვეყნების პოზიციის სერიოზულ გადასინჯვას მოითხოვს, რათა სიტუაცია ომის სინამდვილის გათვალისწინებით შეფასდეს.

ომანის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, დღევანდელ ვითარებაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და არაბული ლიგის შექმნილი სინამდვილის მიმართ ადექვატური პოზიციის დაკავებასა და ამ ორი ორგანიზაციის სამშვიდობო ინიციატივებს სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება.

არაბული ქვეყნების ლიგის ოფიციალურმა წყაროებმა კი ომანის ახალი ამბების სააგენტოს განუცხადეს, რომ არაბული ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები განიხილავენ ამ ქვეყანათა ლიგის წინა კონფერენციების გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მდგომარეობას ერაყ-ქუვეითის ურთიერთბრალდებათა ფონზე, რათა გამოირიცხოს რომელიმე არაბული ქვეყნის რაიმე ფორმით მონაწილეობა ერაყის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში, რომელიც მიზნად ისახავს ერაყის მშვიდობისა თუ ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას.

*გაზეთი "ომანი"*
*მოამზადა გიორგი ლოზუანიძემ*

# კოალიცია ბაღდადს უახლოვდება

პირველი გვერდიდან

სადამმა თავის თანამემამულეებს აცნობა იმის თაობაზე, რომ ანგლო-ამერიკულ ძალებს დიდი დანაკარგები აქვთ, სწორედ ერაყის არმიის წინააღმდეგობის გამო. მან თავის გამოსვლაში ასევე მოუწოდა ყველა არაბსა და მუსულმანს, რომ აღდგნენ აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ. **"არაბებო! მსოფლიოს მუსულმანებო! ჩვენ გთხოვთ დახმარებას ბოროტებასთან ბრძოლაში, დახმარებას მტრის წინააღმდეგ,"** - განაცხადა ჰუსეინმა. ჰუსეინს არც ერაყში ომის დაწყების მიზეზი გამორჩენია. მან კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ერაყი მასობრივი განადგურების იარაღს არ ფლობს და მტერს მხოლოდ ერაყის დაპყრობა სურს. **"ეს ძალები შემოიჭრნენ ჩვენს მიწაზე, შემოაღწიეს ჩვენი ტერიტორიის სიღრმეში, იკავებენ ჩვენს ქალაქებს. ასეთი მასშტაბის აგრესია და შემოჭრა ჩვენს ისტორიაში ჯერ არ ყოფილა. მე კვლავ მივესალმები და მადლობას ვუხდი ყველას, ვინც თავის სიცოცხლეს სამშობლოსათვის სწირავს და გმირულად იბრძვის,"** – დასძინა პრეზიდენტმა ჰუსეინმა. მან ღრმა სინანული გამოხატა იმ ბავშვების გამო, რომლებიც დაბომბვების დროს დაიღუპნენ. სადამმა ასევე ჩამოთვალა ის ჯარისკაცები და მეთაურები, რომლებმაც მტერთან ბრძოლაში განსაკუთრებული სიმამაცე გამოიჩინეს და **"ბრძოლის ველზე წამებულთა სიკვდილით დაეცნენ."**

**"გაუმარჯოს პალესტინას! გაუმარჯოს არაბ ერს! გაუმარჯოს ერაყს - ჯიჰადის მიწას! გაუმარჯოს ერაყელებს! საყვარელი ბაღდადის მცხოვრებლებს! უძველესი მოსულის მცხოვრებლებს! ჩვენი დიადი ქვეყნის მოქალაქეებს – ისტორიისა და ცივილიზაციის დამცველებს! იქონიეთ მოთმინება და გამძლეობა, ალაჰი თქვენ დაგაჯილდოებთ!"** - დაასრულა თავისი სიტყვა ერაყის დიქტატორმა.

"როიტერმა" და სხვა უცხოურმა სააგენტოებმა დაადასტურეს, რომ ერაყის ტელევიზიით გამოსული მამაკაცი მართლაც სადამ ჰუსეინი იყო. ჰუსეინის გამოსვლა, დაახლოებით, 20 წუთს გრძელდებოდა. მიმართვის დასრულების შემდეგ, მოკავშირეთა ავიაციამ ბაღდადის მასირებული დაბომბვა დაიწყო.

### ჩრდილოეთის ფრონტი

ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებში ერაყის არმიის ნაწილებსა და მოკავშირეთა ძალებს შორის დაძაბული ბრძოლები კვლავ გრძელდება. სახმელეთო საომარი მოქმედებები აქ, ძირითადად, ქალქ კირკუკის მისადგომებთან მიმდინარეობს. არაბული ტელეკომპანია "ალ-ჯაზირა" იუწყება, რომ ერაყელები სტრატეგიულ მაღლობებზე არიან გამაგრებულნი და ნავთობსაბადოების მისადგომებს იცავენ. საინფორმაციო საშუალებების ცნობით, შეიძლება ითქვას, რომ ჩრდილოეთის ფრონტი სრული მასშტაბით არის გახსნილი. ჯერჯერობით უცნობია, იბრძვიან თუ არა ქურთული სამხედრო დაჯგუფებების მებრძოლები მოკავშირეთა მხარდამხარ.

### მოკავშირეებს კვლავ სიძნელეები აქვთ ბასრა, ნასირია და უმ ალ-კასრი

სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ მოკავშირეთა ძალებს, ჯერჯერობით, ერაყელების წინააღმდეგობის გადალახვა უჭირთ. მათ ჯერ კიდევ ვერ შეძლეს ქალაქ ბასრას აღება, თუმცა, როგორც თავად კოალიციის სარდლობა აცხადებს, ამ ქალაქის შტურმი მათ ინტერესებში არ შედის. მაგრამ ფაქტი ერთია, რომ ბასრასთან ბრძოლები გუშინ დილიდანვე განახლდა. ქალაქს ათასამდე ერაყელი მებრძოლი იცავს. სააგენტო "ბი-ბი-სი"-ს ცნობით, ერაყელები ცდილობენ, ბრიტანული საზღვაო ქვეითი ძალები აიძულონ, ქალაქში შევიდნენ და ქუჩის ბრძოლებში ჩაერთონ. ასეთ შემთხვევაში, მსხვერპლი ორივე მხრიდან გაცილებით დიდი იქნება. გუშინ დილიდანვე ბრიტანულმა ძალებმა ბასრას დამცველებზე საარტილერიო შეტევა მიიტანეს. "ბი-ბი-სი"-ს ცნობით, ბასრას მოსახლეობა სასმელი წყლის მწვავე დეფიციტს განიცდის. ქალაქში არ არის ელექტროენერგია. წითელი ჯვრის წარმომადგენლებმა განცხადება - ქალაქში შექმნილი მძიმე მდგომარეობის შესახებ, - უკვე გააკეთეს.

ბრძოლები ევფრატზე მდებარე სტრატეგიულ ქალაქ ნასირიასთანაც მიმდინარეობს. სამხრეთიდან ბაღდადისაკენ მიმავალი გზა სწორედ ამ ქალაქზე გადის. საერთაშორისო სააგენტოები ნასირიასთან კოალიციის ჯარისკაცების დაღუპვის თაობაზე ინფორმაციას ავრცელებენ. ამერიკელმა სამხედროებმა დაადასტურეს, რომ ნასირიასთან ბრძოლებში 25 ამერიკელი საზღვაო ქვეითი უკვე დაჭრილია.

გააფთრებული ბრძოლები გრძელდება უკიდურესი სამხრეთის საზღვაო ქალაქ უმ კასრშიც. ეს ის ქალაქია, რომლის აღების და გაკონტროლების თაობაზეც კოალიციის სარდლობამ ჯერ კიდევ 21 მარტს გაავრცელა ინფორმაცია. თუმცა, ქალაქში დარჩენილმა რამდენიმე ასეულმა ერაყელმა ანგლო-ამერიკულ ჯარებს საკმაოდ სერიოზული პრობლემები შეუქმნა. როგორც ცნობილი გახდა, გუშინ უმ კასრის ბრძოლებში კოალიციის სარდლობამ პოლონელი სპეცრაზმელებიც ჩართო.

სამხრეთში ჯერ კიდევ დაუძლეველი ბარიერების მიუხედავად, კოალიციის ძალების ერთმა ნაწილმა ქვეყნის სამხრეთში დასახლებული პუნქტი ელ-კურნა დაიკავა და, ამჟამად, მდინარე ევფრატის მარცხენა სანაპიროთი ელ-ამარისკენ მიემართება.

### ჩამოგდებული ვერტმფრენები

გუშინ ერაყის ხელისუფლებამ ორი ვერტმფრენის ჩამოგდების თაობაზე ინფორმაცია გაავრცელა. ტელეკომპანია "ალ-ჯაზირამ" ჩამოგდებული "აპაჩის" ტიპის ვერტმფრენი პირდაპირ ეთერშიც აჩვენა. კოალიციის სარდლობამ უკვე დაადასტურა ერთი "აპაჩის" დაკარგვის ფაქტი.

უნდა ითქვას, რომ სახმელეთო და საჰაერო ომის გარდა, ერაყ-ამერიკას შორის კიდევ ერთი ბრძოლა მიმდინარეობს – საინფორმაციო. ვრცელდება უამრავი და ხშირად ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, რომელთა შორის სიმართლის და ტყუილის გარჩევა საკმაოდ რთულია. მიუხედავად ამისა, უკვე ცხადია, რომ ერაყელები კოალიციას, ჯერჯერობით, საკმაოდ ძლიერ წინააღმდეგობას უწევენ. შეიძლება ითქვას, რომ კოალიციის სარდლობის მიერ ომის დასრულების დათქმული ვადა - 10 დღე ვერ შესრულდა და, შესაბამისად, ბლიცკრიგიც არ შედგა. ამისათვის, ანგლო-ამერიკულმა ძალებმა ბაღდადი 5 დღეში უნდა აიღონ და გააკონტროლონ. ეს კი დღევანდელი გადასახედიდან საკმაოდ არარეალურად მოჩანს, თუმცა არავინ უწყის.




# ბლერი: გადამწყვეტი მომენტი ახლოვდება

შოთა უტიაშვილი

მოკავშირეთა ჯარების ავანგარდი, აშშ არმიის "ვ" კორპუსი ბაღდადს 100 კილომეტრის მანძილზე მიუახლოვდა – ამის შესახებ ორშაბათს ტონი ბლერმა განაცხადა. სულ ცოტა ხანში, ისინი ერაყის რესპუბლიკური გვარდიის ყველაზე ელიტურ ნაწილთან - "მედინას" დივიზიასთან ბრძოლაში ჩაერთვებიან.

"უეჭველია, რომ ეს გადამწყვეტი მომენტი იქნება, – განაცხადა ბლერმა, – ეს დივიზია ყველაზე უფრო დაახლოებულია სადამთან. იგი, ალბათ, ყველაზე ძლიერ წინააღმდეგობას გაგვიწევს," – დასძინა მან.

გუშინ მოკავშირეთა მთავარსარდალმა ტომი ფრენკსმაც პრესკონფერენცია გამართა. იგი შეეცადა, გაებათილებინა ის ეჭვები, რომლებიც კამპანიის წარმატებული მიმდინარეობის შესახებ მას შემდეგ წარმოიშვა, რაც კვირას ერაყელებმა მოკავშირეებს მძიმე ბრძოლები გაუმართეს.

"ჩვენი მიზნების მიღწევის გზაზე პროგრესი აშკარაა. ჩვენ ძალზე სწრაფად მივიწევთ წინ, – განაცხადა მან ყატარში განლაგებულ პრეს-ცენტრში გამოსვლისას, - იმაში, რომ ერაყის ჯარები სპორადულად გვიწევენ წინააღმდეგობას, უცნაური არაფერია".



*ტონი ბლერი.*

ფრენკსმა დაადასტურა ერაყელების მიერ შვეულმფრენის ჩამოგდების ფაქტი, თუმცა უარყო ინფორმაცია, თითქოს ეს თოფებით შეიარაღებულმა ერაყელმა გლეხებმა გააკეთეს.

ჩამოვარდნილი საფრენი აპარატი შვეულმფრენთა 11-ე პოლკს ეკუთვნოდა, რომელიც ქერბალასა და ალ-ჰალას მისადგომებთან რესპუბლიკური გვარდიის პოზიციებს მთელი დღე ბომბავდა. ფრენკსის განცხადებით, იგი სწორედ ამ ბრძოლებისას ჩამოაგდეს. მისი თქმით, პილოტების ბედი უცნობია. დაბომბვების მონაწილე ამერიკელი პილოტის განცხადებით, ბრძოლის ველი ნამდვილ "კრაზანების ბუდეს" წააგავს. ამერიკულ შვეულმფრენებს ერაყელები ყველა მხრიდან ესვრიან.

მოკავშირეთა სარდლობის ცნობით, გუშინ ბასრასთან ბრძოლების დროს, კიდევ ერთი ინგლისელი ჯარისკაცი დაიღუპა. "სი ენ ენ"-ის ცნობით საბრძოლო მოქმედებების დაწყებიდან დაღუპულია 39 ამერიკელი და ბრიტანელი ჯარისკაცი.

ფრენკსმა ჟურნალისტები გააფრთხილა, რომ რაც უფრო ცუდად წავა სადამის საქმე, მით მეტი იქნება ალბათობა, რომ იგი მასობრივი განადგურების იარაღს გამოიყენებს.

ინციდენტი მოხდა გუშინ ერაყ-სირიის საზღვარზე. ამერიკული თვითმფრინავიდან გაშვებულმა რაკეტამ შემთხვევით ააფეთქა ავტობუსი, რომელშიც ერაყიდან ლტოლვილი სირიის მოქალაქეები იმყოფებოდნენ. დაიღუპა ხუთი და დაიჭრა ათზე მეტი ადამიანი. ოფიციალურმა დამასკომ ამერიკული ავიაციის მოქმედება მკაცრად დაგმო და მას "საშინელი აგრესია" უწოდა. სირიის ოფიციალური საინფორმაციო სააგენტოს "სანას" ცნობით, პროტესტის ნიშნად, სირიამ ამერიკიდან და ბრიტანეთიდან თავისი ელჩები გამოიწვია.

# ამერიკელთა სტრატეგია ეჭვქვეშ დადგა



ერაყელების მიერ ჩამოგდებული საბრძოლო ვერტმფრენი.



ამერიკელი ჯარისკაცები ბრძოლის შემდეგ.

რევაზ ბახტაძე

ერაყის არმიამ და საპოლიციო ძალებმა პარტიზანული ტაქტიკა აირჩიეს და ამერიკელ ჯარისკაცებს სერიოზული პრობლემებიც შეუქმნეს. კოალიციის ძალებს შორის მსხვერპლის ზრდასთან ერთად ჩნდება კითხვები იმის თაობაზე, რამდენად ეფექტურია შეერთებული შტატების სტრატეგია, რომლის მთავარ კომპონენტს მოქალაქეებისა და საკუთარი მებრძოლების იმაში დარწმუნება წარმოადგენს, რომ ამერიკელები გამათავისუფლებლები არიან, ხოლო სადამის გადადგომა გარდაუვალია.

უკანასკნელი დღეების ბრძოლებმა ცხადყო, რომ გარკვეული წინსვლის მიუხედავად, ამერიკელებს ელვისებური გამარჯვების მიღწევა საკმაოდ გაუჭირდებათ. დასავლური მედიის ცნობით, ქალაქ ნასირიასთან 500-მა ერაყელმა მებრძოლმა 5000 ამერიკელის შეკავება შეძლო.

ერაყის ომის სარდლის მოადგილემ გენერალ-ლეიტენანტმა ჯონ აბიზაიდმა წინააღმდეგობებს სამხედრო თვალსაზრისით უმნიშვნელო, მაგრამ ცალკეული ამერიკული დანაყოფებისათვის ზიანის მომტანი უწოდა. "ჩვენ მალე ბაღდადში ვიქნებით", - დასძინა მან ოპტიმისტურად ყატარის სასარდლო ცენტრში გამართულ პრესკონფერენციაზე.

"მე ვარწმუნებ ამერიკელებს, რომ ჩვენ წინ წავიწიეთ, - განაცხადა პრეზიდენტმა ბუშმა კემპ დევიდში გამართულ პრესკონფერენციაზე, - მე აგრეთვე ვარწმუნებ მათ, რომ ეს მძიმე ბრძოლების დასაწყისია".

არადა, ხუთშაბათიდან შაბათამდე "ნიუ-იორკ თაიმსისა" და "სიბიესის" ერთობლივმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა ორი მესამედი სწრაფ და დამაჯერებელ გამარჯვებას ელოდა.

ერაყში ამერიკელთა მეორე ომი იმითაც განსხვავდება გასულ ათწლეულში წარმოებული სხვა ომებისაგან, რომ ახლა, ომის შესახებ ინფორმაციას საერთაშორისო თანამეგობრობას არადასავლური წყაროც აწვდის. ყატარის ტელეკომპანია "ალ-ჯაზირას" მიერ გავრცელებული ომის კადრები და სკანდალური ინტერვიუები დასავლელ და რეგიონში მცხოვრებ მაყურებელზე დიდ გავლენას ახდენს.

დატყვევებული და მოკლული ამერიკელი ჯარისკაცების სურათებმა მთელი მსოფლიო მოიარა. ამერიკელ ჯარისკაცთა დატყვევების შემდეგ, ჰუსეინის მთავრობის ინფორმაციის მინისტრი მოჰამად საჰაფი გამოვიდა და თავდაჯერებულად განაცხადა, რომ ამერიკელები დატყვევების ფაქტს ვეღარ უგულებელყოფენ.

პენტაგონელი სტრატეგოსები მოელოდნენ, რომ ამერიკულ ჯარებს ყველგან სიხარულით შეეგებებოდნენ. ამ მოსაზრებას დაეფუძნა ამერიკელთა სტრატეგიის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი: ერაყის მოსახლეობისა და სამხედროების დარწმუნება იმაში, რომ ჰუსეინის ხელისუფლება განწირულია.

ერაყელთა წინააღმდეგობა ამერიკელ სამხედროთა მიერ ომის დაწყებამდე წარმოებული ფსიქოლოგიური ოპერაციის ეფექტურობას ეჭვქვეშ აყენებს. უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში ამერიკულმა თვითმფრინავებმა 25 მილიონზე მეტი სააგიტაციო ფურცელი ჩამოყარეს ერაყის სამხედრო ბანაკებსა და ქალაქის მოედნებზე, სადაც ყველას ამერიკელთა მხარდამხარ ბრძოლას მოუწოდებდნენ. ამას თან ახლდა პროპაგანდისტული რადიოგადაცემები და სატელეფონო ზარები სამხედრო ქვედანაყოფების უფროსებთან, რომელთაც კაპიტულაციას ურჩევდნენ.

დღემდე ერაყელ სამხედროთა დიდი ნაწილი ამერიკელებს არ დანებებია. მოკავშირეთა მტკიცებით, ერაყელი ჯარისკაცები დეზერტირობენ და სახლებში მიდიან. თუმცა, ამერიკელ ექსპერტთა აზრით, შესაძლებელია, რომ ზოგიერთი დანაყოფი დროის მოგებას ცდილობს.

1991 წლის ომისაგან განსხვავებით, ამერიკული B-52 განუწყვეტლივ არ ბომბავენ ერაყს. ამის მიზეზად კი სამხედრო ანალიტიკოსები ისევ და ისევ ამერიკის ახალ სტრატეგიას ასახელებენ, რომელიც მიზნად ისახავს ერაყელი მოსახლეობის დარწმუნებას იმაში, რომ ამერიკა მათი მტერი არ არის.

ამერიკული სტრატეგიის მეორე ძირითადი პრინციპია სამოქალაქო პირებში მსხვერპლის მინიმიზაცია. პრაქტიკული თვალსაზრისით კი, ეს იმას ნიშნავს, რომ ამერიკული და ბრიტანული ავიაცია სამხედრო ობიექტებისა და სამთავრობო დაწესებულებების გარდა, ვეღარაფერს დაბომბავს. ეს კარგად უწყიან ერაყელმა სამხედროებმა და ამას სათავისოდ კარგად იყენებენ – თავს აფარებენ მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებსა და სამოქალაქო დანიშნულების შენობებს. ამიტომ, შეიქმნა უცნაური ვითარება: ერაყელები გამაგრებულები არიან ქალაქებში, ხოლო ამერიკელები მათ გარს უვლიან.

თავის მხრივ, კოალიციის "თავშეკავებული" ქცევა სავსებით ლოგიკურია. ამერიკელთა დანაკარგები კიდევ უფრო გაზრდის შიდაპოლიტიკურ კრიტიკას და, რაც ყველაზე მთავარია, არაბულ სამყაროს ვაშინგტონის წინააღმდეგ დარაზმავს.

პენტაგონელი სამხედრო ექსპერტების აზრით, სამხრეთში წინააღმდეგობა იმდენად არაორგანიზებული და შედარებით მცირე მასშტაბის იყო, რომ იგი, სავარუდოდ, მალე შეწყდება. საზღვაო ქვეითთა გენერალ-პოლკოვნიკის ანდერსონის თქმით, ისინი ერაყის ელიტარულ რესპუბლიკურ გვარდიასთან მომავალ შეტაკებაზე არიან კონცენტრირებულნი.

"რამდენი ხანი გაგრძელდება ომი, არავინ იცის. რამდენი იქნება მსხვერპლი, არავინ უწყის. ახლა მხოლოდ ამის თქმა შემიძლია", - გულწრფელად განაცხადა აშშ-ს თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა.

ახლა, დასავლელი ექსპერტები იმაზე ალაპარაკდნენ, რომ აუცილებელია სტრატეგიის შეცვლა. შეცვლიან თუ არა ამერიკელები თავიანთ სტრატეგიას, უახლოეს დღეებში გამოჩნდება.

# რეპორტიორების დღიური: ომი ერაყში



ჟურნალისტები ტელევიზიით სადამ ჰუსეინის გამოსვლას უსმენენ.

## ენდრიუ ნორსი

*ნასირია*

"მე ეს-ეს არის ჩამოვედი ნასირიას სამხრეთ მისადგომებთან და უკვე ნათელია, რომ აქ აშშ-ს ძალებს ქალაქში მყოფი ერაყელი მებრძოლები კვლავ დიდ წინააღმდეგობას უწევენ. მას შემდეგ, რაც აქ ვარ, აშშ-ს არტილერიამ, ინტენსიური ცეცხლით ქალაქში განლაგებული 30 ერაყული პოზიცია დაბომბა. მე ვხედავ ქალაქის მისადგომებთან შავ კვამლს, რომელიც საზღვაო ქვეითი მებრძოლების თქმით, ნავთობსაბადოებზე გაჩენილი ცეცხლის შედეგია. მაღალჩინოსანი ოფიცრების თქმით, ისინი კვლავ აკონტროლებენ ქალაქში ორ მთავარ ხიდს, მაგრამ ერაყელების წინაღმდეგობა კვლავ დაუძლეველია."

## დონ სიმპსონი

*ჩრდილოეთ ერაყი*

"გუშინ სადამ ჰუსეინის სატელევიზიო მიმართვამ ერაყელებისათვის ცხადი გახადა, რომ სადამი თავის ძალებს კვლავ აკონტროლებს და ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ მას კონტროლი დაკარგული აქვს, ჯერ ნაადრევია. მანამდე, სანამ ის შეძლებს ასეთ ეფექტურ გამოსვლებს, კოალიციურ ძალებს საკმაოდ სერიოზული პრობლემები შეექმნებათ. ვიდრე ისინი სადამს არ მოაშორებენ ეკრანიდან ან სადამი არ დატოვებს ბაღდადს, კოალიციას დედაქალაქის აღება საგრძნობლად გაუჭირდება."

## პოლ ვუდი

*ბაღდადი*

"ეს-ეს არის პირდაპირ ეთერში ნაციონალურმა ტელევიზიამ სადამ ჰუსეინის მიმართვა გადასცა. ძალზე მცირე ეჭვი არსებობს იმის თაობაზე, რომ ეს სინამდვილეში სადამი არ იყო. ის მას ჰგავს, ხმაც სადამის არის, საუბრობს საკმაოდ დეტალურად და მანერებითაც სწორედ ჰუსეინს წააგავს. ეს კლასიკური სადამია, ჩვეული რიტორიკით დაუმორჩილებლობის თემაზე.

პრეზიდენტის ხალხის წინაშე გამოსვლები ერაყის ხელისუფლების სტრატეგიის ცენტრალური ნაწილია. ის მთელი დღის განმავლობაში ერაყის ტელევიზიის ეკრანზე ჩანს და ეს, რეალურად, არც არის გასაკვირი, რადგან სადამ ჰუსეინის პერსონას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ყველაფრისათვის, რაც ერაყში უკვე 30 წლის განმავლობაში ხდება."

## ადამ მინოტი

*უმ კასრი*

"უმ კასრთან აშშ საზღვაო ქვეითის საექსპედიციო მე-15 დანაყოფი ბრიტანეთის სამეფო საზღვაო კომანდოსმა შეცვალა. მე-15 დანაყოფი ბრძოლას სამი დღის განმავლობაში აწარმოებდა. ეს არის ქალაქი, სადაც კოალიციის ძალებს, ორი პორტის გავლით, ჰუმანიტარული ტვირთის შეტანა სურთ."

## დევიდ უილისი

*სამხრეთ ერაყი*

"ამერიკული საზღვაო ქვეითის ნაწილებს ბაღდადის გზაზე გააფთრებული წინააღმდეგობა შეხვდათ. უგრძელეს კოლონას, რომელშიც მე ვიმყოფები ბრძოლებში ჩართვა მოუხდა. ჯერჯერობით, მსხვერპლის თაობაზე არაფრის თქმა არ შემიძლია."

## ენდრიუ ნორსი

*ნასირია*

"აშშ-ს საზღვაო ქვეითის სარდლობამ აღიარა, რომ გუშინდელ ბრძოლებში ერაყელების წინააღმდეგობით გაკვირვებულები დარჩნენ. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ერაყელები კოალიციის ძალებს ჩაბარდებოდნენ. ფაქტობრივად, მოხდა ის, რომ 500 ერაყელის მხრიდან ძლიერი წინააღმდეგობის შემდეგ, ისინი იძულებულნი გახდნენ, დასახმარებლად ავიაცია გამოეძახათ."

## დევიდ უილისი

*ბასრას ჩრდილოეთით*

"მე წინ მივიწევ ჩრდილოეთით, ამერიკულ ჯავშანკოლონასთან ერთად. ეს შთამბეჭდავი სანახაობაა: ტანკების, საარტილერიო დანადგარების და სატვირთო მანქანების კოლონა შორს უდაბნოში მიიწევს წინ. მათ თავზე სამი "კობრა" (ვერტმფრენი) უვლის წრეს. ექვსი საათის განმავლობაში, რაც ჩვენ ბასრადან მოვდივართ, მე დავინახე ხუთი-ექვსი მსუბუქი ავტომანქანა. მათ ამერიკელები აჩერებენ და ამოწმებენ. ამერიკელები ამბობენ, რომ მათგან წინააღმდეგობის გაწევას მოელოდნენ."

## ადამ მაინოტი

*უმ კასრი*

"რაციით მოლაპარაკებების წარმოების დროს, რაღაც მომენტში, კაპიტანმა კრევერმა დაინახა, თუ როგორ ისროლეს ჭურვი საარტილერიო დანადგარიდან. დაუყოვნებლივ გაისმა სირენის ხმა, რომელიც მებრძოლებს გაზის შეტევის შესახებ აფრთხილებდა. ჩვენ მაშინვე ჩამოვიცვით აირწინაღები, ხოლო შემდეგ მოვიდა ჯგუფი, რომელსაც უნდა დაედგინა, იყო თუ არა გაზის შეტევის საფრთხე. ვითარება ამ კონფლიქტში ისეთია, რომ ერაყული მხარისგან ცეცხლის გახსნა ნებისმიერ წუთს არის მოსალოდნელი, ხოლო ამ დარტყმას კი, ყველა ქიმიურ ან ბიოლოგიურ საფრთხედ აღიქვამს და დაუყოვნებლივ იცვამენ აირწინაღებს."

*ბი-ბი-სი*

# უთანხმოებები ერაყის მომავალი მოწყობის შესახებ

ჯონ ლოუბი

*„აზია ტაიმსი"*

როდესაც ბაღდადის პირველი დაბომბვის შემდეგ, ხუთშაბათს დილით, სადამ ჰუსეინი ტელეეკრანებზე ცოცხალი და უვნებელი გამოჩნდა, ვაშინგტონში ზოგიერთმა შვებით ამოისუნთქა. დაბომბვა რომ წარმატებით დასრულებულიყო და მას სადამი და მისი ორი ვაჟი შესწირვოდა, ვაშინგტონის სამხედრო სტრატეგია მნიშვნელოვნად შეიცვლებოდა. მაგრამ, ნეოკონსერვატორებისათვის სასიხარულოდ, სადამი გადარჩა და ერაყის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებებიც მთელი ძალით გრძელდება.

"ის, რომ სადამს ვერ მოვარტყით, შესაძლოა ჩვენთვის უკეთესი იყოს, – ნათქვამია ნეოკონსერვატიზმის "ბუდის", "ემერიკენ ენტერპრაიზ ინსტიტუტის" მიერ გავრცელებულ წერილში, -- გამარჯვება იზომება არა იმით, როგორ დაიწყებ ომს, არამედ იმით, თუ სად და როდის დაამთავრებ," – ნათქვამია ინსტიტუტის თანამშრომლის, ტომ დონელის მიერ გავრცელებულ წერილში.

"ბაღდადში შესვლა" ნიშნავს უფრო მეტს, ვიდრე ქალაქის ოკუპაციაა. ეს ნიშნავს სადამიზმის ძირფესვიანად ამოძირკვას.

ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის, მათ შორის, თავდაცვითი პოლიტიკის საბჭოს თავმჯდომარე რიჩარდ პერლისათვის, სადამიზმის ამოძირკვა პირველი ნაბიჯია მთელი ახლო აღმოსავლეთის გარდაქმნის გზაზე. თუ ამერიკელები ერაყში შუა გზაზე შეჩერდნენ, მათ შეიძლება ეს იმედი გაუცრუვდეს.

11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ, ჯერ მტვერი ბოლომდე დამჯდარი არ იყო, როდესაც შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ გადაწყვიტა, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ომი ერაყზეც უნდა გავრცელებულიყო. 18 თვის შემდეგ მოკავშირეები ერაყში შევიდნენ.

ვაშინგტონში ომის მომხრეთა კოალიცია, ძირითადად, თავდაცვის მინისტრ რამსფელდისა და ვიცე-პრეზიდენტ ჩეინის გარშემოა შეკრებილი და ძირითადად სამ კატეგორიად იყოფა: ულტრა-მემარჯვენე ნაციონალისტები, ჩეინისა და რამსფელდის სახით, ნეოკონსერვატორები, რომლებიც ამ ორი ადამიანის ხელქვეითთა უმრავლესობას შეადგენენ, მათ შორის - რამსფელდის მოადგილე პოლ ვოლფოვიცი და ქრისტიან-კონსერვატორები, რომლებიც პრეზიდენტ ბუშის უშუალო გარემოცვას ეკუთვნიან.

მართალია, სამივე ჯგუფი შეთანხმდა მოქმედების ტაქტიკის შესახებ, რაც სხვათა შორის, გულისხმობს სახელმწიფო მდივან პაუელისა და მამა-ბუშის გარემოცვიდან სხვა "რეალისტების" მარგინალიზაციას, მაგრამ სტრატეგიულ საკითხებზე, მათ შორის - ომის შემდგომი ერაყის მოწყობაზე, მათ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს.

"ქორების კოალიციაში განხეთქილება ულტრა-მემარჯვენეებსა და ნეოკონსერვატორებს შორის გარდაუვალია," – ამბობს ჩარლს კუპჩანი, საგარეო ურთიერთობების საბჭოს ანალიტიკოსი და, კლინტონის პერიოდში, ეროვნული უშიშროების საბჭოს სტრატეგი.

"ულტრა-მემარჯვენეებისათვის მთავარია სადამისა და მის ხელთ არსებული მასობრივი მოსპობის იარაღის განადგურება. როგორც კი ამას გააკეთებენ, მემარჯვენეები მაშინვე განაცხადებენ, რომ საქმე მოთავებულია და ერაყში მათ აღარაფერი ესაქმებათ".

ნეოკონსერვატორებს კი სურთ, რომ ბაასის ისეთივე დისკრედიტაცია მოხდეს, როგორც 1945 წელს გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიისა. მათ ასევე სურთ, რომ ერაყი პლაცდარმად გამოიყენონ, საიდანაც ირანზე, სირიასა და საუდის არაბეთზე ზეწოლას განახორციელებენ.

მესამე დაჯგუფება, ქრისტიან-კონსერვატორები, კუპჩანის აზრით, უფრო რამსფელდსა და ჩეინის დაუჭერს მხარს, ვიდრე ნეოკონსერვატორებს.

სამ ფრთას შორის არსებული განსხვავებები აშკარად გამოჩნდა ჯერ კიდევ ავღანეთის კამპანიის დროს, სადაც რამსფელდი და ჩეინი კატეგორიული წინააღმდეგნი იყვნენ იმისა, რომ სამშვიდობო ჯარების მანდატი მთელ ავღანეთზე გავრცელებულიყო და ავღანეთის ახალი სახელმწიფო ინსტიტუტები ამერიკას აეშენებინა. ულტრა-მემარჯვენეები შიშობდნენ, რომ ეს ხელს შეუშლიდა ალ-ქაიდასა და ბინ-ლადენის წინააღმდეგ ოპერაციების განხორციელებას.

დღეს, ავღანეთის კამპანია ისეთ შედეგს იძლევა, როგორსაც ნეოკონსერვატორები წინასწარმეტყველებდნენ - ცენტრალური ხელისუფლების გავლენა ქაბულს არ სცილდება, ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიას კი სამხედრო ბელადები აკონტროლებენ. არ შეიძლება, ერაყიც ისეთივე ქაოსში დავტოვოთ, როგორშიც ახლა ავღანეთია, – ამტკიცებენ ნეოკონსერვატორები.

მართალია, რამსფელდიც და ჩეინიც ცალყბად ამტკიცებენ, რომ ერაყის ოკუპაცია პირველი ნაბიჯია მთელი რეგიონის დემოკრატიზაციისაკენ, მაგრამ, ამავე დროს, სწორედ ისინი აცხადებდნენ, რომ სადამის ემიგრაციაში წასვლა ომს უკვე არასაჭიროს გახდიდა.

ეს მოსაზრება ნეოკონსერვატორებს სერიოზულად აღიზიანებთ. მათი მომხრე მედიის, რუპერტ მერდოკის კუთვნილი "უიკლი სტანდარტის" და "ფოქს ნიუსის", ასევე "უოლ სტრიტ ჯორნელის" გვერდებიდან ისინი მუდმივად საწინააღმდეგოს ამტკიცებენ.

ნეოკონსერვატორები ამტკიცებენ, რომ აუცილებელია ერაყის "დე-ბაასიზაცია", თანაც, ვაშინგტონმა უნდა გამოიყენოს ეს შანსი, რათა დაუმტკიცოს მსოფლიოს, რომ მას ომის წარმოებაცა და ქვეყანაში პოლიტიკური სისტემის რეფორმირებაც შეუძლია.

"სადამიზმი სადამის გარეშე" მათთვის ყველაზე უარესი გამოსავალი იქნება. ამიტომ, ნეოკონსერვატორები მკაცრად აკრიტიკებენ სახელმწიფო დეპარტამენტსა და ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს, რომლებიც ომის წინააღმდეგნი არიან და, მის ნაცვლად, სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზებას ანიჭებენ უპირატესობას.

ნეოკონსერვატორებს სურთ ერაყის მმართველი რეჟიმის სრული განადგურება და ხელისუფლებაში ერაყის ნაციონალური კონგრესის მოყვანა, რომლის ხელმძღვანელ ჩალაბისაც პერლსა და ვოლფოვიცთან მეგობრული ურთიერთობები აკავშირებს. მათ იმედი აქვთ, რომ ჩალაბი სხვა რეჟიმებზე ზეწოლის განხორციელებაში დაეხმარება.

ამიტომაც, მათთვის სადამისა და მისი უახლოესი გარემოცვის ლიკვიდაცია, ერაყის ოკუპაციის გარეშე არასაკმარისია.

# „ჩეჩნების 95-მა პროცენტმა ხმა მისცა ახალი კონსტიტუციის მიღებას"

რევაზ ბახტაძე

კვირას ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად, ჩეჩნეთი რუსეთის შემადგენლობაში დარჩება. მალე ჩეჩნეთში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსაც აირჩევენ.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლის თქმით, რეფერენდუმში მონაწილეობა ამომრჩეველთა 82 პროცენტმა მიიღო. ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ხალხის აქტიურობით ისინი გაკვირვებულები დარჩნენ. "ამას ყველაზე ოპტიმისტური გათვლებითაც არ მოველოდით", - განაცხადა მოსკოვის მიერ დანიშნული ჩეჩნური ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა აჰმად კადიროვმა.

ხელისუფალთა მტკიცებით, ხალხს მშვიდობა სურს და რეფერენდუმის წარმატებით ჩატარებაც სწორედ ამით აიხსნება.

ადგილობრივი უფლებადამცველების მტკიცებით, ადგილი ჰქონდა მასშტაბურ გაყალბებას. არასამთავრობო ორგანიზაცია "მემორიალმა" კი ამომრჩეველთა მაღალი აქტიურობაც ეჭვქვეშ დააყენა.

არადა, ამ რეფერენდუმს კრემლისთვის უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა. ამომრჩეველთა აქტიურობით პუტინი შეეცადა რუსებისა და საერთაშორისო თანამეგობრობისათვის ეჩვენებინა, რომ ხალხი ომით დაიღალა, მათ მშვიდობა სურთ, რომლის ერთადერთი გარანტი სწორედ რუსეთის ცენტრალური ხელისუფლებაა. ამას გარდა, რეფერენდუმის შემდეგ, კრემლს საშუალება მიეცემა, ახალი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები ჩაატაროს, რითაც შეეცდება ასლან მასხადოვს ლეგიტიმური საფუძველი გამოაცალოს. ახლა კადიროვს უკვე "პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად" მოიხსენიებენ.

საერთაშორისო დამკვირვებლების თქმით, "კენჭისყრა იდეალური არ იყო". "ინტერფაქსის" ცნობით, ეუთო-ს წარგზავნილი ჯგუფის ლიდერმა ბალიან ჰრაირმა განაცხადა, რომ "რეფერენდუმის ორგანიზებასა და კენჭისყრის პროცესს შეცდომების გარეშე არ ჩაუვლია". თუმცა, რეფერენდუმი "საზოგადოებაში პოლიტიკური ცვლილებების საწყისია", - დასძინა მან.

დსთ-ს დამკვირვებელთა შეფასებით კი, რეფერენდუმი "გამჭვირვალე და ორგანიზებული" იყო. მათ შეფასებას იზიარებენ ინდონეზიიდან, მალაიზიიდან, ომანიდან, არაბული ლიგიდან, აფრიკულ-აზიური სოლიდარობის ორგანიზაციიდან წარგზავნილი დამკვირვებლებიც. დსთ-ს ამჟამინდელი დასკვნა ძალიან ჰგავდა თვის დასაწყისში სომხეთის არჩევნების შემდეგ გაკეთებულ შეფასებას, სადაც აღნიშნული ორგანიზაციის მტკიცებით, არჩევნებმა უნაკლოდ ჩაიარა.

რეფერენდუმის შედეგების თანახმად, ახალი კონსტიტუციის მიღებას 95.5 პროცენტმა დაუჭირა მხარი, ხოლო პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევას - 96 პროცენტმა.

რეფერენდუმის დროს უსაფრთხოების ზომები განსაკუთრებით გამკაცრებული იყო. ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა მინისტრის თქმით, საარჩევნო უბნებს 14000 პოლიციელი და ჯარისკაცი იცავდა.

"თითოეულ უბანზე 10-15 პოლიციელი იმყოფებოდა. გამნაღმველებმა ყველა უბანი შეამოწმეს", - აღნიშნა მინისტრმა სულთან სათუიევმა. ჩეჩნეთის უსაფრთხოებას ჰაერიდან შვეულმფრენებით აკონტროლებდნენ.

მართლაც, რეფერენდუმმა მშვიდად ჩაიარა და უბნებზე შეიარაღებული თავდასხმა არ მომხდარა. კრემლმა ტელევიზიით საგანგებოდ აჩვენა ის 46 ჩეჩენი მებრძოლი, რომლებმაც იარაღი ჩააბარეს და სანაცვლოდ თავისუფლება მიიღეს. რეფერენდუმში მონაწილეობა დაღესტანში მყოფმა დევნილმა ჩეჩნებმაც მიიღეს.

აღსანიშნავია, რომ ასლან მასხადოვი რეფერენდუმის ჩატარებას ეწინააღმდეგებოდა.

ახლა, უკვე მიღებული ჩეჩნური კონსტიტუციის თანახმად, საპრეზიდენტო არჩევნები ნახევარი წლის შემდეგ უნდა ჩატარდეს.

კენჭისყრის შედეგების გამოცხადების შემდეგ, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა განცხადება გააკეთა, რომ ჩეჩენმა ხალხმა რუსეთთან ერთად მშვიდობისა და განვითარების სასარგებლოდ გააკეთა არჩევანი. "ჩვენ მოვაგვარეთ უკანასკნელი სერიოზული პრობლემა, რომელიც რუსეთის ფედერაციის ტერიტორიულ მთლიანობას ემუქრებოდა, - კმაყოფილებას ვერ მალავდა სახელმწიფოს მეთაური, - ვისაც დღემდე იარაღი არ დაუდვია, იბრძვის არამარტო ყალბი იდეალებისათვის, არამედ ებრძვის საკუთარ ხალხს".

ექსპერტების აზრით, ძნელი დასაჯერებელია, რომ საეჭვო ლეგიტიმურობის მქონე რეფერენდუმმა ჩეჩენი მებრძოლების შეჩერება შეძლოს, რომლებიც დღემდე სისხლს უშრობენ რუს სამხედროებს და რეგიონში სტაბილურობის დამყარების თაობაზე გაკეთებულ კრემლის განცხადებებს მოულოდნელი თავდასხმებით აქარწყლებენ.

# ლონდონში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებლობას აპროტესტებენ

*დღეს, ლონდონში, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის ("ი-ბი-არ-დი") შენობასთან საპროტესტო აქციას გამართავს გარემოსდაცვითი საერთაშორისო ორგანიზაცია "დედამიწის მეგობრები". აქციაში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი და ქურთი ეროვნების მოქალაქეებიც. აქციაზე, რომელიც შემდეგი სახელწოდებით - "არ დავხარჯოთ ფული ახალი ნავთობსადენისათვის" იმართება, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის შეწყვეტას მოითხოვენ. ქართული არასამთავრობოები ლონდონელებს თბილისშიც გამოეხმაურებიან.*

სოფო კვინტრაძე

"დედამიწის მეგობრები" ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ხელმძღვანელობისაგან "ბი-თი-სის" ნავთობსადენის მშენებლობის დაფინანსებაზე უარის თქმას მოითხოვენ. როგორც ცნობილია, ბრიტანულმა კომპანიამ "ბრითიშ პეტროლეუმმა" ნავთობსადენის მშენებლობისათვის საჭირო თანხის ნაწილი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისაგან ითხოვა, მათ შორის - "ი-ბი-არ-დისა" და "აი-ეფ-სისაგან". აღნიშნულ ორგანიზაციებს კი ნავთობსადენის დაფინანსების საკითხი ჯერ საბოლოოდ არ გადაუწყვეტიათ. ისინი არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციებს მართავენ და საზოგადოებრივი აზრის მონიტორინგს ახორციელებენ.

დღევანდელი აქციის მონაწილეები "ი-ბი-არ-დის" ოფისის წინ გიგანტურ, 150-მეტრიან სიმბოლურ მილსადენს ააშენებენ, რომელსაც ინგლისურ, ქართულ და ქურთულ ენაზე დაწერილი საპროტესტო ლოზუნგები დაამშვენებს. შემდეგ აქცია "ბი-პის" ოფისთან გადაინაცვლებს. როგორც "დედამიწის მეგობრების" წარმომადგენელი ნიკ რაუ აცხადებს, **"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტი შეიცავს უდიდეს საფრთხეს გარემოსათვის. არ უნდა დავუშვათ, რომ ბრიტანელ გადამხდელთა ფული ამ დამანგრეველ და საშიშ მილსადენს მოხმარდეს."**

"დედამიწის მეგობრები" მოუწოდებენ ინგლისელებს, უარი თქვან მათ მიერ გადახდილი გადასახადები ნავთობსადენის მშენებლობას მოხმარდეს, ვინაიდან ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ნაწილობრივ სწორედ მოსახლეობის მიერ გადახდილი გადასახადებით ფინანსდება. აქციის მონაწილეებს მოჰყავთ შემდეგი ძირითადი არგუმენტები, რის გამოც მშენებლობა უნდა შეწყდეს: კლიმატური ცვლილებები, რაც შეიძლება გამოიწვიოს ნავთობის დაწვამ; ნავთობის დაღვრის შემთხვევაში გარემოს დაბინძურება, რაც "მეგობრების" აზრით, გარდაუვალია; საქართველოში (კერძოდ, ბორჯომის რაიონში) უნიკალური წყლების დაბინძურების საშიშროება; ტერორისტული აქტების საფრთხე; თურქეთში სამი მილიონი ქურთის საცხოვრებელი ადგილებიდან აყრა და ამის ნიადაგზე ეთნოკონფლიქტების გაღრმავება; კორუფციის მასშტაბების გაზრდა და სხვა.

დღეს საპროტესტო აქცია "ი-ბი-არ-დის" შენობასთან თბილისშიც გაიმართება, რომელშიც მონაწილეობას რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია მიიღებს. აქციის მონაწილეები მოითხოვენ, რომ ნავთობსადენის მშენებელმა კომპანიამ პატივი სცეს საქართველოს კანონმდებლობას და პროექტში ჩადოს გარანტიები გარემოსდაცვით, კულტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ სფეროებზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად; გათვალისწინებული უნდა იყოს სიღარიბის შემცირებისა და ქვეყნის დემოკრატიულობის ხარისხის გაზრდის მექანიზმებიც. **"ჩვენ ვიბრძვით მომავლისთვის და არა ნავთობისთვის,"** - აცხადებენ ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები. ისინი ბანკის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს წევრებს მიმართვას გადასცემენ, რომელშიც ნათქვამია, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი აუცილებლად უნდა გადაამოწმონ საერთაშორისო ექსპერტებმა და შესაბამისი დასკვნებიც წარუდგინონ პროექტის მშენებლებსა და დამფინანსებლებს.

# "თბილგაზის" ტენდერი ხუთშაბათისთვის გადაიდო

*გუშინ სატენდერო კომისიამ "თბილგაზის" მომავალი მენეჯერი ვერ გამოავლინა და ტენდერში მონაწილე კომპანიებს: "ამხანაგობა – ახალ მენეჯმენტსა" და "საქტრანსგაზმრეწვს" ხუთშაბათამდე დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა მოსთხოვა. მერიას ტენდერში მონაწილე კომპანიებისგან ფინანსური უზრუნველყოფისა და ბუნებრივი აირის უწყვეტი მიწოდების გარანტიები სურს.*

მაია ურუშაძე

გუშინ სატენდერო კომისიას "თბილგაზის" 10-წლიანი მართვის უფლებით გაცემის საკითხი უნდა გადაეწყვიტა და გამარჯვებული კომპანია გამოევლინა. მაგრამ, ტენდერში მონაწილე ორი კომპანიის მიერ წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ არ დააკმაყოფილა 18-კაციანი სატენდერო კომისია, რომლის შემადგენლობაშიც თბილისის მერიის წარმომადგენლები, საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები და თბილისის პრემიერი გია შერაძე შედიან. **"კომისიას დაებადა უამრავი დამატებითი შეკითხვა, რაც ნიშნავს, რომ პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი პროგრამები არ იყო ბოლომდე დამუშავებული. ჩვენთვის მთავარია, არიან თუ არა ეს კომპანიები იმდენად ძლიერები, რომ "თბილგაზს" მიხედონ,"** - განაცხადა ქალაქის ვიცე-პრემიერმა გიორგი კარბელაშვილმა.

როგორც გაირკვა, სატენდერო კომისიამ "საქტრანსგაზმრეწვსა" და "ახალ მენეჯმენტს" საკრედიტო გარანტია მოსთხოვა. კომისიის წევრის, ენერგეტიკის საკითხების საქალაქო სამსახურის უფროსის, თემურ ჭინჭარაულის განცხადებით, კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ როგორც თანხის, ასევე გაზის მიწოდების გარანტიები.

ამხანაგობა "ახალი მენეჯმენტის" წარმომადგენლები მიმდინარე ტენდერის კომენტირებისგან თავს იკავებენ. ამხანაგობის ერთ-ერთმა წევრმა, გაზის ტრანსპორტირების კომპანიის მთავარმა ინჟინერმა ნოდარ გობიანიძემ ჟურნალისტებს მხოლოდ ის განუცხადა, რომ **"არის დამატებითი საკითხები, რომლებიც დაზუსტებას მოითხოვს."**

ტენდერის მიმდინარეობით უკმაყოფილებას არ მალავენ "საქტრანსგაზმრეწვის" წარმომადგენლები. "საქტრანსგაზმრეწვის" დირექტორის მოადგილე დავით ფაცურიშვილი აცხადებს, რომ მათთვის სატენდერო კომისიის მხრიდან დამატებითი გარანტიების მოთხოვნა მოულოდნელი არ ყოფილა, მაგრამ დოკუმენტაციის შესაგროვებლად ძალიან მცირე დრო იყო გამოყოფილი და ამის გამო **"ნახევარი საქმე ვერ მოესწრო."**

# რუსი ჯარისკაცები მაისიდან ხელფასებს ლარებში მიიღებენ

სოფიკო ოხანაშვილი

თბილისში, ბათუმსა და ახალქალაქში დისლოცირებული რუსეთის ჯარები და სამხედრო ბაზებში მომუშავე ადგილობრივი პერსონალი მაისიდან ხელფასებს საქართველოს ეროვნულ ვალუტაში მიიღებენ. გუშინ საქართველოს ეროვნული ბანკისა და რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის ვიცე-პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს საქართველოს ეროვნულ ბანკში რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშის გახსნისა და საკასო ოპერაციების წარმოების შესახებ ტექნიკურ ხელშეკრულებას. დოკუმენტი ძალაში ხელმოწერისთანავე შევიდა; თუმცა, საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის მერაბ კაკულიას თქმით, ლარებში ხელფასების გაცემა, ტექნიკური მიზეზების გამო, მხოლოდ ერთ თვეში იქნება შესაძლებელი. ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობამ კონკრეტულად ვერ დაასახელა, თუ ყოველწლიურად რა თანხებს ხარჯავდა რუსული მხარე საქართველოში განლაგებული სამხედრო ბაზების დასაფინანსებლად. თუმცა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ირაკლი მანაგაძის თქმით, საუბარია წელიწადში დაახლოებით 15 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის თანხაზე.



ოლეგ მოჟაისკოვი და ირაკლი მანაგაძე

მანაგაძის ინფორმაციით, სამწუხაროდ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები არ ვრცელდება გუდაუთის სამხედრო ბაზაზე, სადაც მიმოქცევაში კვლავ რუსული რუბლი დარჩება; მაგრამ, მისივე ცნობით, ხელმოწერილ დოკუმენტში გუდაუთის საკითხის მოწესრიგებაც იგეგმება.

რუსეთის დელეგაციას რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის ვიცე-პრეზიდენტი ოლეგ მოჟაისკოვი ხელმძღვანელობდა. **"თუ საქართველოს ხელისუფლებას სურს, რომ მის ტერიტორიაზე ეროვნული ვალუტა იყოს ბრუნვაში და ხელფასებს მხოლოდ ლარებში არიგებდეს, ეს მისი უფლებაა და ჩვენ არაფერი გვეთქმის. ყველა ქვეყანას აქვს უფლება დაიცვას თავისი ინტერესები. ჩვენ კი პატივი უნდა ვცეთ ჩვენი მეზობელი ქვეყნის გადაწყვეტილებას",** - განაცხადა მოჟაისკოვმა.

# ლონდონი სითი და საქართველო პარტნიორობაზე საუბრობენ

ნინო ნარჩემაშვილი

**"საქართველოში ეკონომიკური პროცესების განვითარებისათვის აუცილებელია ისეთი ბიზნესკლიმატის შექმნა, რომლის პირობებში ადგილობრივ და უცხოურ კომპანიებს წარმატებული განვითარება შეეძლებათ. ასეთ გარემოს კი მთავრობის მხარდაჭერა და ხელშეწყობა არა მხოლოდ კანონების მიღებით, არამედ პროცესების გამჭვირვალობის, საჯაროობის და კარგი რეგულირების უზრუნველყოფით სჭირდება,"** – განაცხადა ლონდონი სითის მერმა სასტუმრო "მარიოტში" საქართველოს ბიზნესკონფედერაციის წევრებთან გამართულ შეხვედრაზე.

ლონდონი სითის მერის - ალდერმენ გევინ ართურის საქართველოში ვიზიტის მიზანი საერთაშორისო საფინანსო საზოგადოებასა და ქართულ საქმიან წრეებს შორის ურთიერთობის დამყარება გახლავთ. მისი თქმით, საქართველოში ვიზიტის მსვლელობისას მიმდინარეობს შეხვედრები მინისტრებთან და მსხვილ ბიზნესმენებთან; განიხილება, თუ როგორ და რითი შეუძლიათ ლონდონი სითის ფინანსურ სამსახურებს საქართველოს ეკონომიკის განვითარებას შეუწყონ ხელი. ბატონი ართურის განცხადებით, დღეისათვის ლონდონი სითი მსოფლიოში ყველაზე დიდ ფინანსურ ცენტრს წარმოადგენს და მასში ყველა გლობალური საფინანსო ინსტიტუტია წარმოდგენილი. რჩევების მისაღებად და საჭირო თანხებისა თუ ფონდების მოსაძიებლად აქ თავს იყრიან სხვადასხვა ქვეყნის მთავრობათა წარმომადგენლები და ინვესტორები. მისივე განცხადებით, ლონდონი სითი ამჟამად ფინანსური მომსახურების ერთიანი ბაზრის დახვეწაზე მუშაობს, რაც ევროკავშირის ფონდებისა და ინვესტიციების მიმოქცევას გააიოლებს და გაათავისუფლებს ზედმეტი ბარიერებისაგან. ეს კი გახსნის დიდ, ახალ ბაზრებს შიდა კაპიტალდაბანდებებისათვის და ევროკავშირის საზღვრებს გარეთ მიმართული პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის.



ბრიტანეთის საბჭოს ახალ შენობაში.

საქართველოს ბიზნესკონფედერაციის პრეზიდენტის ფადი ასლის შეფასებით, თბილისში ლონდონი სითის მერის ვიზიტი საქართველოსადმი საერთაშორისო საზოგადოების დიდი ინტერესის კიდევ ერთი დასტურია. შეხვედრაზე ფადი ასლიმ იმედი გამოთქვა, რომ **"საქართველოს მთავრობისა და საქმიანი წრეების წარმომადგენლები ბატონი ართურის ვიზიტს ორ ქვეყანას შორის ახალი საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის გამოიყენებენ."** რაც შეეხება უკვე არსებულ კავშირებს, ფადი ასლის ინფორმაციით, საქართველოში ამჟამად მომუშავე 27 დამოუკიდებელი კომერციული ბანკისა და 23 სადაზღვევო კომპანიის უმეტესობა სწორედ ლონდონი სითისთან თანამშრომლობენ საფონდო ბირჟაზე.

როგორ აფასებენ ლონდონი სითის მერის ვიზიტს ქართული საქმიანი წრეების წარმომადგენლები? "თი-ბი-სი ბანკის" პრეზიდენტის მამუკა ხაზარაძის განცხადებით, ნებისმიერი მსგავსი ხასიათის შეხვედრა მნიშვნელოვანია, რადგან ბიზნესი, საბოლოო ჯამში, კონტაქტებისა და ურთიერთობების შედეგია. სასარგებლო იქნება საქართველოშიც გაკეთდეს თბილისი სითი, რომელიც მთლიანად კავკასიას მოიცავს.

სააქციო საზოგადოება "კონტინენტალის" გენერალური დირექტორის ზურაბ აგლაძის განცხადებით, იმის გათვალისწინებით, რომ ლონდონი სითი მსოფლიო ფინანსური ცენტრის პოზიციას ფლობს და ინვესტიციების მოზიდვას დიდი წარმატებით ახორციელებს, ძალზე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მისი სურვილი - იმუშაოს საქართველოს საქმიან წრეებთან.

გუშინვე რუსთაველის გამზირის №34-ში ოფიციალურად გაიხსნა ბრიტანეთის საბჭოს ახალი შენობაც, რომელიც ასევე ლონდონის სითის ლორდ მერის საქართველოში პირველ ვიზიტს დაემთხვა. ბრიტანეთის საბჭოს ახალ შენობაში გადასვლა, თავის მხრივ, დაემთხვა, მისი საქართველოში არსებობის 10 წლის იუბილეს, რადგან 1993 წელს განათლების სამინისტროში პირველად გაიხსნა ბრიტანეთის საბჭოს ოფისი.

ახალი შენობის გახსნის ოფიციალურ ცერემონიალს საპატიო სტუმრების გარდა, ესწრებოდნენ ბრიტანეთის ელჩი საქართველოში, დებორა ბარნს ჯოუნსი, საქართველოში ბრიტანეთის საბჭოს დირექტორი, ჯო ბაკოვსკი, საქართველოს კულტურის მინისტრი, სესილი გოგიბერიძე და განათლების მინისტრი - ალექსანდრე კარტოზია.

ვარდისფერი ბაფთის გაჭრამდე ლორდ მერმა ბრიტანეთის საბჭოს მიერ ჩატარებულ კონკურსში გამარჯვებული ქართულ საფინანსო თუ იურიდიულ სექტორში მომუშავე ბიზნესმენები სერტიფიკატებით დააჯილდოვა - ჯაბა მამულაშვილი, ლევან ნოზაძე, გიორგი ღლონტი, ვიქტორ ყიფიანი, პაატა ლომაძე რამდენიმე თვის მანძილზე სტაჟირებას გაივლიან დიდი ბრიტანეთის ცნობილ კომპანიებში.

დღეს ლონდონი სითის მერი შეხვდება საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს და შემდეგ თბილისიდან ლონდონში გაემგზავრება.

# რას გვთავაზობს ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი

ნიკო ორველაშვილი
ირაკლი შავიშვილი
ოთარ ზოიძე
გია ჯანდიერი
აკაკი ჩარგეიშვილი
თემურ ქელიძე

*საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი შეიქმნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტის ბაზაზე ორგანიზებული ქართველი და ევროპელი სპეციალისტებისგან შემდგარი ჯგუფის მიერ, საპარლამენტო ფრაქცია "მრეწველების" ინიციატივით, საქართველოს პრეზიდენტის მხარდაჭერითა და მთავრობის წარმომადგენელთა მონაწილეობით. პროექტი სრულად ითვალისწინებს საქართველოს სინამდვილეში არსებულ პრობლემებს, მათ სპეციფიკურობას და შეიცავს მათი გადაჭრის ქმედით მექანიზმებს, რომლებიც შემუშავებულია ქართული და საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე.*

## ახალი კოდექსის მიზნები და პრინციპები

ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი გულისხმობს არსებული სისტემის ძირეულ რეფორმას, რომლის ძირითადი მიზნებია:

საგადასახადო ბაზის ლეგალიზება მოქმედი სისტემის გამარტივებით - *გადასახადების რაოდენობის შემცირების, მათი გამოთვლისა და გადახდის წესებში მაქსიმალური სიცხადის შეტანით*;

გადასახადების დამალვისა და კორუფციული გარიგებების მოტივების მკვეთრად შესუსტება გადასახადის ეკონომიკური მიზანშეწონილობისა და მისი გადახდის გარდაუვალობის პრინციპების დამკვიდრებით;

ინვესტიციების სტიმულირებით სისტემის ორიენტირება ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაზე.

საგადასახადო კოდექსის წარმოდგენილი პროექტი ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

გადასახადის გადამხდელი და სახელმწიფო ადმინისტრაცია საგადასახადო ურთიერთობებს უნდა ამყარებდნენ როგორც თანასწორუფლებიანი პარტნიორები;

გადასახადის გადახდა სავალდებულო და გარდაუვალია, საგადასახადო ვალდებულება აუცილებლად უნდა შესრულდეს;

გადასახადი და მისი ადმინისტრირების წესები არ უნდა არღვევდეს ადამიანის ძირითად, მათ შორის - ეკონომიკურ და სოციალურ უფლებებს. საგადასახადო ტვირთის სიმძიმე უნდა იყოს გონივრული და გადამხდელისთვის ასატანი;

ყოველი გადასახადი უნდა იყოს ეკონომიკურად მიზანშეწონილი, გრძელვადიანი, შედეგები კი პროგნოზირებადი და გამართლებული. გადასახადის შემოღება დაუშვებელია ხანმოკლე ფისკალური ან სხვა ლოკალური შედეგის მისაღწევად, თუ ცხადია, რომ საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში ის გადაიქცევა ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად. გაუმართლებელია გადასახადის დაწესება, თუ მას არ ექნება გონივრული ფისკალური შედეგი;

გაუმართლებელია გადასახადების დაწესება, თუ მისი ადმინისტრირების შესაძლებლობა საეჭვოა, ხოლო მოსალოდნელი ეფექტი – არაპროგნოზირებადი. გადასახადის ადმინისტრირების რეჟიმი უნდა იყოს გამჭვირვალე და მაქსიმალურად გამორიცხავდეს კორუფციულ ქმედებათა შესაძლებლობას;

საგადასახადო ადმინისტრაციისთვის მინიჭებული ფუნქციები უნდა დაბალანსდეს შესაბამისი პასუხისმგებლობით. გაუმართლებელია ადმინისტრაციისათვის პასუხისმგებლობით დაუბალანსებელი და უკონტროლო უფლებების მინიჭება, ვინაიდან ასეთი ძალაუფლება, როგორც წესი, ბოროტად გამოიყენება;

გადასახადი უნდა იყოს სტაბილური, რათა გადამხდელს ჰქონდეს თავისი საქმიანობის გრძელვადიანი დაგეგმვის შესაძლებლობა. საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე მიღებული ცვლილებების ძალაში შესვლის პროცედურები მკაცრად რეგლამენტირებული უნდა იყოს.

**კოდექსის პროექტით შემოთავაზებულია პრინციპული სიახლეები. მაგალითად, არსებული გადასახადების რაოდენობის მკვეთრად შემცირება.** ამჟამად მოქმედი საგადასახადო კოდექსით დაწესებულია 12 საერთო-სახელმწიფოებრივი და 6 ადგილობრივი გადასახადი. პროექტი კი ითვალისწინებს მხოლოდ **სამი** სახის საერთო-სახელმწიფოებრივ და **ერთი** სახის ადგილობრივ გადასახადს.

რაც შეეხება კოდექსიდან ამოღებულ გადასახადებს, მათი ერთი ნაწილი ტრანსფორმირდება სალიცენზიო ან ადგილობრივ მოსაკრებლებად (მაგ. სათამაშო ბიზნესის და საკურორტო), ხოლო მეორე ნაწილი კი უქმდება.

## სიახლეები ადმინისტრირების სისტემაში

საგადასახადო ტვირთის საგრძნობ შემსუბუქებასა და გადასახადის გადამხდელის კანონიერი უფლებების დაცვის ხარისხის ზრდასთან ერთად მკაფიო, გამჭვირვალე და მკაცრი ხდება ადმინისტრირების სისტემა, რითაც უაღრესად მძიმდება გადასახადის გადაუხდელობის რისკი. უფლებებისა და პასუხისმგებლობის ასეთი ბალანსი უზრუნველყოფს გადასახადის გადახდის გარდაუვალობის პრინციპის დამკვიდრებას.

მკაფიო და გამჭვირვალე ხდება საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრისა და მისი შესრულების, ანუ გადასახადების გაანგარიშებისა და მისი გადახდის, აგრეთვე საგადასახადო ანგარიშგების წესები, ხოლო კოდექსის მეოთხე წიგნი, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს საგადასახადო დავის განხილვის პროცედურებს, არსებითად საგადასახადო საპროცესო კოდექსს წარმოადგენს.

უაღრესად არსებითია, რომ საგადასახადო დავების განხილვა, ახალი კოდექსის პროექტის თანახმად, სასამართლოს გარდა დაიშვება კერძო არბიტრაჟებშიც. ამასთან, საგადასახადო დავის განმხილველი ორგანოს (სასამართლო თუ არბიტრაჟი) არჩევანის უფლება ენიჭება გადასახადის გადამხდელს. ახალი ინსტიტუტის ჩართვა საგადასახადო დავების განხილვის სისტემაში მნიშვნელოვნად გაზრდის ამ სახის დავების გადაწყვეტის სანდოობის ხარისხს და დააჩქარებს პროცესებს, რითაც ხელი შეეწყობა როგორც სასამართლოების გამტარუნარიანობის მაჩვენებლის გაუმჯობესებას, ისე ბიუჯეტის კუთვნილი თანხების დროულად და სამართლიანად მობილიზებას სახელმწიფო ხაზინაში.

იზრდება სასამართლოს როლიც. სასამართლოს როლის ამაღლება საგადასახადო ურთიერთობებში კი მეტ საჯაროობას სძენს პროცესს და ამაღლებს კანონიერების დაცვის გარანტიებს.

მეტად მნიშვნელოვანია გადამხდელებისათვის ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი გადასახადების სახაზინო ვალდებულებებით დაბრუნების მექანიზმი. გადამხდელს მისი სურვილისამებრ შეეძლება ზედმეტად გადახდილი გადასახადის ნაცვლად მიიღოს სახაზინო ვალდებულების ოფიციალური დოკუმენტი, რომელსაც შემდეგ თავისუფლად განკარგავს (გაყიდის, გაცვლის ან მომავალი პერიოდის გადასახადებში გაქვითავს). ამით დასრულდება ზედმეტად გადახდილი გადასახადების გადამხდელებისათვის დაბრუნების უსასრულოდ გაწელილი პროცესი, რომელიც კორუფციული გარიგებებისთვის ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენს.

## სიახლეები ცალკეულ გადასახადებში

**ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის თავში შედის პრინციპული სიახლე:** ერთდროულად ძალაში იქნება გადასახადის ორი რეჟიმი და თავად გადასახადის გადამხდელი აირჩევს მისთვის მისაღებ რეჟიმს. ეს რეჟიმებია:

რეჟიმი 15-პროცენტიანი განაკვეთით, გამოქვითვებით, სარგებლობის უფლებით (საოჯახო დაბეგვრის რეჟიმი);

რეჟიმი 10-პროცენტიანი განაკვეთით, გამოქვითვებით, სარგებლობის უფლების გარეშე (ინდივიდუალური დაბეგვრის რეჟიმი);

**იურიდიულ პირთა საშემოსავლო გადასახადის (ყოფილი მოგების გადასახადი) განაკვეთი** – განისაზღვრება 15 პროცენტით.

**დამატებული ღირებულების გადასახადს** პროექტი განიხილავს წამყვან საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადად. შემოთავაზებული მეთოდით ეს გადასახადი პრაქტიკულად საყოველთაოა.

ამ მოდელით დღგ-ით იბეგრება ოპერაცია და არა გადამხდელი, როგორც ეს დღეს მოქმედი კოდექსით არის გათვალისწინებული. აქედან გამომდინარე, უქმდება ცალკე დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის, აგრეთვე დღგ-ის ქვედა ზღვარის დადგენის საჭიროება.

დღგ-ის საანგარიშო პერიოდად ითვლება კალენდარული თვე. ამასთან, დეკლარაციის წარდგენის ვადად დაწესებულია საანგარიშოს მომდევნო თვის 15 რიცხვი, ხოლო გადასახადის გადახდის ვადად – მომდევნო 10 დღე. აღნიშნული ათდღიანი პერიოდი გადასახადის გადამხდელს საშუალებას აძლევს, დააზუსტოს თავისი ვალდებულება ბიუჯეტის წინაშე. ეს ნორმა ეფუძნება გადასახადის დეკლარირებასთან შედარებით გადასახადის გადახდის ფაქტის პრიორიტეტს.

**დღგ-ის განაკვეთად აღებულია დასაბეგრი ბრუნვის 15 პროცენტი.**

**პრინციპული სიახლეა ქონების გადასახადში პროგრესული სკალების შემოღება.** ასევე არსებითია საგადასახადო განაკვეთების მაკორექტირებელი ტერიტორიული კოეფიციენტების ამოქმედება, რითაც თვითმმართველობის ორგანოები ურბანული პოლიტიკის მართვის დამატებით, ქმედით ინსტრუმენტს შეიძენენ.

**ინსტრუქციები და განმარტებები.** კოდექსს განხილვის შედეგად ცალკე მუხლებად დაემატება ინსტრუქციული მასალა: დეკლარაციების ფორმები და მათი შევსების წესები, აგრეთვე ტერმინთა განმარტებები, რაც გამორიცხავს საგადასახადო ადმინისტრაციის თვითნებობას ამ საკითხში და აამაღლებს ამ მასალების ლეგიტიმაციის ხარისხს.

**კოდექსის დასკვნითი და გარდამავალი დებულებები.** წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს იმ საკანონმდებლო და ინსტიტუციურ ცვლილებებს, რომლებიც აუცილებლად უნდა გატარდეს იმისათვის, რათა კოდექსის პროექტით გათვალისწინებულ მექანიზმებს შეექმნას ამოქმედების საფუძველი. ასეთი ცვლილებებია:

გადამხდელთა (ყველა ფიზიკური პირის ჩათვლით) ელექტრონული აღრიცხვის ერთიანი ბაზის შექმნის დასრულება, აგრეთვე, დეკლარაციების ელექტრონული ფოსტით წარდგენისთვის აუცილებელი ღონისძიებების ჩატარება;

საგადასახადო ადმინისტრაციის ძირეული რეფორმა (მოიცავს ფინანსური პოლიციის ფუნქციების მატარებელი საფინანსო ლეგიონის შექმნასაც);

ცვლილებები და დამატებები მოქმედ კანონმდებლობაში.

აღნიშნული ცვლილებების განხორციელების შემდეგ წარმოდგენილი პროექტის ამოქმედება საფუძველს დაუდებს ეკონომიკური რეფორმის ახალ ეტაპს და მძლავრ სტიმულს მისცემს ეკონომიკური განვითარების პროცესს.

**პროექტის ამოქმედებით მიიღება შემდეგი ეფექტი:**

საგადასახადო სისტემის მკვეთრი გამარტივებით ადმინისტრაციული და კორუფციული ბარიერების მოხსნა და ბიზნესისა თუ გადამხდელების გათავისუფლება არაოფიციალური საგადასახადო წნეხისგან;

საინვესტიციო გარემოს მკვეთრი გაუმჯობესების გზით ინვესტიციების გადინების პროცესის შეჩერება და შიდა და გარე ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდა, რაც ძალიან სჭირდება ქართულ ეკონომიკას;

საგადასახადო ტვირთის თანაბრად გადანაწილებით და კანონის უზენაესობის რეალური განხორციელებით ლეგალური ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ამაღლება;

კორუფციით ერთ-ერთ ყველაზე უფრო დაზიანებულ, ფისკალურ სფეროში კორუფციის დონის მკვეთრი შემცირება;

მოკლევადიან პერსპექტივაში ნეიტრალური ფისკალური ეფექტი, ხოლო საშუალო და გრძელვადიან პერიოდში კი მისი თანდათანობითი და განუხრელი ზრდა.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ წარმოდგენილი პროექტი საფუძველს უყრის ძირეული ცვლილებების დაწყებას როგორც ეკონომიკურ, ისე მმართველობის სისტემაში. კოდექსი განიხილება, როგორც ხელშეკრულება საზოგადოებასა და მის მიერ არჩეულ ხელისუფლებას შორის, რომლის მიზანიც ქართული სახელმწიფოს მშენებლობაა. პროექტის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მიიჩნევა ის, რომ იგი დამყარებულია არა რომელიმე ცალკეული ჯგუფის, არამედ მთლიანად სამოქალაქო საზოგადოების ინტერესებზე.

მზადდება კოდექსით გათვალისწინებულ ცვლილებათა დანერგვის დეტალური გეგმა, რომლის განხორციელება 2003 წლის ბოლომდე სრულიად რეალურია და რითაც დიდი შვება უნდა იგრძნოს გადასახადის ყოველმა გადამხდელმა. ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაციის მასშტაბების ზრდასთან ერთად, განუხრელად გაიზრდება საბიუჯეტო შემოსავლები, რაც მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან გათანაბრების აუცილებელი წინაპირობაა.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ცხადია, რომ ახალი საგადასახადო კოდექსის მიღება სადღეისოდ ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა. შესაბამისად, საქართველოს საზოგადოება და ხელისუფლება (პარლამენტი და მთავრობა) ამ უმნიშვნელოვანეს და ქართული სახელმწიფოსთვის სასიცოცხლო საკითხში ერთსულოვანი უნდა იყოს.

# სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, თუ სასოწარკვეთილთა შეიარაღებული პროტესტი

პირველი გვერდიდან

მისაღებად ისევ ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრა მოითხოვეს. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ მათი სოციალური მოთხოვნები არ დაკმაყოფილდებოდა, ამბოხებულები მძიმე ტექნიკის გამოყენებით ქალაქის ცენტრში გასვლით იმუქრებოდნენ. მათ სამი ტანკის და ერთი ჯავშანტრანსპორტიორის ხელში ჩაგდება მოახერხეს.

იმავე ღამით, ამბოხებულების გასანეიტრალებლად და, როგორც ძალოვანი მინისტრები ამბობენ, სახელმწიფო გადატრიალების თავიდან ასაცილებლად, ოპერატიული შტაბი შეიკრიბა, სადაც შემუშავდა სამოქმედო გეგმა. ვინაიდან, წინასწარი ინფორმაციით, მოსალოდნელი იყო შეიარაღებული შეტაკება, ამიტომ შტაბის გადაწყვეტილებით, სამხედრო ნაწილის მიმდებარე ტერიტორიაზე "კომანდოს" ბატალიონი და შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალები განლაგდნენ.

სამხედრო მზადყოფნის პარალელურად ამბოხებულებთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრები, ასევე გენერალური პროკურორი, დეპუტატები გია ყარყარაშვილი და ირაკლი ბათიაშვილი. რამდენიმე საათიანი მოლაპარაკების შემდეგ ამბოხებულები, ყოველგვარი ძალის გამოყენების გარეშე, სამართალდამცავ ორგანოებს ჩაბარდნენ.

დაპატიმრებულის სამხედრო ბაზაში შეჭრის ერთ-ერთი ინიციატორი დავით მარტიაშვილი აცხადებს, რომ სამხედრო ნაწილის დაკავების საბაბი ვეტერანების მძიმე სოციალური პირობები და მათ წინააღმდეგ დაგეგმილი რეპრესიები გახდა.

თავდაპირველად ვეტერანთა სოციალურ პრობლემებზე საუბრობდნენ მოლაპარაკებად მისული ხელისუფლების წარმომადგენლებიც. თუმცა, მოგვიანებით, პრეზიდენტიც, ძალოვანი მინისტრები და გენერალური პროკურორი წინასწარ დაგეგმილ, ორგანიზებულ შეთქმულებაზე ალაპარაკდნენ.

**"აქცია რომ წინასწარ იყო დაგეგმილი, ამის თქმის საშუალებას გვაძლევს ის, რომ წუხანდელი თავდასხმის დროს ყოფილ სამხედროებს არც შენობაში შესვლისას და არც იარაღის მოთვისებისას ბაზაში მყოფმა სამხედროებმა წინააღმდეგობა არ გაუწიეს. გარდა ამისა, საქართველოს სამართალდამცავ სტრუქტურებს თავდასხმის შესახებ რამდენიმე დღით ადრე ჰქონდათ ინფორმაცია, მაგრამ რომელ სამხედრო კონფლიქტში მოხდებოდა შეჭრა, კონკრეტულად არ იყო ცნობილი. სწორედ მოსალოდნელი ამბოხების გამო 21 მარტიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალები ყაზარმულ მდგომარეობაზე იყვნენ გადასულნი,"** – ამბობდნენ გუშინ ერთმანეთის მიყოლებით გამართულ პრესკონფერენციებზე სამართალდამცავი სტრუქტურების ხელმძღვანელები.

ამბოხების შესახებ წინასწარ საქმის კურსში ყოფნას შინაგან საქმეთა მინისტრთან და გენპროკურორთან ერთად ადასტურებენ თავდაცვის მინისტრი და პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილიც. ისინი ამტკიცებენ, რომ შეთქმულება, რომლის მიზანიც საბოლოოდ სახელმწიფო გადატრიალება იყო, ქვეყნის გარედან იგეგმებოდა.

მართალია, დესტაბილიზაციის მომწყობ ქვეყანას არავინ ასახელებს, მაგრამ ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლები მინიშნებებს აშკარად რუსეთზე აკეთებენ. ერთ-ერთი ვერსიით, შეთქმულთა ზურგს უკან ეროვნული გვარდიის ყოფილი უფროსი თენგიზ კიტოვანი იდგა, რომელიც ამჟამად მოსკოვშია. თავად კიტოვანი ამბოხებულებთან კავშირს კატეგორიულად უარყოფს და მის გარშემო აგორებულ ახალ ჭორს, ქართული სპეცსამსახურების დაინტერესებით ხსნის.

თუმცა, სამართალდამცავმა სტრუქტურებმა უკვე გაავრცელეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ამბოხებულთა დიდი ნაწილი სწორედ კიტოვანის გვარდიაში ირიცხებოდა. ერთ-ერთი ორგანიზატორი დავით მარტიაშვილი კი ყოფილი პრემიერ-მინისტრის პირადი დაცვის წევრიც ყოფილა.

## სახელმწიფო გადატრიალების საიდუმლო გეგმა, თუ საგამოძიებო სცენარი

19 ვეტერანი სამხედრო, რომლებიც დღეს დაპატიმრებულები არიან, სამხედრო ბაზაზე კასპის რაიონში ერთ-ერთი თანამებრძოლის დასაფლავების შემდეგ მოხვდნენ. როგორც დაპატიმრებულთა გულშემატკივრები ამბობენ, საქართველოს მთლიანობისთვის მებრძოლი ჯიმშერ უთალიშვილი, ფაქტობრივად, შიმშილით და უწამლობით გარდაიცვალა. საკუთარი ყოფით აღშფოთებულები, ნასვამი სამხედროები ბაზაზე პროტესტის ნიშნად შეკრებილან და ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე სწორედ სოციალური პრობლემების მოგვარება მოითხოვეს.

**"ეჭვი არ გვეპარებოდა, რომ ამბოხება, შესაძლოა, სერიოზულ შეიარაღებულ ექსცესში გადაზრდილიყო, მისი გაჭიანურების შემთხვევაში კი მოსალოდნელი იყო კონფლიქტის სხვა კერების წარმოშობაც, რისი დაძლევაც შემდეგ უფრო გართულდებოდა,"** – აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბრისას ირაკლი ბათიაშვილმა. თუმცა, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავჯდომარეს არ დაუკონკრეტებია, თუ სად შეიძლებოდა წარმოქმნილიყო ახალი კერები. მან მხოლოდ ის თქვა, რომ სპეცსამსახურები ამგვარ ინფორმაციას ფლობდნენ.



ინციდენტის მონაწილეები გამთენიისას დააკავეს.

"24 საათისთვის" ცნობილი გახდა ის საიდუმლო ინფორმაცია, რაზეც ხელისუფლების წარმომადგენლები გუშინ მთელი დღის განმავლობაში საუბრობდნენ.

კონფიდენციალური წყაროს ცნობით, ვეტერანი სამხედროები 10 მარტს "ოფიცერთა სახლში" საკუთარ სოციალური პრობლემებზე სასაუბროდ შეიკრიბნენ. თუმცა, შეკრების ინიციატორები ვალერი გალდავა, რომელიც თავის დროზე თენგიზ სიგუას პირადი დაცვის უფროსი იყო და კიდევ ორი პიროვნება (მათ გვარებს შეგნებულად არ ვასახელებთ, ისინი ჯერჯერობით დაპატიმრებულები არ არიან) შეკრებაზე მყოფ სამხედროებს შეიარაღებულ გადატრიალებაზე ეთათბირებოდნენ და მხარდამჭერთა სიებს აგროვებდნენ. გადატრიალება, გეგმის თანახმად, მარტის ბოლოს იგეგმებოდა. სამხედროები, თითქოსდა, დაღუპულ მებრძოლთა სასაფლაოზე გასასვლელად სამხედრო ფორმებში გამოწყობილები უნდა შეკრებილიყვნენ, რის შემდეგაც ისინი ერთ-ერთ, წინასწარ გადაბირებულ სამხედრო ბაზაზე გამაგრდებოდნენ. ეს იქნებოდა ამბოხების დაწყების ნიშანი. გადატრიალების დღეს ვეტერანებს მხარს დაუჭერდნენ ექსპრეზიდენტის მომხრეები. კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, ამბოხების მსურველთ მხარდამჭერები ჰყავდათ აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონებშიც. შეთქმულების გეგმის თანახმად, ჯერ კიდევ მარტის დასაწყისში, თელავის, გურჯაანის და ლაგოდეხის ვეტერანი მებრძოლები, რომლებსაც მხარს თურმე მოქმედი სამხედროებიც უჭერდნენ, რკონის ხეობაში უნდა გამაგრებულიყვნენ.

ერთი სიტყვით, სამართალდამცველები გუშინ სწორედ აღნიშნულ შეთქმულებაზე საუბრობდნენ და როგორც ყოველთვის, პოსტფაქტუმ თავს იმით იწონებდნენ, რომ შეთქმულთა მოქმედებას ბოლომდე აკონტროლებდნენ. წინ კი არის გამოძიება, რომელმაც, ობიექტური გამოძიების შემთხვევაში, გუშინდელ ფაქტს რეალური სახელი უნდა დაარქვას.

გენერალურ პროკურატურაში, სადაც გუშინდელი ინციდენტის გამოძიება დაიწყო, საქმე სრტატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდების მუხლით აღიძრა, რაც ოთხწლიან პატიმრობას ითვალისწინებს. რამდენად შეეფერება შევარდნაძის მუქარას დასახელებული სასჯელი, ძნელი სათქმელია, ყოველ შემთხვევაში, სამართალდამცველები წინასწარ იზღვევენ თავს და ვარაუდობენ, რომ შესაძლებელია, აღნიშნული მუხლი მომავალში შედარებით მძიმე მუხლით შეიცვალოს. სამართალდამცველები ასევე ვარაუდობენ დასაპატიმრებელ სამხედროთა სიის გაზრდასაც. დღეისათვის დაკავებულია 19 მეამბოხე, რომელთაგან, გალდავას გარდა, შეთქმულების აქტიურ წევრებად სახელდებიან მამუკა ცისკარიშვილი, დავით კოშკაძე, ჯუმბერ იაკობიძე, გიორგი ჯიქია და ძმები დავით და ლევან მარტიაშვილები.

# ექიმები ნარკოვაჭრების სამსახურში

*კურორტმა წყალტუბომ, რომელიც წარსულში უებარი სამკურნალო აბანოებითა და კომფორტული სანატორიუმებით გახლდათ ცნობილი, საკურორტო ფუნქცია დაკარგა და ახალი ფუნქცია შეიძინა - ქალაქი რეგიონში ნარკოტიკების გასაღების ყველაზე სერიოზულ კერად იქცა.*

ბექა სისაური
ქუთაისი

წყალტუბოში ნებისმიერი მოქალაქე მიგასწავლით იმ პირებსა თუ აფთიაქებს, სადაც სასურველ ნარკოტიკს დაუბრკოლებლად შეიძენთ. აქ ნარკორეალიზაციამ იმდენად მასშტაბური სახე მიიღო, რომ სამართალდამცველები ნარკომოვაჭრეებს უკვე "ნარკობარონებად" მოიხსენიებენ. საქმე იქამდეც მივიდა, რომ სამართალდამცველთა უმოქმედობით გაღიზიანებულმა ადგილობრივი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა "ნარკობარონების" დღევანდელი საგადასახადო კოდექსით დაბეგვრა მოითხოვეს. მათ მიერ წარმოებული უხეში გათვლებით, ნარკორეალიზატორთა დაბეგვრის შედეგად მიღებული თანხები წყალტუბოს ბიუჯეტს დაახლოებით ხუთჯერ გაზრდის.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა წყალტუბოს კარგა ხანია "ნარკოტიკების მექა" შეარქვეს და ქალაქის პოლიციის უფროსის გადაყენების საკითხიც დააყენეს. შინაგან საქმეთა მინისტრს იმავე მოთხოვნით პრეზიდენტის რწმუნებულმაც მიმართა. კობა ნარჩემაშვილმა წყალტუბოს პოლიციის უფროსი გელა დარსაძე თანამდებობიდან არ გადააყენა, მაგრამ ქალაქში ვითარების გასაუმჯობესებლად გარკვეული ვადა დაუწესა.

"24 საათი" დაინტერესდა, ვინ არიან წყალტუბოელი "ნარკობარონები" და რატომ ვერ ხერხდება მათი საქმიანობის აკრძალვა.

იმერეთის ოლქის პროკურორი თამაზ ჭუმბურიძე წყალტუბოელ "ნარკობარონთა" ლიდერად ასახელებს წყალტუბოში მცხოვრებ მალხაზ თალაკვაძეს. სამართალდამცველთა ინფორმაციით, თალაკვაძე ნარკოტიკული და სხვა სახის დანაშაულის ჩადენისათვის წარსულში ექვსჯერაა ნასამართლევი. რეგიონში იგი მილიონერის სტატუსით სარგებლობს. პროკურატურის დოსიეს მიხედვით, მალხაზ თალაკვაძე 1954 წელსაა დაბადებული. იგი პირველად საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 1974 წელს გასამართლდა და ჩადენილი ქურდობისა და ხულიგნობისათვის 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. 1976 წელს თალაკვაძე თაღლითობისთვის ისევ გაასამართლეს და კვლავ 5 წლით პატიმრობა არგუნეს. 1981 წელს უზენაესმა სასამართლომ თალაკვაძე ქალის მოტაცება-გაუპატიურებისთვის 7 წლით დააპატიმრა. იგი 1997 წელს ხაშურის სასამართლომ ნარკოტიკების განმეორებითი მოხმარებისათვის ხუთი თვით დასაჯა. 1998 წლის 11 აპრილს მალხაზ თალაკვაძისა და მარინე კუჭავას მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. პროკურატურაში ეჭვობენ, რომ კუჭავას ნარკოტიკებით თალაკვაძე ამარაგებდა. ის კი რეალიზაციას ეწეოდა. ამ საქმეში ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ქალბატონს სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ხოლო მალხაზ თალაკვაძეს მხოლოდ შინაპატიმრობა აკმარა. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებაში მთავარი როლი სამედიცინო ცნობამ ითამაშა. პროკურატურაში ფიქრობენ, რომ ექიმებმა აღნიშნული ცნობები გარკვეული ფინანსური საზღაურის გადახდის შემდეგ გასცეს.

**"1999 წლის 29 ოქტომბერს ქუთაისის სასამართლომ მალხაზ თალაკვაძეს ერთი წლით და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში შეუფარდა. მაგრამ სასჯელის მოხდა გამოჯანმრთელებამდე გადაუვადდა ქუთაისის რეგიონული ონკოლოგიური ცენტრის დირექტორის ოთარ მეტრეველისა და მკურნალი ექიმის ქიტიაშვილის მიერ სასამართლოს სახელზე გაცემული ცნობის საფუძველზე. ექიმებმა თალაკვაძეზე გაცემულ ცნობაში მიუთითეს, რომ მას მესამე სტადიის სიმსივნე გააჩნდა, ამთავრებდა ქიმიოთერაპიის კურსს და პარალელურად ემზადებოდა გადაუდებელი ოპერაციისათვის, მარცხენა მკერდის არეში სიმსივნის მოსაკვეთად. თალაკვაძემ ქუთაისისა და წყალტუბოს ტუბდისპანსერების ხელმძღვანელთა მიერ გაცემული სხვადასხვა სამედიცინო ცნობები წარადგინა, სადაც მითითებული იყო, რომ მას სიმსივნესთან ერთად გააჩნდა: ტახიკარდია, ჰიპერტონიული დაავადებები, ფილტვისა და გულის უკმარისობა, ფილტვების ქრონიკული ტუბერკულოზი ინფილანტაციის ფაზაში და ასე შემდეგ... თუმცა, მიუხედავად ექიმთა მიერ გაცემული ასეთი შემაშფოთებელი დასკვნებისა, თალაკვაძეს არანაირი ოპერაცია არ გაუკეთებია. უფრო მეტიც, "მძიმე ავადმყოფმა" თალაკვაძემ 2001 წელს ახალი დანაშაული ჩაიდინა,"** – აცხადებს იმერეთის ოლქის პროკურორი თამაზ ჭუმბურიძე.

პროკურორი ამბობს, რომ იგი ამჯერად ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვა-ტარებისა და პოლიციელების მიმართ წინააღმდეგობის გაწევისთვის გაასამართლეს და 2001 წლის 16 მარტს ქუთაისის საოლქო სასამართლომ თალაკვაძეს შინაპატიმრობა მიუსაჯა. ამის მიზეზი კვლავ სამედიცინო ცნობები გახდა. თამაზ ჭუმბურიძის მონაცემებით, მოგვიანებით თალაკვაძემ კიდევ ერთ დანაშაული ჩაიდინა. **"რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამართალდამცველებს ეჭვი გაუჩნდათ, რომ თალაკვაძეს შაორის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე გადაადგილებისას ნარკოტიკები გადაჰქონდა და მისი დაკავება სცადეს. "ნარკობარონმა" პოლიციის პიკეტს ცეცხლი გაუხსნა და მიიმალა. საქმეს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პროკურატურა იძიებს. თალაკვაძის ავტომობილის გაჩერება წყალტუბოს რაიონის პოლციელთა პიკეტზეც სცადეს, მაგრამ თალაკვაძემ პოლიციელებს კვლავ ცეცხლი გაუხსნა და გაიქცა.**

**სიმსივნითა და ათასი სხვა უმძიმესი ავადმყოფობით დაავადებულ კაცს სამი წლის განმავლობაში თუკი ასეთ მძიმე დანაშაულებების ჩადენა შეუძლია, მისი ექიმები კიბოს ეფექტური მკურნალობისთვის ნობელის პრემიაზე უნდა წარვადგინოთ. გამაჩნია მყარი ეჭვი, რომ ექიმებმა შესაბამისი ცნობების გაცემაში ფული აიღეს. ამიტომაც თალაკვაძის მიმართ განმეორებით სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება დავაპირეთ. ექსპერტ სირაძეს თალაკვაძე ოჯახის წევრების განადგურებით დაემუქრა. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პროკურორმა მითხრა, რომ თალაკვაძე მას და საქმის გამომძიებელსაც მოკვლით ემუქრება. ამჟამად წყალტუბოელი "ნარკობარონი" თბილისის ონკოლოგიურ საავადმყოფოში მკურნალობს, სინამდვილეში კი პასუხისმგებლობის ასაცილებლად ახალ სამედიცინო ცნობებს ქმნის. ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს ვთხოვ, რომ სამი პატიოსანი ექიმი გამომიყოს, რათა თალაკვაძის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ჭეშმარიტი დასკვნა დაიწეროს, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი პასუხისგებაში მიცემა ძალიან გაჭირდება,"** – ამბობს თამაზ ჭუმბურიძე.

ქუთისის ონკოლოგიური საავადმყოფოს მიმართ პროკურატურას კიდევ ერთი სერიოზული პრეტენზია გააჩნია. ოლქის პროკურორის ინფორმაციით, ნარკოტიკული საშუალებები საავადმყოფოდან სიმსივნით დაავადებულ ერთ-ერთ ადამიანზე მისი გარდაცვალების შემდეგაც გაიცემოდა. პროკურატურაში არ გამორიცხავენ, რომ ნარკოტიკებს დაინტერესებული პირები რეალიზაციისთვის იყენებდნენ. სამართალდამცველებს მიაჩნიათ, რომ ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში ჯანმრთელობის დაცვის სამსახურები კორუფციის ჭაობში არიან ჩაფლულნი და დამნაშავეებს ხელს უწყობენ. აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, ქუთაისის ონკოლოგიური საავადმყოფოს მთავრი ექიმი ოთარ მეტრეველი პროკურატურის ბრალდებებს უარყოფს და აცხადებს, რომ სამართალდამცველები თალაკვაძეს ვერ იჭერენ და ექიმებს ამიტომაც ადანაშაულებენ.

წყალტუბოში რიგით მეორე "ნარკობარონად" სამართალდამცველები დემურ ფხაკაძეს ასახელებენ. ამ უკანასკნელს კი მართლმსაჯულებისგან თავის ასარიდებლად ყალბი სამედიცინო ცნობები არ დასჭირვებია.

დემურ ფხაკაძის დანაშაულებრივი მოღვაწეობა 1989 წლიდან იწყება. მან მაშინ ნარკოტიკული ნივთიერებები ვლადიკავკაზიდან შემოიტანა და ერთი წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა. 2002 წელს სამართალდამცველებმა მას ნარკოტიკები კვლავ აღმოუჩინეს, რისთვისაც 75 ლარით დააჯარიმეს. 2003 წლის 23 იანვარს იგი, შორაპნის ტერიტორიაზე გაჩხრიკეს პოლიციელებმა და ავტომანქანაში ჰეროინი აღმოუჩინეს. იმავე დღეს მისი ბინიდან ამოღებული იქნა 15,5 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება ოპიუმი და "ტტ"-ს სისტემის პისტოლეტი. მას ბრალი დასდეს ნარკოტიკული საშუალებების უკანონოდ შენახვა-გადაზიდვა-მოხმარებასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვაში. თუმცა, ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ დემურ ფხაკაძეს პოლიციის ზედამხედველობა შეუფარდა და პატიმრობიდან გაანთავისუფლა. გადაწყვეტილება კი იმით დაასაბუთა, რომ დემურ ფხაკაძე დადებითად ხასიათდებოდა, გააჩნდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ჰყავს მეუღლე და ორი არასრულწლოვან შვილი.

ზესტაფონის სასამართლოს განაჩენი პროკურატურამ ქუთაისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა, სადაც მისი დაკავების ბრძანება გასცეს. თუმცა, დემურ ფხაკაძის დაკავება ველარ მოხერხდა, რადგან იგი იმალება.

სასამართლომ ნარკოტიკების კიდევ ერთ წყალტუბოელ რეალიზატორს შორენა ონიანს ექიმების მიერ შვილის ავადმყოფობის თაობაზე გაცემული ცნობების საფუძველზე აღმკვეთ ღონისძიებად პოლიციის ზედამხედველობა შეუფარდა. სხვათა შორის, ონიანის ბავშვის ავადმყოფობის შესახებ სამედიცინო ცნობა ქუთაისის ბავშვთა საავადმყოფოს ექიმმა ქაჯაიამ გასცა, რომელიც რამდენიმე წლის წინ ნარკოტიკების მოხმარების ბუნაგის მოწყობაში თავად იყო მხილებული. ანალოგიურ ფაქტებს ადგილი ჰქონდა ზესტაფონისა და ჭიათურის სამედიცინო დაწესებულებებშიც.

ზუსტად ერთი თვის წინ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ამირან გამყრელიძე ქუთაისში ჩამოვიდა. ერთ-ერთ თათბირზე მინისტრს ოლქის პროკურორმა კომპეტენტური კომისიის შექმნა შესთავაზა, რათა ბოლო 2-3 წლის განმავლობაში სამართალდამცველი და სასამართლო ორგანოების წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე გაცემული სამედიცინო დოკუმენტაციის კანონიერება შესწავლილიყო. კომისია შეიქმნა, რამდენიმე დღის წინ ჩამოვიდა ქუთაისში და გაცემული სამედიცინო დოკუმენტაციის რევიზია დაიწყო.

ჯანდაცვის მინისტრის განცხადებით, თუკი პროკურატურის მიერ დასახელებული ფაქტების ნახევარი მაინც დადასტურდება, იგი უმკაცრეს ზომებს მიმართავს.

# „სანაიას მკვლელობა აფექტის მდგომარეობაში არ არის ჩადენილი," - აცხადებენ ექსპერტები

ხათუნა ჯანგირაშვილი

*გუშინ გრიგოლ ხურცილავას სასამართლო პროცესზე მთელი დღის განმავლობაში ის ექსპერტ-სპეციალისტები იკითხებოდნენ, რომლებსაც გიორგი სანაიას განზრახ მკვლელობის საქმესთან რაიმე შეხება მაინც ჰქონიათ. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ცენტრის, იუსტიციის სამინისტროს სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების კრიმინალური და ბალისტიკური ექსპერტიზის მთავარი ექსპერტები, ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის სპეციალისტები, ფსიქოლოგები და სხვადასხვა უწყებიდან პროკურორების მოთხოვნით სასამართლო პროცესზე მოწვეული ექსპერტები საკუთარი დასკვნების უტყუარობაზე მსჯელობდნენ და სასამართლო კოლეგიას იმ მეთოდოლოგიას აცნობდნენ, რომელზე დაყრდნობითაც გააკეთეს საბოლოო დასკვნები. გუშინდელ პროცესზე საქმეში არსებული თითქმის ყველა ნივთმტკიცება გაიხსნა, ექსპერტების ჩვენების ფონზე შემოწმდა და ისევ დაილუქა.*

ექსპერტთა ჩვენებების მიხედვით, მაკაროვის სისტემის იარაღიდან, რომელიც სანაიას მკვლელობისას იყო გამოყენებული, უნებლიე გასროლა გამორიცხულია.

**"გრიგოლ ხურცილავა დაავადებული არ არის ფსიქიკური აშლილობით. მას არ სჭირდება იძულებითი მკურნალობა, დანაშაულის ჩადენისას შეეძლო კონტროლი გაეწია საკუთარი ქმედებისთვის, არ გააჩნია მიდრეკილება ფანტაზიორობისა და გამომგონებლობისკენ. ხურცილავას არსებითი პათოლოგიური გადახრები არ აღენიშნება, ფსიქიკური თავისებურება ნორმის ფარგლებში ახასიათებს, მსგავსი მონაცემების პატრონს არ შეუძლია დაიბრალოს დანაშაული",** – ასეთია ფსიქიატრიის სამეცნიერო გამოკვლევების ცენტრის ფსიქოლოგის მიერ შექმნილი გრიგოლ ხურცილავას ფსიქიატრიული პორტრეტი. ამ პორტრეტის მიხედვით, ხურცილავას მკვლელობა აფექტის მდგომარეობაში არ ჩაუდენია.

ექსპერტები დიდი ხნის განმავლობაში მსჯელობდნენ დაზარალებულის - ხათუნა ჩხაიძის მიერ გამოსაკვლევად წარდგენილი გასაღებისა და გამოძიების მიერ ნაპოვნი გასაღების იდენტურობაზე. გუშინ დაკითხულ ექსპერტ-სპეციალისტთა ახსნა-განმარტებებით, გასაღებები აბსოლუტურად იდენტური შემადგენლობისაა, თუმცა ერთმანეთისგან განსხვავდებიან იმით, რომ გამოძიების მიერ ამოღებულ გასაღებზე კოროზიის ნიშნები – ჟანგვის პროცესი შეინიშნება. როდის დაიწყო კოროზია და როდიდან გაჩნდა გასაღებზე ჟანგის ლაქები, ექსპერტებმა ამის დადგენა ვერ შეძლეს. **"არ ვიცით, გასაღები რა მდგომარეობაში იყო მანამ, სანამ ჩვენ გადმოგვიგზავნიდნენ გამოსაკვლევად. გამოკვლევისას ის უკვე დაჟანგებული იყო",** – აცხადებენ ექსპერტები, რომლებიც თვლიან, რომ გასაღებზე კოროზიის მიზეზი ის გარემო პირობები გახდა, სადაც ის რამდენიმე თვის განმავლობაში იმყოფებოდა.

ერთი სიტყვით, დაახლოებით ოცი ექსპერტი წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებას ადასტურებს და საკუთარი დასკვნის ჭეშმარიტებას ირწმუნება. გუშინ დაკითხულ არც ერთ ექსპერტს ჩატარებული ექსპერტიზების დასკვნის სისწორეში ეჭვი არ შეუტანია, უფრო მეტიც – მათ დასკვნებში შეცდომის ალბათობა კატეგორიულად გამორიცხეს.

ექსპერტების გარდა, გუშინ განსასჯელის ადვოკატის მოთხოვნით, სასამართლო პროცესზე გამოძახებული შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრების ის მოადგილეები დაიკითხნენ, რომლებზეც წინა პროცესზე ისაუბრა დეპუტატმა ელენე



გოგიტა ბახაიძის ფოტო

პროცესზე შსს მინისტრის მოადგილე დაკითხეს.

თევდორაძემ. მოწმედ დაკითხულმა ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის ყოფილმა თავმჯდომარემ სასამართლოს განუცხადა, რომ სანაიას მკვლელობიდან ცოტა ხნის შემდეგ უშიშროების მინისტრის მოადგილეს ლაშა ნაცვლიშვილს მკვლელობის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდა და მკვლელობის დამკვეთთა ვინაობაც დაუსახელა. ლაშა ნაცვლიშვილმა სასამართლოს განუმარტა, რომ ელენე თევდორაძეს მინისტრის დავალებით შეხვდა და მათ შორის გამართული საუბარი ძირითადად უშიშროების სამინისტროს წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას შეეხებოდა. **"დაახლოებით ორმოცწუთიანი შეხვედრა იყო. საუბარში ქალბატონმა ელენემ სანაია ახსენა და, რა თქმა უნდა, საუბრის თემაც შეიცვალა. თევდორაძემ დარწმუნებით განმიცხადა, რომ სანაიას მკვლელობა პოლიტიკური იყო, თუმცა, მისი შეფასებები ზოგად მოსაზრებებსა და ვარაუდებს არ გასცილებია. მაშინ თევდორაძეს რაიმე ახალი და კონკრეტული არ უთქვამს და არც ინფორმაციის წყარო დაუსახელებია. არანაირი საფუძველი იმისა, რომ ყურადღება გამახვილებულიყო მის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე, არ არსებობდა. თევდორაძე ძირითადად ეყრდნობოდა მასმედიით გავრცელებულ სხვადასხვა მოსაზრებას და მკვლელობას თავისუფალი მასმედიის წინააღმდეგ განხორციელებულ ტერორს უკავშირებდა. ვიმეორებ, მას ახალი და კონკრეტული არაფერი უთქვამს",** – ასეთი ჩვენება მისცა სასამართლოს ლაშა ნაცვლიშვილმა. რაც შეეხება შს მინისტრის მოადგილეს ზურაბ ხაჟალიას, მისი ჩვენებაც ელენე თევდორაძის ჩვენების საპირისპირო აღმოჩნდა.

ერთი სიტყვით, გუშინდელ პროცესზე დაკითხულები საკუთარი სიმართლის უტყუარობის დამტკიცებას ცდილობდნენ. რაც შეეხება მომდევნო სასამართლო პროცესს, მსჯელობის საგანი გახდება ამერიკის შეერთებული შტატებიდან გამოგზავნილი ექსპერტიზის პასუხები.

## მოკლედ

**თბილისი.** სამართალდამცველებმა 18 წლის ნინო ანდრიაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ცეზარ მოროხია დააკავეს. რამდენჯერმე ნასამართლევმა მოროხიამ ჩადენილი დანაშაული აღიარა და განაცხადა, რომ მსხვერპლის ბინაში ყაჩაღობის მიზნით შეიჭრა. ადგილიდან ამოღებულია ნივთმტკიცებები. ნინო ანდრიაძე გუშინწინ, გვიან ღამით, სანზონაში, მის საცხოვრებელ ბინაში მოკლეს. მკვლელობის ადგილის პირველადი დათვალიერებისას გაირკვა, რომ ბინიდან გატაცებულია ტელევიზორი, ვიდეო და აუდიომაგნიტოფონები, ოქრო და სხვა საოჯახო ნივთები. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ჰააგის ტრიბუნალის შესახებ კონვენციის რატიფიცირების მომხრეა და აცხადებს, რომ მზად არის პარლამენტს თავის ინიციატივა შესთავაზოს. იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის პარლამენტი ჰააგის ტრიბუნალის შესახებ კონვენციის რატიფიცირებას მოახდენს, ჰააგის სასამართლო ქართული მხარის მიერ წარდგენილი მასალების შესწავლას აპრილის შუა რიცხვებიდან შეუდგება. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზი სეპარატისტები, რუს სამხედროებთან ერთად, გალის რაიონში სასაზღვრო საგუშაოების დაცვის სისტემას აძლიერებენ. უკვე დანაღმულია საგუშაგოების მისასვლელები . ნაღმები ფეთქდება სპეციალური ჩამრთველის საშუალებით, რომელიც დამონტაჟებულია საგუშაგოების შენობაში. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** შსს-ს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა ნარკოტიკების რეალიზაციაში ეჭვმიტანილი მიმოზა კაკაჩია და მანდალინა ნასიბოვა დააკავეს. პოლიციამ მიმოზა კაკაჩიასგან ამოიღო 78,6 გრამი ოპიუმი. ეჭვმიტანილის განმარტებით, ნარკოტიკი ვინმე მანდალინასგან შეიძინა. მოგვიანებით სამართალდამცველების მიერ დაკავებული იქნა მანდალინა ნასიბოვაც, რომლისგანაც სარეალიზაციოდ გამზადებული 101, 2 გრამი ოპიუმი ამოიღეს. **პრაიმ-ნიუსი**

## მოკლედ

**თბილისი.** გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პარლამენტარმა გურამ შარაძემ დამსწრეთ წმინდა გიორგის გამოსახულებიანი თეთრი დროშა წარუდგინა და სააკაშვილს მოუწოდა, თეთრი წითელჯვრიანი დროშის ნაცვლად, მერიის შენობის თავზე ის აღმართოს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღეს აღნიშნავს - 18.00 საათზე სიონის საკათედრო ტაძარში ამ დღესთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე პარაკლისს გადაიხდის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბუნებრივი აირის წნევის ვარდნის გამო, თბილისში გამოირთო გაზის ერთი რეგულატორი, რამაც ავლაბრის დასახლების ნაწილში გაზმომარაგების შეწყვეტა გამოიწვია. "თბილგაზის" ტექნიკურმა დირექტორმა, თენგიზ არშილავამ არც სხვა რეგულატორების გამორთვა გამორიცხა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ელექტროენერგიის არასტაბილური მიწოდების გამო, გასული ერთი თვის განმავლობაში თბილისის მეტროპოლიტენმა ხანგრძლივი დროით, თითქმის, ათჯერ შეაჩერა მუშაობა. მეტროპოლიტენის სპეციალისტთა გაანგარიშებით, მიყენებულმა ზარალმა 12 ათას ლარს გადააჭარბა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დედაქალაქის მაწანწალა ცხოველებისთვის თავშესაფარის ასაშენებლად ისანსამგორის რაიონში გამოიყო ტერიტორია და 100 ათასი ლარი. თავშესაფარში დამონტაჟდება სანკტ-პეტერბურგიდან ჩამოტანილი კრემატორიუმი, რომლის სავარაუდო ფასი 150 ათას ლარს შეადგენს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის საკრებულოში გახსნილ ცხელ ხაზზე, რომელიც თითქმის მეორე თვეა ფუნქციონირებს, ყოველდღიურად ათეულობით ადამიანი რეკავს. ზარების უმეტესობა კრიმინალურ ფაქტებს ეხება, მეორე ადგილზეა სოციალური პრობლემები. ზოგიერთ ფაქტზე საკრებულო თავად რეაგირებს. **მედია-ნიუსი**


## სატელევიზიო ტოტალიზატორის "საოჯახო ტოტოს" გათამაშების წესები

გათამაშება გაიმართება სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი-2"-ის პირდაპირ ეთერში ყოველ შაბათს 22 საათზე.

გათამაშებაში მონაწილეობს **90** კოჭი - **1-დან 90-ის** ჩათვლით. მისი წესები მარტივია - იგი ტრადიციული ლოტოს პრინციპზეა აგებული. მთავარი ამოცანაა **15-ციფრიანი** დაფის შევსება **75 სვლის ჩათვლით**.

გათამაშებაში მონაწილეობს ორი ტიპის ბარათი:

1. ორგანიზატორის მიერ წინასწარ შევსებული (მზა) სხვადასხვა ფასიანი ბარათი, რომლის შეძენაც შესაძლებელია სარეალიზაციო პუნქტებში.

2. მოთამაშის მიერ თავისი სურვილით შერჩეული ნებისმიერი 15 ციფრი, რომლის შევსება შესაძლებელია სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში.

მოგებულად ჩაითვლება ბარათი, რომელზეც 75 სვლის ჩათვლით შეივსება ბარათზე არსებული თხუთმეტივე ციფრი.

ბარათის შევსების შემთხვევაში მოთამაშეს ეკუთვნის ფულადი მოგება, რომლის ოდენობა განისაზღვრება დადებული ფსონისა (ბარათის ღირებულება) და ბარათის შევსების მომენტში სვლის კოეფიციენტის ნამრავლით. მაგ: თუ თქვენი ბარათი შეივსო 30-ე სვლაზე, რომლის კოეფიციენტიც თქვენთვის წინასწარაა ცნობილი და პირველ გათამაშებაზე 16 000-ია, ე.ი. თქვენ მოიგეთ:

**50-თეთრიანი ბარათის შემთხვევაში - 0.5X16 000=8 000 ლარი.**
**1-ლარიანი ბარათის შემთხვევაში - 1X16 000=16 000 ლარი.**
**2-ლარიანი ბარათის შემთხვევაში - 2X16 000=32 000 ლარი.**

**გათამაშების შედეგები და მომდევნო ტირაჟის კოეფიციენტების ცხრილი გამოქვეყნდება გაზეთ "24 საათში".**

*დამატებითი ინფორმაციისათვის და დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ 96 38 47.*

*შეიძინეთ, გაერთეთ და მოიგეთ!*

*შპს "ფენიქსი" გისურვებთ წარმატებას!!!*

| სვლა | კოეფიციენტი | სვლა | კოეფიციენტი |
|---|---|---|---|
| 15 | 25 000 | 46 | 900 |
| 16 | 25 000 | 47 | 800 |
| 17 | 25 000 | 48 | 700 |
| 18 | 25 000 | 49 | 600 |
| 19 | 25 000 | 50 | 500 |
| 20 | 20 000 | 51 | 400 |
| 21 | 20 000 | 52 | 300 |
| 22 | 20 000 | 53 | 200 |
| 23 | 20 000 | 54 | 100 |
| 24 | 20 000 | 55 | 90 |
| 25 | 20 000 | 56 | 80 |
| 26 | 20 000 | 57 | 70 |
| 27 | 19 000 | 58 | 60 |
| 28 | 18 000 | 59 | 50 |
| 29 | 17 000 | 60 | 40 |
| 30 | 16 000 | 61 | 30 |
| 31 | 15 000 | 62 | 28 |
| 32 | 14 000 | 63 | 26 |
| 33 | 13 000 | 64 | 24 |
| 34 | 12 000 | 65 | 22 |
| 35 | 11 000 | 66 | 20 |
| 36 | 10 000 | 67 | 18 |
| 37 | 9 000 | 68 | 16 |
| 38 | 8 000 | 69 | 14 |
| 39 | 7 000 | 70 | 12 |
| 40 | 6 000 | 71 | 10 |
| 41 | 5 000 | 72 | 8 |
| 42 | 4 000 | 73 | 6 |
| 43 | 3 000 | 74 | 4 |
| 44 | 2 000 | 75 | 2 |
| 45 | 1 000 | | |





# მრავალშვილიან ოჯახებს აპრილიდან ყოველთვიური პენსია დაენიშნათ

### ამ თანხას მრავლშვილიანი დედები ყოველგვარი ქუჩის გადაკეტვისა და დავიდარაბის გარეშე მიიღებენ, - ირწმუნებიან ჩინოვნიკები

ეთერ მამულაშვილი

*მერიასა და საკრებულოს თუ ვენდობით, წელს მრავალშვილიანი დედების საპროტესტო აქციებს და ცენტრალური ქუჩების გადაკეტვას აღარ უნდა მოველოდეთ. ქალაქის ხელმძღვანელობა და თვითმმართველობის ორგანო მრავალშვილიან თბილისელთა ოჯახებს მნიშვნელოვან სიახლეს ჰპირდება - ტრადიციული შეღავათების გარდა, ყოველთვიურად დაკანონებული ფულადი დახმარების დაწესებას.*


ფოტო: ზაზა ფაჩუაშვილი

*ხუთ ლარს ყოველგვარი გაფიცვის გარეშე მიიღებენ*

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მერიის შენობის პიკეტირებისგან დასაცავად მეტად ორიგინალურ ხერხს მიაგნეს - საკუთარი კაბინეტების ფანჯრებისა და აივნების უსაფრთხოების მიზნით, ქალაქის ჩინოვნიკებმა გადაწყვიტეს, მრავალშვილიანი ოჯახებისთვის აპრილიდან ყოველთვიური პენსია დაენიშნათ. ვიცე-პრემიერი ფიქრობს, რომ, წესით, ამის შემდეგ უკმაყოფილო აღარავინ უნდა იყოს. ყოველთვიური ფულადი დახმარება, რომლის გაცემაც, დაპირებისამებრ, მალე უნდა დაიწყოს, თითოეულ არასრულწლოვან ბავშვზე ხუთ ლარს უდრის. ამ წესის მიხედვით, სამი მცირეწლოვანი შვილის დედა თვეში 15 ლარს მიიღებს, ოთხის შვილის მშობელი - 20 ლარს, და ა.შ. იმ ოჯახებისთვის, ვისაც შვიდი და მეტი არასრულწლოვანი ბავშვი ჰყავს, გათვალისწინებულია ფიქსირებული ფულადი დახმარება - 35 ლარი თვიურად.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურში ამბობენ, რომ მრავალშვილიანი ოჯახებისთვის ყოველთვიური ფულადი დახმარების გაცემა ქალაქის ბიუჯეტით არის გარანტირებული. **"ამ თანხას მრავალშვილიანი დედები ყოველგვარი ქუჩის გადაკეტვისა და დავიდარაბის გარეშე მიიღებენ",** - გვითხრა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ, ციცო გუგავამ.

ახლახან დამტკიცებულ ბიუჯეტში საამისოდ, დაახლოებით, მილიონ ოთხასი ათასი ლარი გამოიყო. საქალაქო სამსახურის მესვეურები იმასაც ამბობენ, რომ ხსენებული თანხა სრულიად საკმარისია თბილისში მცხოვრები იმ ექვსი ათასი მრავალშვილიანი ოჯახისთვის, რომლებიც დღეს აღრიცხვაზე იმყოფებიან.

მრავალშვილიანი ოჯახები კუთვნილ, ყოველთვიურ პენსიას აპრილის ბოლოდან მიიღებენ რაიონულ საფოსტო განყოფილებებში. მანამდე კი მათ რეგისტრაცია უნდა გაიარონ ადგილობრივ გამგეობებში. შესაბამისი განაცხადის წარდგენის და რეგისტრაციის გავლა ყოველთვიური დახმარების მიღების მსურველმა მრავალშვილიანმა ოჯახებმა ადგილობრივ გამგეობებში 15 აპრილამდე უნდა მოასწრონ. ვინც რაიონის გამგეობას დათქმულ ვადამდე მიაკითხავს და რეგისტრაციასაც დროულად გაივლის, მათ გასული სამი თვის (იანვარი, თებერვალი, მარტი) "დაკარგული" თანხა აუნაზღაურდებათ. 15 აპრილის შემდეგ კი დანიშვნის დღიდან ყოველთვიური პენსია მიეცემათ.

ამ სასიამოვნო სიახლის გარდა, "ნაციონალების" ინიციატივით და მონდომებით, ადგილობრივი ბიუჯეტი ყოველ ახალშობილზე ერთჯერად დახმარებას - 50 ლარს აწესებს; ყოველ მეოთხე შვილზე კი 200 ლარია გათვალისწინებული. ხოლო მათ, ვინც მეხუთე, მეექვსე და მეტი შვილის ყოლას გადაწყვეტს, მშობიარობის შემდეგ დამატებით 500 ლარი გადაეცემათ.

წლევანდელი ბიუჯეტი მრავლშვილიან ოჯახებს კიდევ ერთ ფუფუნებას ჰპირდება - სექტემბერში მრავალშვილიანი ოჯახების თითოეული ბავშვი სასკოლო სახელმძღვანელოების სრულ კოპლექტს უფასოდ მიიღებს.

მრავალშვილიანებისთვის აქამდე განკუთვნილი ტრადიციული შეღავათები წელს ისევ იმოქმედებს - თვეში 40 კუბური მეტრი ბუნებრივი აირი უფასოდ და კომუნალური მომსახურების სრული პაკეტი 50-პროცენტიანი ფასდაკლებით.

ქალაქის მერია და თვითმმართველობის ორგანო პირობას დებენ, რომ მრავალშვილიანები ყველა სახის კუთვნილ დახმარებას უპრობლემოდ მიიღებენ, თუკი ცენტრალურიდან ადგილობრივ ბიუჯეტში საჭირო თანხების გადარიცხვა დროულად მოხდება.

# არასამთავრობოები სკოლების დეცენტრალიზაციის იდეის ირგვლივ ერთიანდებიან

გუშინ ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" ოფისში შეკრებილმა ათამდე არასამთავრობო ორგანიზაციამ კიდევ ერთხელ იმსჯელა სკოლების დეცენტრალიზაციის შესახებ. მათ მუნიციპალური სკოლების დაარსების შესახებ საკრებულოს ცნობილი გადაწყვეტილება დადებითად შეაფასეს და სკოლებში სამეურვეო საბჭოების არჩევნების სასწრაფოდ ჩატარება მოითხოვეს.

არასამთავრობოები ამტკიცებდნენ, რომ განათლების სისტემის გადასარჩენად აუცილებელია საზოგადოების აქტიური ჩართვა მართვის პროცესებში. ისინი ერთხმად შეთანხმდნენ, რომ ქვეყანაში ამ პროცესის დანერგვას მაქსიმალურად შეუწყობენ ხელს; გაკეთებული საქმის და გამოცდილების ურთიერთგაზიარებისთვის კი უახლოეს ერთ თვეში კვლავ შეიკრიბებიან.

*"24 საათი"*

# ვისაც ომი გაშინებთ

### საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტის რეკომენდაციები

ერაყში საომარი მოქმედებების დაწყებით ქართველი მოსახლეობის ნაწილიც პანიკამ მოიცვა. საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელთა განცხადებები, რომლის მიხედვითაც, ერაყის ჩვეულებრივი დაბომბვის დროსაც კი, შეიძლება, საქართველომდე მოაღწიოს კვამლმა, რომელიც გარკვეულ ცვლილებებს შეიტანს ატმოსფეროს ქიმიურ და ფიზიკურ შემადგენლობაში. მათი განმარტებით, ამას „სათბურის ეფექტი" მოჰყვება. დიდი რაოდენობით კვამლის მასების შემოსვლა გარეგნულად მზის დაბნელებას დაემსგავსება, ოღონდ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, მოხდება თუ არა ჰაერის მასების სამხრეთიდან ჩრდილოეთის (საქართველოს) მიმართულებით გადაადგილება.

მათივე განმარტებით, ერაყის ომში ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის გამოყენება (თუ გამოიყენეს) საქართველოზე ზეგავლენას ნაკლებად მოახდენს - დაახლოებით, ორი პროცენტის ფარგლებში. თუ ამ იარაღის აფეთქება ატმოსფეროს ქვედა ფენებში მოხდება, მომწამლავი ღრუბელი მცირე კავკასიონის 2,5-კილომეტრიანი სიმაღლის კედელს ვერ გადმოლახავს, მაგრამ კონკრეტული სიტუაცია მაინც გასათვალისწინებელია.

რამდენიმე დღეა, დამფრთხალი მოქალაქეები სხვადასხვა უწყებებს მიმართავენ და, დაბომბვისა თუ "სითბური ეფექტის" პირობებში, მოქმედების რეკომენდაციებს ითხოვენ. შსს-ს საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტი, სადაც დარწმუნებულები არიან, რომ საქართველოს არანაირი საფრთხე არ ემუქრება, შემდეგი სახის რჩევებს იძლევა:

1. თუ თქვენი სახლის კარ-ფანჯარა კარგად არ იკეტება, სკოჩი, ბამბა ან ღრუბელი გამოიყენეთ და მჭიდროდ დაგმანეთ.

2. უსმინეთ საინფორმაციო გადაცემებს და ქიმიური ან ბიოლოგიური საფრთხის გამოცხადებისას მოერიდეთ გარეთ ყოფნას.

3. ყოველთვის თან იქონიეთ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

4. გახსოვდეთ, რომ დაცვის ფორმა დამოკიდებულია გამოყენებული იარაღის სახეზე. მაგალითად, ჩვეულებრივი და ბირთვული ასაფეთქებელი მასალის გამოყენებისას სარდაფებს, გვირაბებს, მეტროპოლიტენსა და მიწისქვეშა გადასასვლელებს უნდა შეაფაროთ თავი. რადიოაქტიური, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის გამოყენებისას კი უმჯობესია, შენობაში დარჩეთ და წყალში, სოდის წყალხსნარში ან ზეთში დასველებული დოლბანდის ნიღაბი შემოიხვიოთ.

5. ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური საფრთხის პირობებში, შესაბამისი სამსახურებიდან ინსტრუქციის მიღებამდე, შეზღუდეთ სასმელი წყლისა და საკვების გამოყენება.

*"24 საათი"*

# ორი დიდი მადლობა და ერთი შეშფოთება!

ზაზა ფაჩუაშვილი

*დიღმის ბავშვთა სახლში ყოველთვის ისმის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა ხმაური, მაგრამ გუშინ მაინც განსაკუთრებული დღე იყო - ექიმის კაბინეტში უცხო თეთრხალათიანი დეიდები მისულიყვნენ და ბავშვებს ხელზე ნემსებს უკეთებდნენ. დერეფანში კაი გვარიანი ტირილი გამოდიოდა, მასწავლებლები კი ექიმებს მადლობას უხდიდნენ.*

## "აეგეთი ნემსია, აი!"

ყველაფერი ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის, არჩილ სალაყაიას ბრალი ყოფილა, რომელსაც, თურმე, ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის კოორდინატორი, თანაც პროფესორი გია ხეჩინაშვილიც ეხმარება. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ის ნემსიანი დეიდები ბავშვებთან ამ ბიძიებს გაუგზავნიათ და უთქვამთ, - ყველა გასინჯეთო.

ესეც არ უკმარიათ და ასეთივე დღეში ჩაუგდიათ თბილისის ყველა ბავშვთა სახლის პატარა ბინადარი. როგორია, ზიხარ შენთვის ოთახში წყნარად, ჭამ დესერტად მოცემულ ვაშლს და ამ დროს მორიგე გეუბნება, - ექიმთან შედიო. თქმა ადვილია, კაბინეტიდან ღრიალი გამოდის, გარეთ ბავშვები სიცილით იჭაჭებიან. გამოსულებიდან ვინც ლაპარაკის გუნებაზეა, "ერალაშის" იმ მსუქანა გმირივით ამბობს, - აეგეთი ნემსია, აიო. გაქცევასაც მოახერხებს კაცი, მაგრამ დერეფანში მორიგე დადის და ყველას გასაგონად ამბობს, - ვინც არ აიცრება, კვებაზე არ ავიყვანო. გასაგებია, რომ იტყუება, მაგრამ ეს სიტყვები იმდენად ცუდი მოსასმენია, სჯობს ნემსი გაიკეთო და იტირო (ხუმრობა ხომ არაა, სადილზე ბრინჯიანი გუფთაა). ბავშვებიც ასე იქცევიან, თუმცა ზოგი მათგანი ბოლომდე ვაჟკაცურად ტირის.

ექიმის კაბინეტში მხოლოდ ერთი კაცი იდგა. ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის სტრატეგიული დაგეგმარების სამსახურის უფროსი, კახა კეპულაძე, რომელმაც გვითხრა, რომ ბავშვებში საკმაოდ გაიზარდა ტუბერკულოზის შემთხვევები. ამ მხრივ კი განსაკუთრებული რისკის ჯგუფს წარმოადგენს სწორედ მშობელთა მზრუნველობამოკლებული ბავშვები. ექიმებმა სულ სამასამდე ასეთი ბავშვი უნდა გამოიკვლიონ. პირველი ეტაპია ინექციით ტესტირება, რომლის საშუალებით უნდა გამოვლინდეს საეჭვო ჯგუფი. ამ ჯგუფს ზუსტი დიაგნოზის დასასმელად სრულ გამოკვლევას ეროვნულ ცენტრში ჩაუტარებენ. მათ შორის დაავადებულებს კი უფასოდ უმკურნალებენ. ჯერჯერობით, 190 ბავშვი გასინჯეს. საეჭვო ჯგუფში ყოველი მესამე ხვდება. სპეციალისტთა გათვლით, მათ შორის 30-35 პროცენტს დასჭირდება მკურნალობა.

კახა კეპულაძე: **"ამიერიდან ასეთ სკრინინგებს ყოველი ექვსი თვის განმავლობაში გავაკეთებთ, რათა თავიდან ავიცილოთ დაგვიანებული შემთხვევები. გამოკვლევები ადრეც ტარდებოდა, მაგრამ ეს ხდებოდა გამოძახებით, როცა დაავადების სიმპტომები აშკარად გამოკვეთილი იყო. ეს კი გართულებულ შემთხვევას ნიშნავს, რასაც, შესაბამისად, უფრო ხანგრძლივი მკურნალობა სჭირდება."**

იმ ბავშვების გასაგონად, ვისთვისაც ნემსი ჯერ არ გაუკეთებიათ, ვიტყვით, რომ ძალიან პატარა და უმტკივნეულოა. ისიც კი, ვისაც ყველაზე მეტად ეშინოდა და ხუთი კაცი აკავებდა, ნემსის გაკეთების მერე იცინოდა, - ეს რა ყოფილაო.

## გადაეცით გაერო-ს...

დიღმის ბავშვთა სახლი 1921 წლიდან არსებობს. ადრე ვაკეში ყოფილა. მერე იქაურობა ვიღაცას მოწონებია და 1958 წელს სახლი დიღმის მესამე კვარტალში გადაუტანიათ.

სახლი ყოველთვის მოწინავე და სამჯერ გარდამავალი დროშის მფლობელიც ყოფილა.

დღეს ამ სახლში 100 ბავშვი ცხოვრობს. უმრავლესობას მშობლები ჰყავს, მაგრამ მათაც გაჭირვებით გააქვთ თავი (უცხოეთში "ჯახირობენ"). ამ დანაკლისის შევსებას ყოველმხრივ ცდილობენ პედაგოგები და მნიშვნელოვან წარმატებასაც აღწევენ, მაგრამ ბოლო ხანს მათთვის შემაშფოთებელი ინფორმაცია გავრცელდა.

ნონა მაღრაძე, დირექტორი: **"ამბობენ, რომ აპრილიდან გაერო აღარ გააგრძელებს თავის სასურსათო პროგრამას, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი დახმარება იყო. ჰუმანიტარულად მიღებული ფქვილი, ლობიო და ზეთი გვაძლევდა იმის საშუალებას, რომ თითო ბავშვზე დღეში გამოყოფილი 1.8 ლარით დამატებითი პროდუქტი შეგვეძინა და ბავშვებისთვის ხორციანი სადილი მოგვემზადებინა. თუ ეს დახმარება მოიშალა, პირდაპირ ვიტყვი, რომ ძალიან გაგვიჭირდება. მით უმეტეს, ბიუჯეტიდან დაფინანსება იგვიანებს ხოლმე. გადაეცით გაერო-ს ჩვენი დიდი მადლობა და თხოვნა, რომ პროგრამა გააგრძელოს."**

პატივცემულო გაეროვ, დიდ მადლობას სიამოვნებით გადმოგცემთ, მაგრამ თხოვნას - არა; ვინაიდან გავიგეთ, რომ ამას აზრი აღარ აქვს. მართალია, თქვენი სასურსათო პროგრამის ოფიცერს ეს ინფორმაცია არც უარუყვია და არც დაუდასტურებია, მაგრამ განათლების სამინისტროდან გვაუწყეს, რომ გაერო-ს სასურსათო პროგრამა ამა წლის აპრილიდან მართლაც აღარ გაგრძელდება. თქვენ ამის თაობაზე სამინისტროში ოფიციალური შეტყობინებაც გაგიგზავნიათ.

ირინა ფიფია, განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის, ინტერნატული დაწესებულებებისა და ბავშვთა უფლებების დაცვის სამმართველოს უფროსი: **"ჩვენ ეს სამწუხარო შეტყობინება გაეროდან ოფიციალურად მოგვივიდა. მართლაც, ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ გაერო შეგვპირდა, რომ თავად ეცდება შემცვლელი ჰუმანიტარული ორგანიზაციის პოვნას. პროგრამის შეწყვეტის მიზეზი სხვა ტიპის დაწესებულებების დახმარებაა."**

რა საინტერესოა, ვინ არიან ეს სხვა ტიპის დაწესებულებები?!

www.24hours.ge 24 B

ნომრის პერსონა

# სიტყვის თავისუფლება არ დამთავრდება...

იგორ გოლემბიოვსკი ახალი გაზეთის გამოსაცემად მზადაა

**იგორ გოლემბიოვსკი: დაიბადა საქართველოში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჟურნალისტური საქმიანობა "მოლოდოი სტალინეც"-ში (შემდგომში, "მოლოდიოჟ გრუზიი") დაიწყო. 1966 წლიდან მოსკოვშია და ამ დროიდან მისი ცხოვრება გაზეთ "იზვესტია"-ს უკავშირდება - წერილების განყოფილების გამგის მოადგილე, საკუთარი კორესპონდენტი ლათინურ ამერიკაში, გაზეთის პასუხისმგებელი მდივანი, მთავარი რედაქტორის მოადგილე, მთავარი რედაქტორი. 1998 წლიდან 2003 წლის თებერვლამდე კი გაზეთ "ნოვიე იზვესტიას" გენერალური დირექტორი და მთავარი რედაქტორია...**



*იგორ გოლომბიოვსკი*

*მოსკოვში ოპოზიციური მედიის დევნა გრძელდება. კლიშედ ქცეული სცენარი - მეპატრონე სუბიექტთა ბრძოლა, ამჯერად ერთ-ერთ გავლენიან ოპოზიციურ გაზეთს "ნოვიე იზვესტია"-ს შეეხო. მისი მთავარი რედაქტორი, იგორ გოლემბიოვსკი, უკვე მეორედ არის უმუშევარი. თუმცა, ის, ტრადიციულად, სამ თვეზე მეტ ხანს გაზეთის გარეშე არ რჩება... ასე იყო 1997 წელს, როდესაც "ლუკოილმა" და "ონექსიმბანკმა" გახლიჩეს მაშინ ძალზე პოპულარული "იზვესტია". სამი თვეც არ იყო გასული, რომ გოლემბიოვსკიმ "ნოვიე იზვესტია" დააარსა. ახალ გაზეთს მემკვიდრეობით ვარსკვლავები (ოტო ლაცისი, სერგეი აგაფონოვი, ვალერი იაკოვი და ა.შ.) და ანალოგიური დასასრული ერგო. მოკლედ იმის შესახებ, თუ რა მოხდა. ერთ მშვენიერ დღეს, როცა "ნოვიე იზვესტია" -ში დილის თათბირი მიმდინარეობდა, სააქციო საზოგადოება "ნოვიე იზვესტია"-ს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ოლეგ მიტვოლი მოვიდა და კოლექტივს ახალი გენერალური დირექტორი წარუდგინა. ამ თანამდებობაზე გაზეთის მთავარი რედაქტორი იგორ გოლემბიოვსკი მუშაობდა. მან ახალ გენდირექტორთან მუშაობა არ ისურვა და გაზეთი გააჩერა. საქმე ის არის, რომ "ნოვიე იზვესტია"-ს ბორის ბერეზოვსკი აფინანსებდა. ფინანსების მეთვალყურედ კი ნდობით აღჭურვილი მიტვოლი დანიშნა. მიტვოლი დაელოდა იმ დროს, როცა ბერეზოვსკიმ რუსეთში გავლენა დაკარგა, ისარგებლა იმით, რომ საკონტროლო პაკეტის 76 პროცენტს ფორმალურად ფლობდა და განიზრახა, გაზეთი ხელში ჩაეგდო. ეს ყველაფერი "დაემთხვა" კრემლის ცუდ დამოკიდებულებას ოპოზიციური პრესის მიმართ. ამას დაერთო უკანასკნელ ხანს გაზეთში პუტინის საწინააღმდეგო სტატიები (მათ შორის, პუტინის კულტის შესახებ) და 27 თებერვალს მიტვოლი რედაქციაში ომონით მოვიდა...*

მაია ჭალაგანიძე

- "იზვესტია"-დან წამოსვლის ორი კვირის თავზე, დამიკავშირდა რუსეთის დუმის ჩემთვის სრულიად უცნობი დეპუტატი და ბერეზოვსკის წინადადება გადმომცა. ის მე და ჩემს გუნდს ახალი გაზეთის დაარსებას გვთავაზობდა. ის რუსეთში იყო და ძალაუფლებაც ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზიის პირველ არხზე გარკვეული პოზიციები ეკავა, ბერეზოვსკი მაშინ საერთოდ არ იყო დაინტერესებული მედია-ბიზნესით. "ნოვიე იზვესტია" ამ დარგში მისი პირველი მცდელობა იყო... სამი თვის შემდეგ, ნოემბერში, "ნოვიე იზვესტია"-ს პირველი ნომერი გამოვიდა.

ხუთ წელიწადს ვმუშაობდი ბერეზოვსკისთან. ყველაფერი ხდებოდა. ამ ხნის მანძილზე ბერეზოვსკიმ ყველაზე დიდი შეცდომა მაშინ დაუშვა, როდესაც თავის წარმომადგენლად, ტოპ-მენეჯერად - ვინმე მიტვოლი დანიშნა და საკონტროლო პაკეტი გადასცა.

**- რას წარმოადგენდა მიტვოლი? საიდან მოხვდა ის ბერეზოვსკისთან?**

- არაფერსაც არ წარმოადგენდა. ის ბერეზოვსკის ხელის ბიჭი იყო. ბერეზოვსკი მხოლოდ აფინანსებდა გაზეთს. არც მენეჯმენტში, არც პოლიტიკაში ის არ ერეოდა. მიტვოლი გაზეთის მეთვალყურე იყო. მაგრამ, დროთა განმავლობაში აღმოჩნდა, რომ ეს ამხანაგი იმდენად არ მეთვალყურეობდა, რამდენადაც თავისთვის მუშაობდა. უფრო მეტიც, ბერეზოვსკის ფულის დიდ ნაწილს საკუთარი მიზნებისთვის იყენებდა.

**- ბერეზოვსკიმ ეს არ იცოდა?**

- ორი წლის განმავლობაში ამის შესახებ არავინ იცოდა. გაზეთის ეკონომიკური მხარე მიტვოლის ხელში იყო. ფინანსურ დოკუმენტაციას არავინ იცნობდა. როდესაც ეს ბერეზოვსკიმ გაიგო, მოინდომა საკონტროლო პაკეტის წართმევა. მიტვოლმა კი იქით წაუყენა პრეტენზია - ამ გაზეთში ჩემი საკუთარი 2 მილიონი დოლარი ჩავდე და ჯერ ის გამისტუმრეო. არავინ იცის, არავის უნახავს და არც არავის სმენია მისი ფულის შესახებ...

ამასობაში, ბერეზოვსკის ავტორიტეტი შეერყა და მას ლონდონში გამგზავრება მოუხდა. იქიდან უკვე აღარაფერი შეეძლო. მიტვოლი სრული ბატონ-პატრონი გახდა.

მიტვოლს, მართლაც, ჰქონდა ბერეზოვსკისთან დავის საბაბი - ქალაქის ცენტრში მდებარე რედაქციის ოთხსართულიანი შენობა, თანამედროვე ტექნიკა და, ბოლოს და ბოლოს, გაზეთის ბრენდი. რედაქციას მიტვოლთან მუშაობა არ სურდა და ჩვენ, კოლექტივი, მას აღარაფერში ვახედებდით. ეს არ მოეწონა და მოიყვანა ახალი გენერალური დირექტორი. იქამდე ამ თანამდებობაზე მე ვმუშაობდი... იმავე დღეს გავაჩერეთ გაზეთი.

**- როგორ გგონიათ, ვინ დგას მიტვოლის უკან?**

- არავინ. ხუთი წლის განმავლობაში მან გარკვეული იმიჯი შეიქმნა. შედიოდა კრემლის საშუალო დონის კაბინეტებში, როგორც გაზეთის მფლობელმა, ნაცნობობა გააბა. ასე რომ, შეიძლება ითქვას, მის უკან არავინ იდგა. რაც მთავარია, გაზეთის ძირითადმა მფლობელმა, ბერეზოვსკიმ, მას ვერაფერი დააკლო. ის სასამართლოში აპირებს წასვლას, თუმცა, ეს ხანგრძლივი პროცესი იქნება...

**- ხანგრძლივობას რომ თავი დავანებოთ, მიტვოლს სამართლებრივად აქვს იმის შანსი, რომ ბერეზოვსკის გაზეთი მოუგოს?**

- მიტვოლი, ფორმალურად, აქციების 76 პროცენტის მფლობელია. სამწუხაროდ, თავის დროზე ბერეზოვსკის ჭკუა არ ეყო, იურიდიულად გაეფორმებინა თავისი დამფინანსებლობა.

**- საუბარია იმაზე, რომ მიტვოლის უკან კრემლის ხელი იგრძნობა.**

- მთლად ეგრე არ არის. გაზეთი ოპოზიციური გახლდათ, მისი დახურვა კრემლის ინტერესებში შედიოდა. ამას მიტვოლი გრძნობდა და ამიტომაც იქცეოდა ასე თავხედურად.

**- ოპოზიციური მედიის დახურვა მფლობელთა კონფლიქტის სოუსით პირველი შემთხვევა არ არის. ამის საკმაო გამოცდილება თქვენც გაქვთ. თავიდანვე რატომ არ გაითვალისწინეთ, რომ შეიძლებოდა, მოვლენები ასე განვითარებულიყო?**

- თავიდან რისი გაკეთებაც შეიძლებოდა, იყო ის, რომ ბერეზოვსკი დაგვერწმუნებინა, საკონტროლო პაკეტი ჩვენთვის, ჟურნალისტებისთვის მოეცა. ეს არ მოინდომა. მას ნაძირალა მიტვოლის სჯეროდა და ამისთვის დაისაჯა.

**- რატომ მაინცდამაინც ახლა? თავადვე თქვით, რომ სამი წლის თავზე იცოდით, რასაც მიტვოლი სჩადიოდა... რა იყო ბოლო წვეთი?**

- ის ბერეზოვსკის დაუძლურებაში სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდა. რედაქცია ბერეზოვსკისგან და, მით უფრო, მიტვოლისგან, დამოუკიდებელი იყო. მიტვოლი თავის დროს დაელოდა. გადაწყვიტა, დაესწრო და რედაქცია - თავისი შენობით და მატერიალური ბაზით - დაეკანონებინა.

**- თქვენთან ერთად რედაქციიდან ჟურნალისტებიც წავიდნენ. რა ბედი ეწევათ მათ?**

- არა მგონია, დიდხანს იყვნენ უსაქმოდ. მაისის შუა რიცხვებში ახალ გაზეთს გავაკეთებთ.

**- ვისთან აწარმოებთ მოლაპარაკებებს?**

- ვერ გეტყვით, რადგან მეორე მხარეს ამის აფიშირება არ სურს. ერთადერთი, რაც შემიძლია გითხრათ, ის არის, რომ მოლაპარაკებები დასასრულს მიუახლოვდა. უკვე ორგანიზაციულ საკითხებზე გვექნება საუბარი.

**- რა ერქმევა ახალ გაზეთს?**

- სავარაუდოდ, მას ნეიტრალური სახელწოდება - "დილის ექსპრესი" დაერქმევა.

**- ახალ ხელშეკრულებაში გაითვალისწინებთ თუ არა იმ შეცდომებს, რის გამოც უკვე მეორე გაზეთი დაგეხურათ?**

- დიახ, რა თქმა უნდა. თუმცა, ჩვენი გაგებაც შეიძლება - ჩვენ გვთავაზობენ. ჩვენ რომ ვწყვეტდეთ, სხვა საქმეა.

**- თქვენს მიერ წაყენებული პირობების წილი მინიმალური იქნება?**

- არა. შევეცდებით, მოვიპოვოთ ერთგვარი გარანტიები იმისთვის, რათა დამოუკიდებელ გამოცემად დავრჩეთ. სხვა შემთხვევაში, წავალთ. გაზეთს დავხურავთ და მორჩა.

**- ეს კარგად გამოგდით...**

- დიახ.

**- თქვენ ცნობილი ჟურნალისტი იყავით, მუშაობდით საზღვარგარეთ. რას ფიქრობთ რუსეთის პოზიციაზე ერაყის ომის მიმართ. როგორ ფიქრობთ, აისახება თუ არა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე შევარდნაძისა და პუტინის განსხვავებული პოზიციები?**

- ჩემი აზრით, ეს ომი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს. გაეროს მანდატის გარეშე ომის დაწყებით აშშ-მ აშკარად დაარღვია საერთაშორისო სამართლის ნორმები. უფრო ზუსტად, არა თვით სამართალი, რამდენადაც ამ სამართლის პრინციპები. ამით განსხვავდება ეს ომი ერაყის პირველი ომისგან.

მეორე მხრივ, აშშ-ს ეს პოზიცია ნორმალურია, რადგან ის, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, ერაყული დემოკრატიის დამყარების სურვილით, დიქტატორის რეჟიმის დამხობით არის ნაკარნახევი. ამ მოსაზრებით, ამერიკელებს უფლება აქვთ, მსგავსი ქმედებები ჩაიდინონ. საერთაშორისო სამართლის ნორმების ამგვარი დარღვევა ბევრი ადამიანისთვის მიუღებელია და სამართლიანადაც. წესრიგი მხოლოდ ერთი ქვეყნის ღირებულებით ვერ დამყარდება... ამერიკელებს უზარმაზარი გამოცდილება აქვთ საკუთარ რეგიონში არსებულ მთელ რიგ სახელმწიფოებთან ურთიერთობისა და იქ ისინი წარმატებას აღწევენ - მაგალითად, ლათინური ამერიკის ჩრდილოეთსა და სამხრეთში, ზოგიერთ დიდ ქვეყანაშიც სამოქალაქო მთავრობები აშშ-ს დახმარებით მოდიოდნენ ხელისუფლებაში. ერაყი კი სხვა სამყაროა, მსოფლიოს სხვაგვარი ნაწილია. ამიტომაც ხვდება ეს ევროპას გულზე.

**- თქვენი აზრით, დიპლომატიური რესურსები მთლიანად ამოწურული იყო?**

- უდავოდ, ყველა რესურსი ამოიწურა. რასაც სადამი აკეთებდა, იმას თავის აგდება ერქვა. უკანასკნელ დღემდე მსოფლიოს თავგზას ურევდა.

**- გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ ამერიკასთან დადებული ხელშეკრულების რატიფიკაციამ პუტინი გააღიზიანა.**

- რატიფიკაციაზე პუტინის რეაქციის შესახებ იგივე ინფორმაცია მაქვს, რაც თქვენ. დიახ, ამან მისი უკმაყოფილება გამოიწვია. თუმცა, საქართველოს უფლება აქვს, გადაწყვიტოს, ვისთან იყოს და როგორ. ამას შეიძლება რეგიონული ურთიერთობების გამწვავება, წვრილმანი საზიზღრობები მოჰყვეს.

**- პანკისსა და აფხაზეთს გულისხმობთ?**

- აფხაზეთთან მიმართებაში მხოლოდ პუტინის პოლიტიკა არ მუშაობს. ეს რუსული იმპერიული პოლიტიკაა - იმპერიას იქიდან წასვლა არ უნდა. რუსეთში მიაჩნიათ, რომ ამგვარი სიტუაცია საქართველოს გაკონტროლების საშუალებას იძლევა. ეს, რა თქმა უნდა, მცდარი აზრია...

**- ისევ გაზეთს დავუბრუნდეთ. ახლა რას აკეთებთ?**

- ახლა გაზეთის გამოცემასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების ბოლო სტადიაზე ვართ.

**- შემადგენლობა იგივე იქნება?**

- ბირთვი იგივე იქნება. ყველა რედაქციაში 60 პროცენტი მუშაობს კარგად, ან, უბრალოდ, მუშაობს. დანარჩენი 40 პროცენტი ბალასტია.

**- ТВ 6, НТВ, "სეგოდნია", "იტოგი", "იზვესტია", ახლა - "ნოვიე იზვესტია"... როგორ ფიქრობთ, რამდენ ხანს გასტანს კრემლის ოპოზიციური მედიის წინააღმდეგ მიმდინარე კამპანია?**

- ამ მეთოდებით ხელისუფლება ვერ შეძლებს საბოლოოდ გაუსწორდეს ოპოზიციურ პრესას. აღარ გამოუვა "მფლობელთა კონფლიქტი"... ადამიანები შეცდომებზე სწავლობენ. დღეს ისეთი ატმოსფეროა, რომ სიტყვის თავისუფლება არ დამთავრდება. მოსკოვში სულ უფრო მეტ გაზეთსა და ტელეარხზე ისმის ჯანსაღი ხმები... ისინი სამართლიანად აფასებენ ამერიკელებსაც და იმასაც, თუ რას ნიშნავს ეს ომი. ასე რომ, ჩვენი განწყობა ოპტიმისტურია.

**- რა არის გაზეთი - პოლიტიკა, ბიზნესი, თუ ორივე ერთად?**

- პირველ რიგში, პოლიტიკაა.

**- მაგრამ თქვენ ბიზნესის მსხვერპლი გახდით.**

- პირველად, "იზვესტიის" შემთხვევაში, ეკონომიკა არაფერ შუაში იყო... როცა ის დავტოვე, წარმატებული გაზეთი იყო. 2 მილიონი რუბლი (100 000 დოლარი) ჰქონდა და აწყობილი გამოცემა გახლდათ - რუსეთის 42 ქალაქში გამოვდიოდით... გაზეთი მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ჩერნომირდინმა გააჩერა. მეორე შემთხვევას მთლად ხელისუფლებას ვერ დავაბრალებთ, მაგრამ, როგორც მაშინ, სამი თვეც არ გავა და ისევ გამოვა ახალი გაზეთი. სულით ის ისეთივე იქნება, როგორც "ნოვიე იზვესტია"...

**P.S. გვიან საღამოს იგორ გოლომბიოვსკის დავუკავშირდით. ის, თავისი გუნდით, უკვე ახალ ოფისში იყო და ახალი გაზეთის მალე გამოსვლას აღნიშნავდა.**

## გაზეთი, პირველ რიგში, პოლიტიკაა...



ერაყი სხვა სამყაროა, მსოფლიოს სხვაგვარი ნაწილი. ამიტომაც ხვდება ეს ევროპას გულზე.

აფხაზეთთან მიმართებაში მხოლოდ პუტინის პოლიტიკა არ მუშაობს. ეს რუსული იმპერიული პოლიტიკაა - იმპერიას იქიდან წასვლა არ უნდა.

ამერიკა-საქართველოს შეთანხმების რატიფიკაციას, შეიძლება, რეგიონული ურთიერთობების გამწვავება, წვრილმანი საზიზღრობები მოჰყვეს.







# "ოსკარი თავისით მოვიდა"

## დილის შვიდ საათზე მერაბ ნინიძეს თბილისიდან დედამ შეატყობინა გამარჯვება

ვერა ნეფარიძე
თამარ სუხიშვილი

**"არსად, აფრიკაში"** (2001 წ. გერმანია)

**რეჟისორი** - კაროლინ ლინკი

**მონაწილეობენ** - ჯულიან კიოლერი (იეტელი), მერაბ ნინიძე (ვალტერი), ლეა კურკა (რეგინა), მათიას ჰაბიხი (ზიუსკინდი), სიდედე ონიულო (ოვუორი), კაროლინ ეკერცი (პატარა რეგინა)

**ანოტაცია:**

*"არსად, აფრიკაში" სიყვარულის ისტორიაზე მოგვითხრობს, სადაც ერთდროულად რამდენიმე თემა ვითარდება. ეს არის ამბავი გერმანიაში მცხოვრებ ებრაულ ოჯახზე, რომელიც 1938 წელს ფაშისტურ რეჟიმს გაექცა და კენიის ერთ-ერთ სოფელს შეაფარა თავი. ადვოკატი ვალტერ რედლიხი, მისი მეუღლე იეტერი და ხუთი წლის გოგონა რეგინა ერთ დროს კომფორტულად ცხოვრობდნენ გერმანიაში, და არც კი ფიქრობდნენ, რომ ოდესმე მათი სიმშვიდე და ოჯახური მყუდროება დაირღვეოდა (ან კი რატომ უნდა დარღვეულიყო?). მაგრამ იდილიური ოჯახი მკაცრ რეალობას შეეჯახა. ეს რეალობა ოჯახის თითოეული წევრის ცხოვრებაზე, მათ ფსიქოლოგიაზე თავისებურად აისახება. ადვოკატი ვალტერი ფერმაში დამლაგებლად იწყებს მუშაობას და სულ უფრო და უფრო ბევრს ფიქრობს იმაზე, რაც უკან დარჩა. განებივრებული იეტელი ვერ ეგუება ვერც ახალ ყოფას, ვერც იმას, რომ მისი ქმარი ფერმის დამლაგებელია. მორცხვი და ცნობისმოყვარე რეგინა კი ადვილად ეჩვევა ახალ გარემოს, სწავლობს ადგილობრივ ენას და წეს-ჩვეულებებს, და მეგობარსაც იპოვის ფერმის მზარეულის – ოვუორის სახით. ამასობაში სამყაროს მეორე მხარეში ომი იწყება, რეგინა იზრდება – ის უკვე საკუთარ თავში დარწმუნებული გოგონაა. ოჯახის წევრების დამოკიდებულება უცხო გარემოსთან თანდათანობით რთულდება, ისინი ერთმანეთთანაც გაუცხოებულნი არიან. საბოლოოდ კი უფრო მეტად აფასებენ აფრიკას და ცდილობენ იპოვონ გზა ერთმანეთთან მისაახლოებლად. ომის დამთავრების შემდეგ ოჯახი ახალ გერმანიაში ბრუნდება.*

*აფრიკის ნათელი, ყვითელქვიშიანი, მზიანი პეიზაჟები (ეს ფილმი, ნამდვილად, გამოირჩევა შესანიშნავი ოპერატორული ნამუშევრით) არაა მხოლოდ ესთეტიკური დატვირთვის მატარებელი, ეს არის იმ სინათლისა და სიწმინდის სიმბოლო, ფაშიზმის ჭუჭყსა და სიბნელეს რომ უპირისპირდება.*


REUTERS
ჯულიან კიოლერი, მერაბ ნინიძე

"ოსკარების" წლევანდელ 75-ე დაჯილდოების ცერემონიალს განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა, არა მხოლოდ მისი საიუბილეო თარიღის გამო. 2003 წელს "ოსკარმა" პოლიტიკური ელფერი შეიძინა. სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. უკანასკნელი დღეების განმავლობაში მსოფლიო საზოგადოების ყურადღება მხოლოდ ორი მოვლენისკენ იყო მიპყრობილი. დედამიწის ყველა კუთხეში პირდაპირი ეთერის საშუალებით თითქმის ერთნაირი ინტერესით ადევნებდნენ თვალს ომს ერაყში და არანაკლები ცნობისმოყვარეობით ელოდნენ უკანასკნელ ცნობებს ლოს-ანჟელესიდან. ამერიკაში კი ერთნაირი მონდომებით ემზადებოდნენ მილიტარისტული ოპერაციებისა და საზეიმო ცერემონიალისათვის.

წლის უმნიშვნელოვანეს მოვლენას ელოდნენ კინომოყვარულებიც. ელოდნენ არა მარტო გამარჯვებულთა გამოვლენას, არამედ ხელოვანთა საპროტესტო რეაქციასაც... წლევანდელ ცერემონიალს განსაკუთრებულად ელოდნენ ჩვენშიც. "საუკეთესო უცხოური ფილმის" ნომინაციაზე წარდგენილი იყო გერმანული კინოსურათი "არსად, აფრიკაში", რომელშიც მთავარ როლს მერაბ ნინიძე ასრულებს. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც "ოსკარის" მფლობელ ფილმში ქართველი მსახიობი მონაწილეობს (სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინ "ოსკარისთვის" ნანა ჯორჯაძის ფილმიც შეარჩიეს, მაგრამ "შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი" ნომინანტებს შორის ვერ მოხვდა).

ბოლო სამი თვის განმავლობაში "არსად, აფრიკაში" შეერთებული შტატების კინოთეატრების რეპერტუარშია და მას მაყურებელი არ აკლია (უცხოური ფილმის ასეთი წარმატებული კინოჩვენება ამერიკაში ხშირი არ არის. ამიტომაც უწოდებს მერაბ ნინიძე ამ სურათს "უცნაური ბედის" ფილმს). 16 მარტს, "ოსკარზე" გამარჯვებამდე, კაროლინ ლინკის "არსად, აფრიკაში" კინოს სახლში თბილისელმა მაყურებელმაც ნახა. ფილმის თბილისურ პრემიერას მერაბ ნინიძეც ესწრებოდა. ოდნავ სუბიექტური ქართული აუდიტორია ამ ფილმს განსაკუთრებული სითბოთი შეხვდა; დადებითი იყო ობიექტური და მკაცრი დასავლური კრიტიკაც: "ეს ფილმი ყველა ნიშნით აკმაყოფილებს ოსკარის ფავორიტთა კრიტერიუმებს," – ჯერ კიდევ "ოსკარის" გამარჯვებულთა გამოცხადებამდე წერდა "ბი-ბი-სი". ასე რომ, კინოკრიტიკოსთა გარკვეული წრისთვის "არსად, აფრიკაში"-ს გამარჯვება მოულოდნელი ნამდვილად არ ყოფილა.

სამაგიეროდ, ეს გამარჯვება თავად მერაბ ნინიძისთვის იყო მოულოდნელი. ამ წარმატების შესახებ ვენაში მყოფმა ქართველმა მსახიობმა თბილისიდან შეიტყო: "სიმართლე რომ გითხრათ, "ოსკარების" ცერემონიალის სატელევიზიო ჩვენებას ბოლომდე ველარ ვუყურე, ვერ გავუძელი, ჩამეძინა. დილის შვიდ საათზე დედამ დამირეკა და ეს ამბავი მახარა," – მერაბ ნინიძე სიხარულს ვერ მალავს.

ოსკარის წლევანდელ ნომინაციებში გამარჯვებული ფილმის შექმნის ისტორია საკმაოდ საინტერესოა: პროდუსერ პეტერ ჰერმანს აფრიკული თემატიკა შემთხვევით არ შეურჩევია. იგი აფრიკაში ეთნოგრაფიის შესასწავლად იყო ჩასული და კარგად იცნობდა იქაურ ყოფას, წეს-ჩვეულებებს... მისი დაინტერესება იმდენად დიდი იყო, რომ მომავალში, როცა ჰერმანი კინოინდუსტრიაში ჩაება, გადაწყვიტა სწორედ აფრიკული ამბავი აეღო, ოღონდ ისეთი, რომელსაც გერმანიის ყოფასთანაც ექნებოდა კავშირი. მიაგნო კიდეც შტეფანი ცვაიგის რომანს. ეს მოხდა 1995 წელს. ფართო საზოგადოებისთვის უცნობი რომანი, რომლის ეკრანიზაციის უფლებაც ჰერმანმა შეიძინა, მალე ბესტსელერი გახდა, რამაც მომავალი ფილმისადმი ინტერესი გაამძაფრა. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ არჩევანი ახალგაზრდა რეჟისორზე - კაროლინ ლინკზე შეაჩერა. ლინკმა პირველი წარმატება პირველივე ფილმით – "სიჩუმის მიღმა" მოიპოვა; რვაჯერ ნაცადი ბედის შემდეგ კი ამერიკის კინოაკადემიის ყურადღება წელს პირველად მიიპყრო (სანამ "ოსკარისკენ" მიმავალ გზას შეუდგებოდა, ფილმმა გერმანიის ეროვნული კინოფესტივალის პრიზი მიიღო). კრიტიკის აზრით, ფილმის წლევანდელი წარმატება უმეტესად მისმა თემატიკამ განსაზღვრა.

მსოფლიოში შექმნილი პოლიტიკური ფონისა და მასობრივი მიგრაციის თვალსაზრისით, "არსად, აფრიკაში" საკმაოდ აქტუალურია. "დღესდღეობით მსოფლიოში უამრავი ლტოლვილია. ჩვენს ფილმში თქვენ ნახავთ, თუ რას ნიშნავს იყო დევნილი, როგორია ლტოლვილთა ყოველდღიური ყოფა, მათი პრობლემები," – აღნიშნა ერთ-ერთ ინტერვიუში პროდუსერმა პეტერ ჰერმანმა.

"ოსკარის" მოპოვება გერმანიაში უდიდეს გამარჯვებად აღიქვეს. ეს მარტო ფილმის შემოქმედებითი ჯგუფის კი არა, მთელი გერმანული კინოს წარმატებაა. წლევანდელი "ოსკარი" გერმანულმა ფილმმა 25-წლიანი პაუზის შემდეგ მიიღო. დღეს კი, როცა გერმანულ კინობაზარზე ამერიკული ფილმები ჭარბობს (ოფიციალური მონაცემებით, გერმანული კინობაზრის 80-85% ამერიკული ფილმებია). კინოკრიტიკოსთა პროგნოზით, "არსად, აფრიკაში"-ს აღიარება გერმანული ეროვნული პროდუქციის რეიტინგსაც გაზრდის. "კომერციული თვალსაზრისით, ეს მოვლენა დიდი სტიმული იქნება გერმანული კინოინდუსტრიისათვის", - ამბობს პროდუსერი.

ფილმის შემოქმედებითი ჯგუფიდან ლოს-ანჟელესში მხოლოდ მისი პროდუსერი ჩავიდა. დანარჩენი წევრები ცერემონიალს არ დასწრებიან. თუმცა, მერაბ ნინიძის თქმით, ეს მათი მხრიდან საპროტესტო ჟესტი არ ყოფილა. მერაბ ნინიძე, ფილმის რეჟისორთან და პარტნიორთან - ჯულიან კიოლერთან ერთად ბოლო წუთებამდე არკვევდა ამერიკაში გამგზავრების საკითხს. "ზუსტად ვერ გეტყვით, რატომ არ წავიდნენ, - გვეუბნება მერაბის დედა, ქალბატონი მანანა, - მერაბი უცებ კარებიდან მოტრიალდა და თქვა, არ წავალო". კეროლინ ლინკმა გამგზავრება შვილის ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო; ჯულიან კიოლერმა საომარი მოქმედებების გამო შეიკავა თავი; რაც შეეხება მერაბ ნინიძეს, მან, უბრალოდ, ამ ყველაფრის ხალისი დაკარგა. "ჩემოდანიც ჩალაგებული მქონდა, ბილეთიც – აღებული. ტელევიზორი რომ ჩავრთე, ომი, სულ რაღაც, ათი წუთის დაწყებული იყო, უეცრად ყველაფრის ხალისი დამეკარგა..."

"დღეს ჩვენ არ წავედით, "ოსკარი" თავისით მოვიდა ჩვენთან, მომავალში კი აუცილებლად წავალ," – ხუმრობს მერაბ ნინიძე.

ამ დღეებში ქართველი მსახიობი გერმანიაში გამართულ პრესკონფერენციებში მიიღებს მონაწილეობას. თბილისში ჩამოსვლამდე გადაწყდება მორიგ გერმანულ ფილმში მისი მონაწილეობის საკითხიც. გამორიცხული არ არის, რომ ამ გამარჯვების შემდეგ ახალი წინადადებებიც მიიღოს. 2 აპრილს კი "ოსკაროსანი" ფილმის გმირს "ახალი სარდაფის" სცენაზე კვლავ შაილოკის როლში ვიხილავთ.

# "ახალი ხმები" ახალი კონკურსიდან

## "გვინდა ქართული სცენა და მომღერლები დავხვეწოთ"


ვახო ბასილიას ფოტო
გია ჭირაქაძე და ზურა შარია

ნანა ბასილაშვილი

კულტურის სამინისტროსა და შპს შოუბიზნესცენტრის, "დაფიონის" თაოსნობით, გუშინ ახალი კონკურსი დამკვიდრდა. "ახალი ხმების" სახელწოდების ახალმა ფონდმა, ამავე სახელწოდების კონკურსი, მომღერალ გოგი დოლიძის ხსოვნას მიუძღვნა. ფონდის ერთ-ერთ დამფუძნებლად გოგი დოლიძის ერთადერთი მემკვიდრე, 18 წლის ლევან დოლიძე გვევლინება.

ფონდი "ახალი ხმებისა" და კონკურსის პრეზენტაცია ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე, მარჯანიშვილის თეატრში შეკრებილ ვიწრო წრეში შედგა. ეს სიახლე გოგი დოლიძის მეგობრებმა, ანსამბლ "ქართული ხმების" წევრებმაც სიხარულით გაიზიარეს. კონკურსის ორგანიზატორების თქმით, მათი მიზანია ახალგაზრდა, ნიჭიერი შემსრულებლების აღმოჩენა და პოპულარიზაცია. "დღევანდელი ესტრადა შეიცვალა - დღეს, ძირითადად, "პოპსა" სრულდება, ჩვენ კი გოგი დოლიძის სტილის დამკვიდრებას შევეცდებით,"- აღნიშნა ფონდის გენერალურმა დირექტორმა, გიორგი ბროლაძემ. კონკურსზე, რომლის ჟიურის შემადგენლობა ჯერჯერობით საიდუმლოა, ყურადღება გოგი დოლიძისეულ რეპარტუარზე გამახვილდება – ქალაქურ და ლირიკულ ქართულ სიმღერებზე. "გვინდა ქართული სცენა და მომღერლები დავხვეწოთ," – კონკურსის მთავარი ჩანაფიქრიც ესაა.

"ახალი ხმა" მთელი საქართველოს მასშტაბით გაიმართება. კონკურსი გუშინ დაიწყო და, დაახლოებით, 30 აპრილს დამთავრდება; შემდეგ იქნება შემაჯამებელი ტურები. დასკვნითი კონცერტი 5 სექტემბერს, გოგი დოლიძის დაბადების დღეს გაიმართება და გრანდიოზული მუსიკალური ფესტივალით დასრულდება. გამარჯვებულებს ფულადი პრემიებით, სიგელებითა და სუვენირებით დააჯილდოებენ. რაც შეეხება გრან-პრის, კონკურსის ორგანიზატორების აზრით, ის, შესაძლოა, არც გაიცეს, რადგან ღირსეული მფლობელის შერჩევა გაძნელდება; და თუ მაინც შეირჩა, გრან-პრის მფლობელს, პროფესიული თვალსაზრისით, მომავალშიც მნიშვნელოვანი დახმარების გაწევას ჰპირდებიან.

# დიდი ბერძნები

ეკა გვახარია

*საბერძნეთი – სირტაკისა და ოლიმპიური თამაშების სამშობლო, მსოფლიო კულტურისა და ცივილიზაციის ერთ-ერთი კერა დღეს დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავს.*

**დედაქალაქი** – ათენი.

**მოსახლეობა** – ბერძნები 98%, სხვა ეროვნების ხალხი 2%.

**რელიგია** – მართლმადიდებელი ქრისტიანები 98%, ისლამის მიმდევრები 1,3%, სხვა რელიგიების მიმდევრები 0,7%.

**ოფიციალური ენა** – ბერძნული.

დღეს საბერძნეთთან დაკავშირებით შეუძლებელია, არ გაგახსენდეს წარმოშობით ბერძენი, რამდენიმე ძალიან პოპულარული ადამიანი, რომლებმაც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს გაუთქვეს სახელი. ერთ-ერთი მათგანი ცნობილი მომღერალი, **ჯორჯ მაიკლია**. ის 1963 წლის 25 ივნისს ლონდონში დაიბადა. მისი ნამდვილი სახელია გიორგიოს კირიატო პანაიოტო. ჯორჯ მაიკლი საკმაოდ წარმატებული ფიგურაა მუსიკალურ სამყაროში - მთელ მსოფლიოში უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს. "ყველას სურს, გახდეს ვარსკვლავი. მეც ძალიან მინდოდა და ამის მისაღწევად ბევრი რამ გავაკეთე. ნამდვილად არ ვისურვებდი ამ გზის კიდევ ერთხელ გავლას,"- ამბობს ჯორჯ მაიკლი. ის შოუ-ბიზნესში პირველად 70-იანი წლების ბოლოს გამოჩნდა თავის მეგობარ ენდრიუ რიგლისთან ერთად პოპ-დუეტით Wham! და პირველივე ჰიტებით (Wham Rap, Bad boys, Club Tropicana) გახდა პოპულარული. Wham!- ს განსაკუთრებული წარმატება ყველასათვის კარგად ცნობილმა სიმღერებმა მოუტანა: Wake me up before you go-go (1984 წელი), რომელიც საერთაშორისო ჰიტად იქცა და ბილბორდის ცხელ ასეულში პირველი პოზიცია სამი კვირის განმავლობაში ეკავა, და Careless Whisper. დუეტი 1986 წელს დაიშალა.

1987 წელს ჯორჯ მაიკლი კვლავ მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში. ალბომი Faith მის სოლო კარიერისთვის წარმატებული სტარტი იყო. მან იმდენად დიდი მოწონება დაიმსახურა, რომ ატლანტიკის ორივე მხარეს მისი 15 მილიონი ეგზემპლარი გაიყიდა. ალბომი, პირველი იყო სხვადასხვა ჩარტებში 12 კვირის განმავლობაში. 1988 წელს ჯორჯ მაიკლი გრემით დაჯილდოვდა საუკეთესო ალბომისათვის. შემდგომ პერიოდში მისი შემოქმედება ჩავარდნას განიცდიდა - ალბომი Listen Without Prejudice (1990 წელი) არც ისე წარმატებული აღმოჩნდა, თუ არ ჩავთვლით ალბომში შესულ სიმღერას Freedom. ასევე - 1993 წელს ჩაწერილ დუეტებს ელტონ ჯონთან (Don't Let The Sun Go Down On Me) და ჯგუფთან Queen ( Killer / Papa Was a Rollin' Stone).


ჯორჯ მაიკლი

ჯორჯ მაიკლის მეორედ დაბრუნების პერიოდად შეიძლება ჩაითვალოს 1996 წელი: ყველასათვის კარგად ცნობილმა სიმღერამ Jesus To a Child მუსიკალურ სამყაროში ნამდვილი ბუმი მოახდინა. ჯორჯი განსხვავებული იმიჯით კვლავ წარდგა საზოგადოების წინაშე და დღესაც წარმატებულად აგრძელებს მოღვაწეობას. ამჟამად მომღერალი აქტიურად გამოდის ერაყში ომის წინააღმდეგ და აპირებს მშვიდობის თემას მიუძღვნას სიმღერა, რომელსაც ლი რაიენთან (ჯგუფი Blue), ჯასტინ ტიმბერლეიკთან, პინქთან და კაილი მინოუგთნ ერთად ჩაწერს.

ცნობილი ბერძნების სიას, რომლებიც სხვა ქვეყნებს წარმოადგენენ, ერთ-ერთი საინტერესო შემოქმედიც ავსებს (ასევე მუსიკის სფეროდან) - ბრიტანელი მომღერალი, **ქეტ სტივენსი**, რომლის ნამდვილი სახელი გახლავთ სტივენ დემეტრე გეორგიუსი. მამით ბერძენი და დედით შვედი მომღერალი ლონდონში დაიბადა. როგორც თვითონ იხსენებს, მას ყოველთვის აღაფრთოვანებდა ბერძენი მამის ტემპერამენტული, სამხრეთული ხასიათი. მშობლების დაცილების შემდეგ ის გარკვეული პერიოდი შვედეთში სწავლობდა, გარეგნულად ტიპიური ბერძენი - მუქი თმითა და თვალებით, ქერა შვედებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა: "ნამდვილი ეგზოტიკა ვიყავი მათთვის, ბავშვები მოდიოდნენ ჩემს სანახავად, მე კი ვირჩევდი ვისთან მემეგობრა," - იხსენებს ქეთ სტივენსი. კათოლიკურ სკოლაში გაზრდილი მართმადიდებელი ბოლოს მუსულმანი გახდა. ეს იყო მისი ყველაზე მოულოდნელი გადაწყვეტილება. ასე რომ, იუსუფ ისლამი, ქეთ სტივენსი და სტივენ დემეტრე გეორგიუსი ერთი და იგივე ადამიანია. მისი პირველი ცნობილი ჰიტი გახლავთ I Love my dog, რომელიც მან 18 წლის ასაკში ჩაწერა.

და ბოლოს, არ შეიძლება ამ თემასთან დაკავშირებით არ გავიხსენოთ ცნობილი ამერიკელი ჩოგბურთელი, **პიტ სამპრასი**. ის 1971 წლის 7 დეკემბერს დაიბადა ვაშინგტონში, ბერძნების ოჯახში. პიტმა ჩოგბურთის თამაში 7 წლის ასაკში დაიწყო. მისი პირველი მწვრთნელი იყო მამის, სემ სამპრასის მეგობარი, პიტ ფიშერი, რომელსაც, მართალია, მწვრთნელობის გამოცდილება არ ჰქონდა, მაგრამ მაინც მოახერხა ღირსეული სპორტსმენის აღზრდა. ფიშერი პიტს ცნობილი ჩოგბურთელების თამაშების ვიდეოჩანაწერებს აჩვენებდა. პატარა სამპრასს უნდა ეცადა, მათთვის მიებაძა; მთავარი მიზანი უიმბლდონი იყო და დღეს ის მიღწეულია. სამპრასის წარმატებულობის დასტურად, ალბათ, იმ ჩოგბურთელების დასახელებაც კმარა, ვისთანაც მას სპორტული კარიერის განმავლობაში გაუმარჯვია: ანდრე აგასი, ბორის ბეკერი, მაიკლ ჩანგი, ჯიმ კურიე და ა.შ.

ჯორჯ მაიკლი, პიტ სამპრასი, ქეთ სტივენსი... ის ბერძნები არიან, რომლებიც უცხო ქვეყნებში დაიბადნენ და გაიზარდნენ, საერთაშორისო ასპარეზზე სხვა ქვეყნების სახელით გადიან, მაგრამ მათზე საუბრისას ყოველთვის გაისმის ფრაზა, - "ისე, ხომ იცი, ბერძენია"...

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

## კუპერი არც რონალდოს მეუღლეს მოსწონს


მილენა დომინგეში

ლამის ერთი სეზონი გავიდა, რაც ბრაზილიელმა რონალდომ მილანის "ინტერი" დატოვა, მის წასვლასთან დაკავშირებული აჟიოტაჟი კი ჯერაც არ მინელებულა. რონალდო, როგორც კი შემთხვევა მიეცემა, მაშინვე ყველას უტკიცებს, "ინტერის" პრეზიდენტი და ტიფოზები ჩემს მიმართ მუდამ დიდ ყურადღებას და სიყვარულს იჩენდნენ. ექტორ რაულ კუპერის ჭირვეულობა რომ არა, მილანიდან არ წავიდოდიო. "ფენომენმა" ერთხელ ისიც კი თქვა, "ინტერში" დავბრუდნებოდი, ოღონდ იმ პირობით, თუ იქ კუპერი არ დამხვდებაო...

ახლახან ამ საკითხზე აზრი გამოთქვა რონალდოს მეუღლემ, მილენამ. ქერათმიანი მილენა, მეუღლის მსგავსად, პროფესიონალი ფეხბურთელია. იტალიის სერია A-ში ის "მონცას" შემადგენლობაში თამაშობდა, ახლა კი მადრიდელ ფეხბურთის მოყვარულთ ატკბობს თავისი სპორტული შესაძლებლობებით. მილენა კარგად იცნობს პროფესიული ფეხბურთის სამზარეულოს და აცხადებს, რომ მისი მეუღლე კუპერმა აიძულა "ინტერიდან" წასულიყო. "კუპერს მძიმე ხასიათი აქვს. უნდა, რომ ყველა მის გადაწყვეტილებებს დაემორჩილოს. რონალდო ისე გააწამა, ბოლოს "ინტერში" თამაში საერთოდ აღარ ანიჭებდა სიამოვნებას. მარტო ფულისთვის ხომ ვერ დარჩებოდა მილანში. ამიტომაც გადავიდა მადრიდში, რითაც ორივე ძალიან კმაყოფილი ვართ", - განაცხადა მილენამ.

## ლიხტენშტაინში ტერორის ეშინიათ

ერაყის ომის გამო რომ რამდენიმე ამხანაგური მატჩი გადაიდო, ეს, ალბათ, ყველასთვის გასაგებია. ბოლოს და ბოლოს, რა ეფეხბურთებათ ბაჰრეინს ან ეგვიპტეს, ან, თუნდაც, ამერიკის შეერთებულ შტატებს. ამ ქვეყნებში მასობრივი ღონისძიებების გამართვა, უბრალოდ, სახიფათოა. ახლა კი ირკვევა, რომ, თურმე, არც ევროპელები ყოფილან დაზღვეული უსიამოვნო სიურპრიზებისგან.

ომის დაწყებამდე, ალბათ, ვერავინ იფიქრებდა, რომ თავად ევროპის ტერიტორიაზეც საჭოჭმანო გახდებოდა მატჩების ჩატარება. 29 მარტს ევროპაში ევრო 2004-ის საკვალიფიკაციო შეხვედრებია დაგეგმილი. ამ დღეს ინგლისის ეროვნული ნაკრები ლიხტენშტაინს უნდა ეწვიოს, მაგრამ, იმის გამო, რომ ინგლისი ერთადერთი ევროპული ქვეყანაა, რომელიც ერაყში მიმდინარე ომს მხარს უჭერს და თავადაც აქტიურად იღწვის სადამ ჰუსეინის რეჟიმის დასამხობად, ლიხტენშტაინში შიშობენ, რომ ეს მატჩი ექსცესების გარეშე ვერ ჩაივლის.

ლიხტენშტაინის ფეხბურთის ფედერაცია დარწმუნებული არ არის, რომ უსაფრთხოების ზომები, რასაც ამ პატარა ქვეყნის პოლიცია მიიღებს, საკმარისი იქნება ინგლისელ ფეხბურთელთა დასაცავად. "ჩვენ, რა თქმა უნდა, გვინდა მატჩის ჩატარება, მაგრამ, ვშიშობთ, რომ ინგლისელთა ჩამოსვლა ლიხტენშტაინში ტერორისტებს არ გამოეპარებათ. ინგლისი ომის მონაწილე სახელმწიფოა და მისი ფეხბურთელების დაცვა განსაკუთრებით რთული ამოცანაა. ჩვენ ისე მოვიქცევით, როგორც ამას UEFA გადაწყვეტს", - აცხადებს ლიხტენშტაინის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ფრედი ჰილტი.

## "სკუადრა აძურა" დელ პიეროსა და ინძაგის გარეშე

29 მარტს იტალიის ნაკრები უმნიშვნელოვანეს მატჩს ატარებს ფინელთა წინააღმდეგ. უელსის ეროვნულ გუნდთან წაგებამ და იუგოსლავიასთან ფრემ იტალიელებს საქმე ისე გაუხადა, რომ სულაც არ იქნება გასაკვირი, თუ ტიტულოვანი "სკუადრა აძურა" ევრო 2004-ზე ვერ მოხვდება. ამ უსიამოვნო სიურპრიზის თავიდან ასაცილებლად, იტალიელებს პალერმოში აუცილებლად გამარჯვება სჭირდებათ.

ასეთ რთულ სიტუაცაში ჯოვანი ტრაპატონის ექსპერიმენტების ჩასატარებლად აღარ ცხელა და გამალებით ადგენს იმ ფეხბურთელთა სიას, რომლებიც ფინელთა წინააღმდეგ ითამაშებენ. უკვე ცნობილია, რომ "სკუადრა აძურას" რიგებში ალესანდრო დელ პიერო და ფილიპო ინძაგი არ იქნებიან. ტურინის "იუვენტუსის" კაპიტანი ორ თვეს ვერ თამაშობდა ტრავმის გამო. დელ პიერო კლუბს უკვე დაუბრუნდა, მაგრამ მისი გამოძახებისგან ტრაპატონიმ მაინც თავი შეიკავა. "მილანის" ფორვარდი ფილიპო ინძაგი კი ტრავმის გამო დააკლდება ნაკრებს.

სამაგიეროდ, გუნდში ბრუნდებიან კრისტიან ვიერი და ფრანჩესკო ტოტი, რომელთა კარგ თამაშზეც "ტრაპი" დიდ იმედს ამყარებს. ნაკრებში ახალი ფეხბურთელებიც გამოჩნდებიან. ტრაპატონიმ ოცდაერთკაციან განაცხადში კორადი, მიკოლი, ლეგროტალიე, ბირინდელი და კამორანეზიც შეიყვანა.

## "პერუჯას" პრეზიდენტის მუქარა

კვირას სერსე კოზმის "პერუჯა", რომელმაც წინა ტურში ფაბიო კაპელოს "რომას" მოუგო, მოულოდნელად დამარცხდა აუტსაიდერ "ტორინოსთან". ტურინელებმა სტუმრებს შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს და უმბრიაში დამარცხებულები გაუშვეს. ამან "პერუჯას" პრეზიდენტი, ლუჩანო გაუჩი, ისე განარისხა, რომ გუნდის თავკაცს, სერსე კოზმის, კლუბიდან გაგდებით დაემუქრა.

როგორც იტალიური სპორტული პრესა იუწყება, ლუჩანო გაუჩის კოზმის შემცვლელი უკვე ნაპოვნი ჰყავს. 48 წლის ლეონარდო აკორი ამჟამად სერია C 2-ის კლუბ "რიმინის" ხელმძღვანელია. აკორის ხელში "რიმინი" კარგად თამაშობს და კლუბის ბოსები იმედოვნებენ, რომ გუნდი მომავალ სეზონს C 1-ში დაიწყებს.

იმის მიუხედავად, რომ აკორის გრანდებად წოდებულ გუნდებში არასოდეს უმუშავია, ლუჩანო გაუჩი მას მაინც კარგ სპეციალისტად თვლის და კოზმის ემუქრება, თუ "პერუჯა" კვლავაც ასე უაზროდ წააგებს, კლუბს ახალი მთავარი მწვრთნელი ეყოლებაო.

## რუი კოშტას პორტუგალიაში თამაში სურს

იმის მიუხედავად, რომ "მილანის" პორტუგალიელი ნახევარმცველი მანუელ რუი კოშტა ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთ გრანდში თამაშობს, თავისი ახლანდელი მდგომარეობით სულაც არ არის კმაყოფილი და სამშობლოში დაბრუნებას აპირებს.

როგორც იტალიური პრესა იუწყება, რუი კოშტას თავის ძველ კლუბში, ლისაბონის "ბენფიკაში" სურს დაბრუნება. "ამაში შეუძლებელი არაფერია. მთავარია, თავად რუი კოშტამ მოისურვოს ჩვენს გუნდში თამაში. თუ მას ამის სურვილი ექნება, "ბენფიკა" ყველაფერს იღონებს, რომ ეს საუცხოო ფეხბურთელი დაიბრუნოს. "მილანთან" მოლაპარაკებას დავიწყებთ და პირობებზეც შევთანხმდებით", - განაცხადა "ბენფიკას" პრეზიდენტმა ლუიშ ფელიპე ვიეირამ.

## ჩივაძე ირლანდიას 21 კაცით დაუხვდება

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ალექსანდრე ჩივაძემ, ირლანდიის ეროვნულ ნაკრებთან საკვალიფიკაციო მატჩამდე ხუთი დღით ადრე, გუნდის სრული შემადგენლობა დაასახელა.

მეკარეები: *გიორგი ლომაია ("ლოკომოტივი" თბილისი), დავით გვარამაძე ("დინამო" თბილისი);*

მცველები: *გივი დიდავა, რევაზ ქემოკლიძე (ორივე – "ქოჯაელისფორი" თურქეთი), გიორგი შაშიაშვილი, ალექსანდრე ამისულაშვილი, ოთარ ხიზანეიშვილი, დათო კვირკველია (ოთხივე – "დინამო" თბილისი), ზურაბ ხიზანიშვილი ("დანდი" შოტლანდია);*

ნახევარმცველები: *ალექსანდრე რეხვიაშვილი ("ტორპედო-მეტალურგი" რუსეთი), გოჩა ჯამარაული ("მეტალურგი" უკრაინა), გიორგი ქინქლაძე ("დერბი ქაუნთი" ინგლისი), გიორგი ნემსაძე ("დანდი" შოტლანდია), თემურ ქეცბაია ("ანართოსისი" კვიპროსი), ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი (ორივე – "ფრაიბურგი" გერმანია);*

თავდამსხმელები: *ალექსანდრე იაშვილი ("ფრაიბურგი"), შოთა არველაძე ("გლაზგო რეინჯერსი" შოტლანდია), გიორგი დემეტრაძე ("მეტალურგი" უკრაინა), მიხეილ აშვეთია ("სპარტაკ-ალანია" რუსეთი).*


ალექსანდრე ჩივაძე

ირლანდიისა და შვეიცარიის ეროვნულ ნაკრებ გუნდებთან შესარჩევი მატჩებისწინა შეკრებაზე გამოძახებული იყო კახა კალაძეც, მაგრამ მან ტრავმა მიიღო და ამ ორ შეხვედრაში მონაწილეობას ვერ მიიღებს. ნაკრების პრესატაშეს, მამუკა კვარაცხელიას თქმით, ალექსანდრე ჩივაძე, საჭიროების შემთხვევაში, შეკრებაზე თბილისის დინამოელი ფორვარდების, რატი ალექსიძისა და ვიტალი დარასელიას გამოძახებასაც არ გამორიცხავს. შემადგენლობასთან დაკავშირებით იმასაც შეგახსენებთ, რომ "დანდის" ქართველ მცველს წითელი ბარათის გამო ირლანდიის ნაკრებთან თამაშის უფლება არა აქვს, თუმცა, ჩივაძეს შეუძლია, ის შვეიცარიელთა წინააღმდეგ გამოიყენოს.

ალექსანდრე ჩივაძე, ნაკრების ფეხბურთელებთან ერთად, ირლანდიასთან მატჩისწინა პრესკონფერენციას 26 მარტს, 12 საათსა და 30 წუთზე გამართავს დიდ დიღომში, ეროვნული ნაკრების მშენებარე ბაზის ტერიტორიაზე. დღეს კი საფეხბურთო სპორტსკოლა "ოლიმპის" მოედანზე გაიმართება თბილისის "დინამოსა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების სპარინგ-მატჩი, რომლის შემდეგ ახალგაზრდულის მთავარი მწვრთნელი, რევაზ არველაძე, თავისი პირველი ოფიციალური მატჩის წინ ბოლო პრესკონფერენციას მოაწყობს. სპარინგ-მატჩი 16 საათსა და 30 წუთზე დაიწყება.

რაც შეეხება ირლანდიის ეროვნულ ნაკრებს, ბრიტანელები 27 მარტს, 16 საათზე, ჩარტერული რეისით ჩამოფრინდებიან თბილისში. მთელი დელეგაცია სასტუმრო "მარიოტში" განთავსდება. საქართველოსა და ირლანდიის ახალგაზრდული გუნდების მატჩი დანიშნულია 28 მარტს, 16 საათზე, ბორის პაიჭაძის ეროვნულ სტადიონზე. ამავე ქვეყნების ეროვნული ნაკრებების შეხვედრა ერთი დღით გვიან, "ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართება. მატჩი 19 საათზე დაიწყება.

## გუტი: "მანჩესტერის" წინააღმდეგ თამაში ახლა უფრო ხელსაყრელია"

*ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური ეტაპის კენჭისყრამ ერთმანეთს დაუპირისპირა ტურნირის ორი უპირველესი ფავორიტი - მადრიდის "რეალი" და "მანჩესტერ იუნაიტედი". სპეციალისტების დიდი ნაწილი მიიჩნევდა, რომ ჩემპიონთა თასს წლეულს სწორედ ერთ-ერთი ამ კლუბთაგანი დაეუფლებოდა. მადრიდის "რეალის" თავდამსხმელი ხოსე მარია გუტიერესი, იგივე "გუტი", თვლის, რომ მის კლუბს გაუმართლა, რადგან "მანჩესტერთან" შესახვედრად ორმატჩიან მეოთხედფინალს უფრო ხელსაყრელ მომენტად მიიჩნევს, ვიდრე მათთან ფინალში დაპირისპირებას, რომელიც "მანჩესტერის" მშობლიურ "ოლდ ტრაფორდზე" გაიმართება. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელშიც გუტი "მანჩესტერის" წინააღმდეგ მატჩზე, კლუბში საკუთარ პოზიციებსა და ერაყის ომზე საუბრობს.*

**- "მანჩესტერის" წინააღმდეგ მეოთხედფინალში ორი მატჩის ჩატარება მოგიწევთ. ხომ არ გერჩიათ, მათ ფინალში შეხვედროდით და ერთ მატჩში გაგერკვიათ ურთიერთობა?**

- მათ წინააღმდეგ სათამაშოდ ახლა უფრო ხელსაყრელი მომენტია. ფინალში გასასვლელად "მანჩესტერი" ყველაფერს გააკეთებს, რადგან საკუთარ მოედანზე თამაში მისთვის უდიდესი უპირატესობა იქნება. არ ვიცი, ორმატჩიანი დაპირისპირება უპირატესობა არის თუ არა, მაგრამ, ცხადია, რომ ორი შეხვედრა წარმატების მიღწევის მეტ საშუალებას იძლევა. სამი შესაძლო მეტოქიდან "მანჩესტერს" ყველაზე მეტად ველოდი.


გუტი

**- პირადად შენზე ვისაუბროთ. უკანასკნელ ხანს შენი სახელი სულ უფრო ხშირად გაისმის, გულშემატკივრები სულ უფრო ხშირად ახსენებენ "გუტის".**

- მიხარია, რომ ჩემზე ლაპარაკობენ, თუნდაც, ცუდს. საშინელებაა, როცა ადამიანები გულგრილები არიან შენს მიმართ. სავსებით მაკმაყოფილებს ის სათამაშო დრო, რომელსაც მწვრთნელი მაძლევს. მე კარგად ვიყენებ ჩემს შანსს მოედანზე და იმედი მაქვს, მომავალშიც მწვრთნელის გეგმებში ვიქნები. თუმცა, ისიც უნდა ვაღიარო, რომ მადრიდის "რეალის" შემადგენლობაში თამაში ყველასთვის ძნელია.

**- რითი გამოირჩევა "რეალი"?**

- მადრიდის "რეალის" წევრობა უდიდესი პატივია. ეს ჩვენ გვაიძულებს, გუნდისთვის გავიღოთ ყველაფერი, რაც შეგვიძლია. თუ მე შევწყვეტ წინსვლას და დარწმუნებული არ ვიქნები, რომ გუნდს ვჭირდები, ჩემი ადგილი აქ აღარ იქნება. მადრიდის "რეალში" თავს შესანიშნავად ვგრძნობ.

**- რას იტყვი იმასთან დაკავშირებით, რომ ჩემპიონთა ლიგის მატჩები იმართება ისეთ მოედნებზე, როგორზეც მოსკოვში მოგიხდათ თამაში?**

- ცხადია, ძალიან უსიამოვნოა, რომ ასეთი მნიშვნელოვანი მატჩები ასეთ ცუდ მოედნებზე იმართება. პირობები, რომლებიც მოსკოვში დაგვხვდა, ჩემპიონთა ლიგის მოთხოვნებს სრულიად არ აკმაყოფილებს. იმედი მაქვს, შესაბამის ზომებს მიიღებენ. საქმე მხოლოდ გამარჯვებაში არ არის - ასეთ მოედნებზე უამრავი ცუდი რამ შეიძლება მოხდეს, მაგალითად, მძიმე ტრავმები. საბედნიეროდ, "ლოკომოტივთან" მატჩში ამას გადავურჩით.

**- რას ფიქრობ ერაყის ომზე?**

- ამასთან დაკავშირებით ძნელია რაიმეს თქმა. ის კი ცხადია, რომ ყველას მშვიდობა უნდა და არა ომი. იმედი მაქვს, ყველაფერი ჩქარა დასრულდება, თანაც, დადებითი შედეგებით. ეს ომი თითოეულ ჩვენგანს ეხება.

## "ბაიერნმა" ბუნდესლიგა უინტერესო გახადა

გასულ სეზონში გერმანიის ჩემპიონატი ბოლო ტურამდე უაღრესად დაძაბული და დამაინტრიგებელი იყო. მოვლენები ისე ვითარდებოდა, რომ უკანასკნელ ტურამდე ვერავინ გეტყოდათ, რომელი გუნდი მოიპოვებდა ნანატრ ტიტულს – დორტმუნდის " ბორუსია", ლევერკუზენის "ბაიერი" თუ მიუნხენის "ბაიერნი". სამივე კლუბი ევროტურნირებშიც მონაწილეობდა და საშინაო ასპარეზზეც ცდილობდა ჩემპიონობის მოპოვებას, მაგრამ ორ ტიტულს ვერც ერთი ვერ დაეუფლა - ათკაციანი "ბორუსია" UEFA-ს თასის ფინალში ჰოლანდიურ "ფეიენოორდთან" დამარცხდა, "ბაიერნი" მეოთხედფინალიდან გამოეთხოვა ჩემპიონთა ლიგას, ლევერკუზენის "ბაიერს" კი ჩემპიონთა ლიგის თასი მადრიდის "რეალმა" დაათმობინა. ამ წარუმატებლობის მიუხედავად, ფეხბურთი გერმანიაში მაინც ძალიან საინტერესო იყო, რადგან არავინ იცოდა, სად გამოვლიდნებოდა ახალი ჩემპიონი – დორტმუნდში, ლევერკუზენში თუ მიუნხენში. შარშანდელ ბუნდესლიგას უდიდესი ინტრიგა ჰქონდა...

წლეულს გერმანიის ჩემპიონატში რადიკალურად განსხვავებული სიტუაციაა. მუდამ ფავორიტი მიუნხენის "ბაიერნი" ჩემპიონთა ლიგას პირველი ჯგუფური ეტაპიდანვე დაემშვიდობა და მთელი ყურადღება შინაურ საქმეებზე გადაიტანა. თასის ფინალშიც გავიდა და ბუნდესლიგაშიც ისეთი ტემპი აკრიფა, რომ მისი შეჩერება ვერავინ შეძლო. სეზონის დასრულებამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა, მაგრამ "ბაიერნი" უკვე აშკარა ჩემპიონია. ბავარიელები თხუთმეტი ქულით უსწრებენ მეორე ადგილზე მყოფ დორტმუნდის "ბორუსიას" და შარშანდელმა ჩემპიონებმა, რაც უნდა მოინდომონ, "ბაიერნის" ჰეგემონიას ვერ დაამხობენ. წლეულს ტიტულს "ბაიერნი" მოიგებს – ამას წყალი არ გაუვა!

ბავარიელთა ასეთი დაწინაურება გერმანიაში არავის ახარებს. "ბაიერნმა" საშინელება ჩაიდინა - ოტმარ ჰიტცფელდის ტოპკლუბმა ბუნდესლიგაში ფეხბურთი მოკლა. აღარ არსებობს არავითარი ინტრიგა, არავითარი ინტერესი და დაძაბული მოლოდინი. ყველაფერი დღესავით ნათელია – "ბაიერნი" უკვე ჩემპიონია, ახლავე, ოცდამეექვსე ტურში... "ბაიერნის" თამაშები აღარავის აინტერესებს, ფანატიკოს გულშემატკივართა გარდა. ერთ დღესაც ისინი ჩემპიონები გახდებიან, ისე, რომ ამას ვერავინ შეამჩნევს და არც თითებს დაიკბენს ვინმე ნერვიულობით, ვაითუ, ბოლო ტურში რაიმე მნიშვნელოვანი მოხდეს და ტიტული, "ბაიერნს" კი არა, სხვა კლუბს დარჩესო...

ბავარიელები უპრობლემოდ ახერხებენ წარმატების მოპოვებას. კანმა და კომპანიამ ზედიზედ ექვსი მატჩი მოიგეს. თხუთმეტი ტურია, რაც ისინი არ დამარცხებულან. მიუნხენელები ყოველთვის იმარჯვებენ, მაშინაც კი, როცა არცთუ ისე კარგად თამაშობენ და მეტოქის კარის აღება უჭირთ. ასეთ დროს გოლი მეტოქეს გააქვს საკუთარ კარში. ბოლო მატჩი როსტოკის "ჰანზასთან" "ბაიერნმა" სწორედ ასე მოიგო – როსტოკელი კოვარის ავტოგოლის წყალობით...

როდემდე უნდა გაგრძელდეს "ბაიერნის" წარმატებული აღმასვლა? მიუნხენელთა ბრაზილიელი ფორვარდი, ჯოვანი ელბერი, ტიტულის მოპოვებას დორტმუნდში, ექს-ჩემპიონის სტადიონზე გეგმავს. "ჩემი ოცნებაა, ჩემპიონის ტიტული დორტმუნდში დავისაკუთროთ, "ბორუსიას" დამარცხების შემდეგ", - ამბობს ელბერი. "ბორუსია" და "ბაიერნი" 19 აპრილს, აღდგომის წინა დღეს, ოცდამეცხრე ტურში შეხვდებიან ერთმანეთს. თუ ბავარიელები ამ მატჩსაც მოიგებენ, მაშინ ისინი უკვე საბოლოოდ განიმტკიცებენ ჩემპიონის ტიტულს და მორიგ რეკორდსაც დაამყარებენ - ბუნდესლიგის ისტორიაში ჩემპიონის ტიტული ყველაზე სწრაფად (30-ე ტურში) 1972-73 წლებში მოიგო იმავე "ბაიერნმა", 1987-88 წლების სეზონში კი - ბრემენის "ვერდერმა".

რაკი ბავარიელებს ჩემპიონის ტიტული უკვე თითქმის ჯიბეში უდევთ, ფეხბურთელებმაც და კლუბის ხელმძღვანელობამაც სულ სხვა თემებზე გადაიტანეს ყურადღება. ოტმარ ჰიტცფელდს, მაგალითად, "ოლიმპიაშტადიონის" ბალახის მოუვლელობა აბრაზებს – რატომ დროზე არ მორწყეს მინდორიო, - ბუზღუნებს. ოლივერ კანი ცოლთან გაყრის საკითხითაა დაკავებული, ფრანც ბეკენბაუერი კი ბუნდესლიგის ბოსებს ემუქრება, თავი დაგვანებეთ, ამ კირხის კონტრაქტს ნუ გადაგვაყოლეთ, თორემ "ბაიერნი" საერთოდ დატოვებს გერმანიას და იტალიის ჩემპიონატში წავაო. მოკლედ, ყველამ გამონახა რალაც გასართობი. სხვათა შორის, "ბაიერნის" ახლანდელი თამაშის დონე არც ბეკენბაუერს აკმაყოფილებს. "კაიზერი ფრანცი", რომელიც თავისი გუნდის შესაძლებლობებს ყველაზე უკეთ იცნობს, ჩვეული პირდაპირობით აცხადებს, თუ ასე გააგრძელეს თამაში, სერია A-ში, დიდი-დიდი, "ატალანტას", "კომოს" ან "რეჯინას" მოუგონო... "კაიზერმა" კარგად იცის, რომ მოშვებული და საკუთარ თავში ზედმეტად დარწმუნებული "ბაიერნი" "მილანსა" და "იუვენტუსს" ბევრს ვერაფერს დააკლებს. სამაგიეროდ, "ბაიერნის" ასეთი ნელთბილი თამაში სავსებით საკმარისია გერმანიის ჩემპიონატის მოსაგებად. ნუთუ ასე დაკნინდა ბუნდესლიგა?

კალათბურთი

# გიგანტთა დღე

**NBA რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| **შაბათი** | |
| *ატლანტა – ინდიანა* | *92:89* |
| *ნიუ-ჯერსი – მემფისი* | *107:99* |
| *ჩიკაგო – ნიუ-იორკი* | *100:98* |
| *მილუოკი – ჰორნეთსი* | *93:85* |
| *დალასი - ფინიქსი* | *102:95* |
| *იუტა – კლიპერსი* | *88:73* |
| *პორტლენდი – საკრამენტო* | *104:113* |
| *დენვერი – ბოსტონი* | *90:80* |
| **კვირა** | |
| *სან-ანტონიო – ლეიკერსი* | *98:89* |
| *ტორონტო - ფილადელფია* | *95:112* |
| *დეტროიტი – ჩიკაგო* | *105:82* |
| *მაიამი – ორლანდო* | *74:96* |
| *კლივლენდი – ნიუ-ჯერსი* | *93:88* |
| *გოლდენ სტ. – ვაშინგტონი* | *113:107* |
| *საკრამენტო – ჰიუსტონი* | *109:108* |


*შაკილ ო`ნილი*

NBA-ში გასული შაბათ-კვირის მთავარი გმირები ლიგის გიგანტები იყვნენ. მათ შორის საუკეთესო კი სანანტონიოელი ტიმ დანკანი (27 ქულა, 17 მოხსნა), ლოსანჟელოსელი შაკილ ო`ნილი (32 ქულა, 12 მოხსნა) და ჰიუსტონელი სტივ ფრენსისი იყვნენ (38 ქულა, 9 გადაცემა). საინტერესოა, რომ კვირას ტიმ დანკანი და შაკილ ო`ნილი სან-ანტონიოში გადაეყარნენ ერთმანეთს და გულშემატკივარს თვალსასეირო სანახაობაც აჩუქეს. "შაკილი უაღრესად საინტერესო, ფიზიკურად ძლიერი მოთამაშეა და მასთან პაექრობა ჩემთვის დიდი აზარტია", – ამბობს ტიმ დანკანი.

თამაში, მართლაც, აზარტული და მეტისმეტად დაძაბული გამოდგა. ხუმრობა ხომ არ არის - წლევანდელ სეზონში "სპერსმა" ყველა მატჩი მოუგო "ლეიკერსს". ამგვარი მიღწევა სანანტონიოელებს უკანასკნელად ცხრა წლის წინათ ჰქონდათ. დანკანთან წყვილში შესანიშნავად გამოიყურებოდა პარკერი და არგენტინელი ჯინობილი, რომლებმაც (განსაკუთრებით გადამწყვეტ მეოთხედში) პირწმინდად აჯობეს ლოსანჟელოსელთა მთავარ დუეტს - ო`ნილი-ბრაიანტი. ეს იყო "სან-ანტონიოს" ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი წლევანდელ სეზონში, – მატჩის შემდეგ აღნიშნავდნენ სპეციალისტები.

რაც შეეხება სტივ ფრენსისსა და მის 38 ქულას, ეს ყველაფერი მან საკრამენტოელ "მეფეებთან" მატჩში გააკეთა, იქ, სადაც ამას წინათ შაკილ ო`ნილს მიაყენეს შეურაცხყოფა (იმ ბურთზე, რომლითაც "ლოს-ანჯელესის" ცენტრმა მე-20 000 ქულა ჩააგდო, შეურაცხმყოფელი სიტყვები წააწერეს). თუმცა, ამან "მეფეები" მაინც ვერ იხსნა დამარცხებისგან. სტივ ფრენსისს მრავალფეროვანი თავგადასავლები არ გადახდენია, ალბათ, იმიტომ, რომ მატჩის უკანასკნელ წამზე სწორედ მისმა უზუსტო ტყორცნამ გაამარჯვებინა საკრამენტოელებს.

გოლდენ სტეიტში ჯორდანმა და სტეკჰაუზმა, ჯამში, 42 ქულა მიითვალეს, მაგრამ თავის გუნდს გამარჯვებაში მაინც ვერ შეეწივნენ. მასპინძელთაგან საუკეთესო მატჩები ჩაატარეს არენასმა (41) და ჯეიმისონმა (38 ქულა, 11 მოხსნა). დენვერ "ნაგეთსი" შაბათს ლეგენდარულ "ბოსტონ სელტიკსს" მასპინძლობდა და, როგორც იქნა, გაიმარჯვა. თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, ამ გამარჯვებაში ნიკა ცქიტიშვილის წილი ერთობ მოკრძალებულია. ნიკამ 7 წუთში ერთი მოხსნა მიითვალა და 5 პერსონალური შენიშვნის მიღება მოასწრო.

ნიკასთან შედარებით, შედეგიანად ითამაშა ვლადიმერ სტეფანიამ. მან ორლანდოელი "ჯადოქრების" წინააღმდეგ 17 წუთში 4 ქულა და 8 მოხსნა განახორციელა, მაგრამ "მაიამი ჰიტი" მაინც სასტიკად დამარცხდა. ატლანტაში ძალიან არ გაუმართლა "ინდიანა პეისერსს". სტუმრები მხოლოდ მეოთხე მეოთხედში დაშვებული უნებლიე შეცდომების გამო დამარცხდნენ. არადა, მთელი მატჩის განმავლობაში დამაჯერებლად გამოიყურებოდნენ. გუნდს ფეხის ტრავმის შემდეგ დაუბრუნდა ცენტრი ბრედ მილერი, რომელიც წლევანდელ სეზონში, საშუალოდ, 14 ქულასა და 8,5 მოხსნას აგროვებდა. მის არყოფნაში ძირითად შემადგენლობაში ჯეფ ფოსტერი თამაშობდა. ატლანტაში კი საუკეთესო ჯერმეინ ო`ნილი იყო (29 ქულა, 7 მოხსნა, 5 დაფარება). თუმცა, გლენ რობინსონისა (23 ქულა, 7 მოხსნა) და ტერის (20 ქულა, 10 მოხსნა) დუეტს ვერაფერი მოუხერხა.

რაც შეეხება რეგულარული ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერს, "დალას მავერიქსს", გუნდმა საკუთარ მოედანზე ამჯერად ფინიქსელი "მზეები" დაამარცხა. როგორც მოსალოდნელი იყო, მასპინძელთა შორის საუკეთესონი იყვნენ ნოვიცკი (27 ქულა, 11 მოხსნა) და ნეში (27 ქულა, 13 გადაცემა).

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

**ატლანტიკის დივიზიონი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ნიუ-ჯერსი | 70 | 42 | 28 | 60.0 |
| ფილადელფია | 69 | 41 | 28 | 59.4 |
| ბოსტონი | 70 | 38 | 32 | 54.3 |
| ორლანდო | 70 | 37 | 33 | 52.9 |
| ვაშინგტონი | 69 | 32 | 37 | 46.4 |
| ნიუ-იორკი | 70 | 31 | 39 | 44.3 |
| მაიამი | 70 | 22 | 48 | 31.4 |

**ცენტრალური დივიზიონი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 69 | 44 | 25 | 63.8 |
| ინდიანა | 70 | 41 | 29 | 58.6 |
| ჰორნეთსი | 71 | 40 | 31 | 56.3 |
| მილუოკი | 70 | 34 | 36 | 48.6 |
| ატლანტა | 71 | 29 | 42 | 40.8 |
| ჩიკაგო | 71 | 25 | 46 | 35.2 |
| ტორონტო | 68 | 21 | 47 | 30.9 |
| კლივლენდი | 69 | 13 | 56 | 18.8 |

**დასავლეთ კონფერენცია**

**შუა-დასავლეთი დივიზიონი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დალასი | 69 | 52 | 17 | 75.4 |
| სან-ანტონიო | 69 | 49 | 20 | 71.0 |
| მინესოტა | 71 | 45 | 26 | 63.4 |
| იუტა | 69 | 40 | 29 | 58.0 |
| ჰიუსტონი | 69 | 36 | 33 | 52.2 |
| მემფისი | 69 | 25 | 44 | 36.2 |
| დენვერი | 70 | 15 | 55 | 21.4 |

**წყნარი ოკეანის დივიზიონი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საკრამენტო | 71 | 50 | 21 | 70.4 |
| პორტლენდი | 69 | 44 | 25 | 63.8 |
| ლეიკერსი | 69 | 39 | 30 | 56.5 |
| ფინიქსი | 69 | 36 | 33 | 52.2 |
| გოლდენ სტ. | 70 | 34 | 36 | 48.6 |
| სიეტლი | 68 | 32 | 36 | 47.1 |
| კლიპერსი | 69 | 22 | 47 | 31.9 |

ფორმულა 1

# საფორმულო შეიარაღება

გიგა გურასაშვილი

*მალაიზიის გრან-პრიზე McLaren-Mercedes-ის გამარჯვებამ დაამტკიცა, რომ მელბურნში წარმატება შემთხვევითობა არ ყოფილა. ექსპერტებიც ერთხმად აცხადებენ, რომ 2003 წლის სეზონში ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლა სწორედ ამ უკანასკნელსა და Ferrari-ს შორის წარიმართება. მათივე თქმით, წარმატების მეტი შანსი "ვერცხლის ისრებს" აქვს. ჯერ ერთი, McLaren-მა, ორი რბოლის ჯამში, სოლიდური უპირატესობა მოიპოვა, მეორეც, საბურავების მწარმოებელი კომპანიის, Michelin-ის სახით, მათ ხელთაა ჯოკერი, რომელმაც, ეტყობა, ამ ეტაპზე Bridgestone-ზე გაუსწრო. ეგეც არ იყოს, მოწინააღმდეგე ბანაკები უახლოეს მომავალში ახალი ბოლიდებითაც გაარკვევენ ერთმანეთში ურთიერთობას. ერთი სიტყვით, Ferrari თუ McLaren-ი?*


*McLaren-ი თუ Ferrari*

ფორმულა 1-ის დღევანდელი სამყარო თავისუფლად შეიძლება შევადაროთ პერიოდს, როდესაც მსოფლიო ცივი ომის საბურველში იყო გახვეული. ამ პერიოდის თანმდევია გამალებული შეიარაღება (ГОНКА ВООРУЖЕНИЙ), რომელიც აშშ-ისა და საბჭოთა კავშირის მაშინდელ დამოკიდებულებას ასახავდა. დღეს ამ ტერმინმა, თითქოს, აქტუალობა დაკარგა, მაგრამ არა სპორტში, ამ შემთხვევაში კი, - ფორმულა 1-ში. სარბოლო ბატალიებამდე გამალებული პაექრობა თუ დაზვერვითი სამუშაოები ბანაკებს შორის მიმდინარეობს. საჯინიბოები ახალი ტექნოლოგიების შემუშავებაში ეჯიბრება ერთმანეთს, რაზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული. უკეთესი ბოლიდის მეპატრონეს წარმატების მეტი შანსი უჩნდება. ამიტომ მათი ბაზები დახურულ და გასაიდუმლოებულ ობიექტებს უფრო წააგავს.

### Ferrari და კომპანია

ავსტრალიურ და მალაიზიურ გრან-პრიზე წარუმატებლობის შემდეგ მიხაელ შუმახერსა და Ferrari-ს იმედი აქვთ, რომ მათ ახალი ბოლიდი გამოიყვანს მდგომარეობიდან. "სეპანგის" ტრასაზე McLaren-ის მორიგმა ტრიუმფმა იტალიელთა საჯინიბოს დაანახა ის, რასაც ელოდნენ კიდეც, ანუ ის, რომ მათ წამოეწივნენ. ფაქტია: 1998 წლის შემდეგ "წითელი ბარონი" ორი გრან-პრის ჯამში პირველად დამარცხდა. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ Ferrari მასავით ძველმა McLaren-მა დაამარცხა. ავსტრალიისა და მალაიზიის გრან-პრი McLaren-მა ძველი, უფრო სწორად, შარშან მოდიფიცირებული MP4/17D ბოლიდით მოიგო. მიუხედავად ამისა, იტალიელები უკან დახევას არ აპირებენ და ახალ ბოლიდს, ალბათ, ევროპულ გრან-პრიზე წარადგენენ. მართალია, F2003-GA, რომლის შექმნაშიც დიდი შრომაა გაწეული, უკვე მზადაა, მაგრამ იტალიელებს მიაჩნიათ, რომ ახალი ბოლიდით ტრასაზე გასვლა ჯერ ნაადრევია. იმასაც აღიარებენ, რომ ყველაზე წარმატებული ბოლიდი, სახელწოდებით F2002, პენსიას იმსახურებს. მისი პენსიაზე გაშვება კი 6 აპრილს, "ინტერლაგოსის" ბრაზილიური გრან-პრის შემდეგ განუზრახავთ. გულხელდაკრეფილი არც McLaren-ია.

"ვიცოდით, რომ ჩვენმა მეტოქეებმა პროგრესს მიაღწიეს. ამაში მალაიზიურ გრან-პრიზეც დავრწმუნდით. ამჟამად მუშაობას ვაგრძელებთ F2003-GA-ზე, რომელიც, დარწმუნებული ვართ, ახლანდელ მანქანაზე ბევრად ძლიერი იქნება", - იმედიანადაა იტალიელთა გუნდის დირექტორი ჟან ტოდტი.

### McLaren-ი და კომპანია

Ferrari-ისი არ იყოს, ახალ ბოლიდზე "ვერცხლის ისრებიც" მუშაობს. ისინიც ევროპულ, კერძოდ, ავსტრიულ A 1 რინგზე (18 მაისს) გეგმავენ პრეზენტაციას. McLaren-ის ბოსი, რონ დენისი, იმედოვნებს, რომ მდგომარეობა ახალი მოდიფიცირებული MP4/18-ით უფრო გაუმჯობესდება. ამის შესახებ სხვებიც საუბრობენ. დენისი დარწმუნებულია, რომ ეს უკანასკნელი გუნდისთვის იქნება ის იარაღი, რომელიც Ferrari-ს დაამარცხებს.

"ჩვენ მას ველოდებით. მანქანის სტარტს სან-მარინოს გრან-პრიმდე ("იმოლა", 20 აპრილი), ან მისი დასრულებისთანავე ვგეგმავთ. ვამოწმებთ ყველა პროცესს, რათა დარწმუნებული ვიყოთ, რომ ყველაფერი რიგზეა. ეს სრულიად ახალი მანქანაა და არა, უბრალოდ, შარშანდელის ელემენტებით გაჯერებული, - განაცხადა დენისმა და იქვე მეტოქეთა ბანაკზეც თქვა, - როგორც ჩანს, Ferrari ახალ ბოლიდს ჩვენზე ორი რბოლით ადრე გამოიყვანს. არ გეგონოთ, ილუზიებში ვართ. Ferrari კვლავაც ძლიერია. თუ MP4/17D ჯერაც კონკურენტუნარიანია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არხეინად უნდა ვიყოთ. იმისთვის, რომ მომავალშიც გამოვიყენოთ გამარჯვების შანსი, აუცილებლად გვჭირდება ახალი მანქანა".

ინფორმაცია

### "ლოკომოტივმა" ლიგა მოიგო

არც ფეხბურთზეა საუბარი და არც მოსკოვის "ლოკომოტივზე". საქმე ფრენბურთს და "ლოკომოტივ-ბელოგორიეს" ეხება. გუშინ იტალიაში გაიმართა სპორტის ამ სახეობის ჩემპიონთა ლიგის ფინალი, რომელშიც იტალიის "მოდენა" რუსეთის "ლოკომოტივ-ბელოგორიეს" მასპინძლობდა. იტალიური გუნდის ლიდერია რუსი რომან იაკოვლევი, თუმცა, ვერც მან და ვერც მისმა თანაგუნდელებმა სტუმართა წინააღმდეგ ვერაფერი გააწყვეს. ფინალურ მატჩში, რომელსაც 12 000 მაყურებელი დაესწრო, პირველივე წუთებიდან რუსი ფრენბურთელები დაეუფლნენ უპირატესობას და მეტოქეს ერთი პარტიის მოგების შანსიც არ მისცეს – 3:0 (25:22, 26:24, 25:23). მხოლოდ ერთხელ, მესამე პარტიაში დაწინაურდნენ იტალიელები, მაგრამ სტუმრებმა მალე აღადგინეს წონასწორობა და წინ გავიდნენ. დანარჩენ შემთხვევებში რუს ფრენბურთელებს მიჰყავდათ ანგარიში.

### ისრაელი კალათბურთის გარეშე რჩება

ერაყში სამხედრო მოქმედებების დაწყების შემდეგ ULEB-მა, რომლის ეგიდით მიმდინარე ევროლიგაში ტელ-ავივის "მაკაბი" გამოდის და FIBA-მაც, რომლის მიერ მოწყობილ ტურნირშიც, ერთდროულად, ისრაელის სამი კლუბი მონაწილეობს, ისრაელში საერთაშორისო მატჩების ჩატარება აკრძალა.

პირველი ნაბიჯი გადადგა FIBA-მ, როცა გადაწყვიტა, ტელ-ავივის "ჰაპოელისა" და სოფიის ერთ-ერთი გუნდის მატჩი ბულგარელთა მოედანზე გაემართა. ამის შემდეგ უკვე ევროლიგის ხელმძღვანელობა შეშფოთდა: ვაითუ, ისრაელის პოლიციამ ქვეყანაში ჩასული უცხოელი კალათბურთელების უსაფრთხოება ვერ დაიცვასო. ევროლიგის ხელმძღვანელთა შეშფოთება გასაგებია. ერაყში ომის დაწყების შემდეგ ისრაელში ხალხს აირწინაღები დაურიგეს (ერაყის მხრიდან თავდასხმის მოლოდინში). ასეთ დროს, ბუნებრივია, კალათბურთის თამაში და მისი ყურება შეუძლებელია. ლიგის შეფობამ ტელ-ავივის "მაკაბის" ხელმძღვანელებს ნეიტრალური მოედნის მოძებნა დაავალა. გადაწყვეტილება მატჩის ნეიტრალურ მოედანზე გამართვის შესახებ, ჩვენი დროით, გუშინ, გვიან ღამით უნდა მიეღოთ. შანსი, რომ მატჩები ისრაელში ჩატარდება, მინიმალურია. ისრაელის კლუბმა გაითვალისწინა შექმნილი მდგომარეობა და ნეიტრალურ მოედნად საბერძნეთის "პაოკის" სარბიელი დაასახელა, რასაც ევროლიგის მმართველები უყოყმანოდ დაეთანხმნენ.

### ფორმულას მექავეებმა შეუტიეს

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ბოლო დროს "სამეფო რბოლების" ვარსკვლავთა ცხოვრება დაემსგავსა ღმერთების ნადიმს თავისი ატრიბუტებით – ღრეობით დაწყებული და ორგიებით დამთავრებული. ფორმულა 1-ის თითოეული ეტაპი კი ემსგავსება ერთ დიდ მრავალეროვნულ ბაბილონს, რომლის განუყოფელ ნაწილად სიყვარულის ქურუმები იქცნენ. უძველესი პროფესიის წარმომადგენლები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მოვლენების ეპიცენტრში მოხვდნენ და კალიებივით ესევიან იმ სასტუმროებს, რომლებშიც პილოტები და საჯინიბოს მომსახურე პერსონალია დაბინავებული, რათა ავტოსპორტის მონსტრთა დასვენება სასიამოვნო გახადონ.

პილოტთა წრეში ყველაზე პოპულარულია ინდოელი სელინა ჯეიტლი, რომელიც ორი წლის წინ ქვეყნის ულამაზეს ქალადაც აღიარეს. გავრცელებული ინფორმაციით, მისი მომსახურებით უკვე ისარგებლა მრბოლთა ელიტის არაერთმა წარმომადგენელმა. თავად სელინას თქმით, მისი მიზანი მსოფლიო ჩემპიონი მიხაელ შუმახერია. "მიხაელი მომწონს არა როგორც სპორტსმენი, არამედ როგორც მამაკაცი. მასთან უფულოდაც დავწვები", - ერთ-ერთ ავსტრალიურ ჟურნალთან საუბრისას განაცხადა ინდოელმა ბანოვანმა. შუმახერს სელინას ნათქვამზე ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა, საქვეყნოდ დაჰპირდა, რომ მის წინადადებაზე დაფიქრდებოდა.

### მალიორკა ვალენსიამ შეცვალა

ესპანეთში გასამართი ATP-ს სერიის ერთ-ერთი ტურნირი, რომელიც აქამდე მალიორკაში ტარდებოდა, ამიერიდან ვალენსიაში გაიმართება. ესპანეთის ჩოგბურთის ფედერაციის წარმომადგენელთა თქმით, ვალენსიელებს სურთ, თავიანთ ქალაქში დიდი ტურნირები ჩატარდეს და მომავალში კიდევ ერთ ტურნირს გეგმავენ. შეჯიბრების საპრიზო ფონდი იქნება 400 000 დოლარი, თუმცა, უკვე მომავალ წელს ის, სულ ცოტა, ორჯერ გაიზრდება, რაც იმის გარანტია იქნება, რომ ვალენსიაში საჩოგბურთო სამყაროს ელიტა შეიკრიბება.

ისტორიული ფოტო

ეს იყო 22 წლის წინათ...


1981 წლის 3 იანვარი, მონტევიდეო, ურუგვაი. იტალიის ნაკრების ფეხბურთელი კლაუდიო ჯენტილე.



ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45 ამ მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი "კოსმოსი"-ს შენობა) ყოველდღე 9[00]-დან 20[00]-მდე.

"ქართული ლიგა" (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**ა ც ხ ა დ ე ბ ს**

სტუდენტთა მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისათვის.

ფაკულტეტზე მომავალი სტუდენტების მიღების პროცესი დასრულდება 2003 წლის 10 ივნისს.
ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა სია გამოქვეყნდება არა უგვიანეს ა.წ. 15 ივნისისა.
საბუთების მიღება 2003-2004 სასწავლო წლისათვის დამთავრდება ა.წ. 15 მაისს.

მიღების წესები იხილეთ www. dphss.org ან მიაკითხეთ ინფორმაციისათვის ფილოსოფიის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამდივნოს.
**მისამართი:** თბილისი, ჭავჭავაძის 45, II სართული. ტელ. 223742

**ბალანსის**

შედგენა, აუდიტი-დასკვნა, დეკლარაციების შევსება.

**ფირმების რეგისტრაცია**

შ.პ.ს; კავშირი (არასამთავრობო), სადამფუძნებლო დოკუმენტაციის მომზადება, აუდიტორული დასკვნის გაცემა საწესდებო კაპიტალზე.
1 საათში. მოგემსახურებით ადგილზე
მის: კოსტავას 76. (სააკაძის მოედანთან). ტ: 33 73 54; 899-57 73 15; 877-71 18 22




## ბინები

### იყიდება

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ბუდაპეშტის ქ. 10-ში 2-ოთახიანი ბინა ლოჯიით, რემონტით, მე-5 სართ. ფასი 18 000. ტელ: 899 901729

**იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 - 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.**

**იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ., N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.**

**იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50**

შევიძენ 1-ოთახიან იზოლირებულ ბინას ვაჟა-ფშაველას კვარტლებში 5500 №-ის ფარგლებში. I და ბოლო სართულს ნუ შემომთავაზებთ. 30 45 68

საშუამავლო ფირმა „კახი-98" დაგეხმარებათ ბინების ყიდვა-გაყიდვა-გაქირავებაში. აღმაშენებლის 72/2. 23 70 91, 96 66 24, 8(77) 71 05 90

საშუამავლო ფირმა „კახი-98" დაგეხმარებათ თანხის სესხება-გასესხებაში ბინის მყარი გარანტიით. აღმაშენებლის 72/2. 23 70 91, 96 66 24, 8(77) 71 05 90

## მიწის ნაკვეთი

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

## კომერც. ფართი

ვიქირავებ რესტორანს დილმის გზაზე. ტელ: 95 21 46 (10-სთ-დან 17 სთ-მდე). იკითხეთ ირაკლი ან ნუგზარი

## ბინები

### ქირა, გირაო

ქირავდება!
სახლი აღმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.
ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097

ვიგირავებ ბინას 1000 $-ის ფარგლებში. 60 66 28, 8(77) 74 58 70 ელისო

## მანქანები

იყიდება !
ა/მ AUDI 90 Coupe GT. 1988 სპორტული, ოქროსფერი, ძრავი 2,3 ხუთცილინდრიანი, ტყავის სალონი, გიდრავლიკა, ლუქი. კარგ მდგომარეობაში. საწყისი ფასი 1500$
ტელ: 899 16 28 68

## სწავლება

**ვამზადებ სტუდენტებსა და ექიმებს სასერტიფიკაციო გამოცდისთვის სპეციალობებში (ექიმი თერაპევტი, ზოგადი პროფილის ექიმი-მკურნალი). tel: 64-63-40, 893 282-559**

კვალიფიციური თარჯიმანი ამზადებს გერმანულ ენაში. სასურველია გქონდეთ კარგი საფუძველი. 39 85 30 ოთარი

შევასწავლი გერმანულ ენას. 32 03 71, 8(99) 29 88 05

სპეციალიზირებული სახელმძღვანელოს ავტორი, უნივერსიტეტის დოცენტი ასწავლის რუსულ ენას უცხოელებს. 8(77) 77 46 50

შევასწავლი გერმანულ ენას. 32-03-71, 899 298805.

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12, 893 219442.

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. ტელ: 44 43 საღამოს, 61 29 76

## სხვადასხვა

ხელით შესასრულებელი ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, დანადგარების დამზადება გარანტიით, იაფად. 69 25 27

ახალი ფორმის ჩარჩოები, მაღალი ხარისხის ძვირფასი ქვისაგან. აღმაშენებლის 104, მაღაზია „ფოკუსი". 69 25 27

**იყიდება Sony Playstation, ორიგინალი (შეძენილია გერმანიაში). 2 ჯოისტიკით, 2 Memory Card-ით და 30 სათამაშო დისკით. შესანიშნავ მდგომარეობაში. ფასი 150 დოლარი. ტელ: 877-400410**

**იყიდება კომპიუტერი Pentium I. ფასი 120$**
**ტელ: 30-56-90 ზურა.**

დიზაინერთა საყურადღებოდ! ტყავის ორნამენტები თქვენი მოდელებისათვის თქვენივე ნახატებით. ეს სიახლეა. 69 25 27

ვთარგმნი ინგლისურიდან, გერმანულიდან, რუსულიდან სამედიცინო და ნებისმიერი სირთულის ტექსტს შეღავათიანად. 75 53 55

იყიდება ლაი-ლაიში ჩართული ნომერი. 8(92) 24 58 72

იყიდება გერმანული, გაუხსნელი, ერთ ძრავზე მომუშავე 9-ნაჭრიანი უნივერსალური ელექტროკომბაინი KM-8A. ფასი 220 $. 77 15 74 ინგა

იყიდება სამეული სარესტავრაციო და ცალკე ტახტი დიდი სათავსოთი. 31 55 81, 8(99) 58 42 55

ვარ 24 წლის ნორმალური გარეგნობის გოგონა. ვიმუშავებ მიმტანად ნორმალური ანაზღაურებით. 61 71 83 ქეთი




იყიდება კომპიუტერის კატრიჯები იაფად. ალ. ყაზბეგის ქუჩა № 14. 91 18 81

ვიმუშავებ მარკეტში, ტანსაცმლის მაღაზიაში გამყიდველად, ადმინისტრატორად და სხვ. 60 56 63, 8(99) 11 01 88 ნათია

გვესაჭიროება თანამშრომლები დაცვის სამსახურში. 8(77) 79 06 61 გიორგი

თქვენი კიბეების დიზაინი და მისი მოწყობა. ტელ: 22 06 22

**კომპანია "InterCor .comServis" გთავაზობთ შემდეგი სახის კომპიუტერულ მომსახურებას:**
ინსტალაცია/მოწყობილობების გაუქმება, კომპიუტერის კონფიგურაცია კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, სისტემის ოპტიმიზაცია, ინტერნეტში ჩართვა, ადგილობრივი ქსელების დაყენება და მომსახურება, მათი მუშაობის უზრუნველყოფა, ინდივიდუალური პროგრამების შედგენა. ყველა სამუშაო ჩატარდება ადგილზე, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაშიც.
**ტელ: 92 17 74, 98 22 87, 92 02 49**










# აფიშა

## საკონცერტო დარბაზები

**ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
"იუმორინა - 2003"
დას: 19:00 სთ; ფასი 5-9 ლარი

**კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
"დაუვიწყარი სიმღერები", დავით გველესიანი და მისი მეგობრები (თამრიკო ჭოხონელიძე, ნუკრი კაპანაძე, ეკა კვალიაშვილი, ეკა მამალაძე, ანსამბლი "უნივერსიტეტი")
დას: 19:00 სთ

## თეატრები

**ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო„**
"კარმენი", რეჟ. თენგიზ კოშკაძე; მთავარ როლში, მარინა ჭანაშია
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

**თეატრალური სარდაფი**
"ეტ-ცეტერა", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**პანტომიმის თეატრი**
"კრიმანჭული", რეჟ. ამირან შალიკაშვილი
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

**თავისუფალი თეატრი**
"სამი პიესა", რეჟ. ლელა ჭინჭარაული
დას: 19:00 სთ; ფასი 3,5 ლარი

## საგამოფენო დარბაზები

**TMS**
გიორგი შენგელაიას ფოტონამუშევრების გამოფენა

**„ქარვასლა„**
მაია ავალიშვილის პერსონალური გამოფენა

**ეროვნული გალერეა**
თემო გოცაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა ნახატების გამოფენა**
გალერეის ოქროს ფონდის გამოფენა

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
ხალხური რეწვა

## კინოთეატრები

**„ამირანი„**
"სიყვარულის ისტორია"
დას: 18:00 სთ; ფასი 7,8 ლარი
"ზარი"
დას: 15:30 სთ; ფასი 5,6 ლარი
"სიყვარულის შეტყობინებით"
დას: 13:00; 20:00; 22:00 სთ; ფასი 7,8 ლარი

**„რუსთაველი„**
"განძთა კუნძული"
დას: 15:00; 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
"მოახლე მანჰეტენიდან"
დას: 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"თანამშრომლები"
დას: 21:30; ფასი 7 ლარი

**„ელისო„**
"განძთა პლანეტა"
დას: 15:00; 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
"თანამშრომლები"
დას: 19:00 ფასი 5 ლარი
"მოახლე მანჰეტენიდან"
დას: 21:00 სთ; ფასი 5 ლარი

**კინოს სახლი**
ჰერბერტ ახტერნბუშის ფილმების რეტროსპექტივა
"განკურნეთ ჰიტლერი"
დას" 18:30 სთ; დასწრება თავისუფალია

# TV პროგრამა 25 მარტი

## რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 სერიალი „დათვების ქალაქის ზღაპრები"
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
10.40 სერიალი „ალფი"
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.15 სერიალი „დათვების ქალაქის ზღაპრები"
18.40 სერიალი „კუსტოს წყალქვეშა ოდისეა"
19.30 პერეკროსტოკი
20.05 სერიალი „დატყვევებული გულები"
22.00 ვის უნდა ოცი ათასი?
22.50 ღამის კურიერი
00.20 მხ. ფილმი „ეშმაკი ქურდი"
02.30 კლასიკა

## პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „ჯაშუშები"
10.15 მხ. ფილმი „შეიძლება"
12.00, 15.00, 20.00, 23.55 მოამბე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
13.00 ნაშუადღევს
14.05 „ლერერის შოუ"
15.15 მხ. ფილმი „ხელშეუხებელნი"
16.45 ტელესერიალი „ძილის წინ"
17.00 შემეცნებითი ფილმი - მოგზაურობა დედამიწის გარშემო
17.30 საქართველო და გარე სამყარო
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „ხელოვნების სცენარები"
18.35 ბასტი-ბუბუ
18.55 „და არს მუსიკა"
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე"
21.00 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
21.50 „ჩვენი ფეხბურთი"
22.35 ტელესერიალი „ძილის წინ"
23.00 „რა ხდება?"
23.55 მხ. ფილმი „ექიეთ ქალი"

## პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 განმ. მუსათეული
11.45 ფილმი
14.00 ფილმი
16.00 ფილმი „ადამიანი ოზოგა"
19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30, 20.15 ვიდეორადიო
20.50 ათი ლექსი
21.15 უცხ. მუსათეული
22.35 ქართული მუსიკა
23.00 აბა გამოიცანი მელოდია
00.00 ფილმი ბრავო „პაროლი - ხმალთევზა"
01.45 ფილმი ღამურა „იმიტატორი" მთ.როლში სიგურნი უივერი
03.45 პაუზის გარეშე

## მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი „ოჯახური ურთიერთობები"
20.30 ამბები ჩვენზე
20.45 ოქტაგონი
21.30 ასპარეზი
22.10 ჰიტ. პარადი
22.20 მხ. ფილმი

## იბერია

08.00 ანონსი, ალსავალი
08.05 დიალოგი
10.35 „ბურთი და მოედანი"
10.50 მხ. ფილმი „ვიქტორ ფოგელი, რეკლამების მეფე"
12.30 დოკ. ფილმი
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 დოკ. სერიალი „ექსპედიცია"
14.10, 17.20, 19.30, 21.45, 00.55 მუსიკა
15.15 მხ. ფილმი „სიკვდილი ზღვაში"
17.30 მულტფილმი
20.00 მხ.ფ. „უყვარვარ, არ უყვარვარ"
22.00 დიალოგი
23.45 მხ. ფილმი „უბედურების მომტანი"
01.10 ღამის ფილმი

## ევრიკა

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი
12.00 დოკ. ფილმი „ფანჯარა ევროპაში"
12.30 სალონი
14.00 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი
15.00, 21.00 ვესტი
18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 „სალონი"
21.30 „სპორტის სამყარო"
22.30 სტუდია „ეკონომისტი"
23.30 მუსიკალური პაუზა
00.00 მხ. ფილმი „წიგნის ომი"

## მეცხრე არხი

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
09.50, 11.50, 17.50, 18.30, 19.50, 21.55, 23.50 მუსიკა
10.05 მულტფილმი „მხიარული მელოდიები"
10.30 მხ. სერიალი „ჰორასი და თინა"
11.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
12.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი"
12.45 მხ.ფ. „რეინჯერი"
14.20 „ტელემეტრი"
14.45 „მსოფლიო რაგბი"
15.15 მხ. ფილმი „სიკვდილის დევნაში"
16.30 დოკ. ფილმი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება"
18.00 მხ. სერიალი „ჰორასი და თინა"
18.40 მულტფილმი „მხიარული მელოდიები"
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
20.00 „ევროპის სტადიონებზე"
21.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი"
22.15 მხ. ფილმი „უკანასკნელი მოგზაურობა"
00.20 მხ. სერიალი „თოჯინების ველი"
00.45 მხ. ფილმი „ფენიქსი"

## იმედი

01.00 იმედის მელოდიები
17.56, 20.57, 00.55 ახალი ამბების დაიჯესტი
18.00 სერიალი „გოგონები ესპანეთის მოედნიდან"
19.00, 22.00 ქრონიკა
19.30 სერიალი „ბანდიტური პეტერბურგი"
20.30 8 1 2 პლანეტა ჰოლივუდი
21.00 სერიალი „ამაზონი"
22.45 მძაფრსიუჟეტიანი კინო „სახვის მდელო" (ჯეიმს ვუდსი)

## აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.15 კომედია „მე-6 მოთამაშე"
11.10 დოკუმენტური ფილმი
12.10 ისტორიული ფილმი „ნაპოლეონი" 2 ს.
13.50 დრამა „ტელევიქტორინა"
16.10 მულტფილმი „ჯადოსნური მოგზაურობა"
17.35 მხატვრული ფილმი „შავი მწევარი"
19.00, 22.00, 00.00 „დღეს"
19.20, 22.30, 00.30 „ნოვოსტი"
19.30 Пресс-папье
19.40, 22.50, 00.55 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
19.50 მელოდრამა „მღვიმეთა წესები"
21.50 „გალერეა"
22.40 Пресс-папье
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.05, 01.05 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.05 „რა არ ხდება"
01.10 მხატვრული ფილმი „განუმეორებელი ანჟელიკა"
03.20 მხატვრული ფილმი „მღვდლის ცოლი"

## VII არხი

09.10 მელოდია
09.25 „აჩიკუდა"
09.50 „ბედნიერი ერი"
09.55 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
10.20 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი"
11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
12.00 მობილურები
12.45 „ბიორითმი" .
13.05 აუდიო-ვიდეო-ტელე
13.45 კომპიუტერული თამაშები
13.50 დისნეი და მისი მეგობრები
14.15 კომპიუტერული ტექნიკა
18.20 კომპიუტერული ტექნიკა
19.00 „აჩიკუდა"
19.40 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
20.05 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი"
20.45 კომპიუტერული თამაშები
20.55 „ღამის კაპრიზი" - თემა:
21.55 მობილურები
22.45 „კინოკლუბი" - „მთელი სირთულით" მძაფრსიუჟეტიანი.
00.35 აუდიო-ვიდეო-ტელე
01.10 „ბიორითმი".

## ОРТ

07.00 „Доброе утро!"
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15 Сериал „Земля любви, земля надежды"
11.10 Шутка за шуткой
12.05, 19.30, 01.55 „Фабрика звезд-2"
12.35 „Переменка"
13.15 Худ. фильм „ЧЕЛОВЕК В ЖЕЛЕЗНОЙ МАСКЕ"
15.00 „Новый день". „Райский сад"
15.30 „Новый день". Теория невероятности.
16.15 Фигурное катание. Чемпионат мира. Пары. Короткая программа.
16.50 Сериал „Парижский антиквар"
18.00 „Большая стирка"
20.00 Сериал „Земля любви, земля надежды"
21.00 „Основной инстинкт". Ток-шоу.
22.00, 00.30 Время
22.40 Сериал „Антикиллер" 1-я с.
23.45 Церемония вручения наград американской киноакадемии „Оскар-2003"
02.10, 03.10 Комедия „История любви пироманьяка"
04.05 Фигурное катание. Чемпионат мира.

## РТР

06.45 Доброе утро, Россия!
09.45, 21.55 Сериал „Провинциалы"
10.45, 23.00 Сериал „Кобра. Антитеррор"
11.45, 18.20, 20.50, 05.50 Вести. Дежурная часть
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 06.00 Вести
12.20 Ток-шоу „Короткое замыкание"
13.20 Сериал „Лодка любви"
14.15, 17.45 Экспертиза
14.30 Колоссальное хозяйство
14.45 Вести-Москва
15.20 „Что хочет женщина"
16.10 Сериал „Трое против всех-2"
17.15, 05.00 „АГЕНТСТВО ОДИНОКИХ СЕРДЕЦ"
18.50, 03.55 Дорожный патруль
19.05, 00.30 Вести-Спорт
19.20, 21.30 Местное время. Вести-Москва
19.50 Сериал „Комиссар Рекс"
21.50 Спокойной ночи, малыши!
00.00 „Вести +"
00.40 Худ. фильм „Легенда Баггера Ванса"
02.35 Фигурное катание. Чемпионат мира.
04.10 „ТВИН ПИКС"

*პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით*



# რამდენიმე სიტყვა თმის ფერის შესახებ

### ჯენტლმენები ქერა ქალებს ამჯობინებენ


პამელა ანდერსონი


მერლინ მონრო


ბრიჯიტ ბარდო

ანა კორძაია-სამადაშვილი

"ჯენტლმენები ქერა ქალებს ამჯობინებენ", მღეროდა ლეგენდარული მერლინ მონრო. თუ ამ მშვენიერ ქალს არა, სტატისტიკას მაინც ვენდოთ და მაშინ იმის აღიარება მოგვიწევს, რომ დედამიწაზე მცხოვრებ მამაკაცთა 68 პროცენტს ქალის მშვენების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად ქერა თმა მიაჩნია. მეტსაც მოგახსენებთ: თურმე ამ დიდი მასიდან მხოლოდ 11 პროცენტისთვისაა მნიშვნელოვანი, მის რჩეულს ქერა თმა ღმერთმა არგუნა, თუ ოქროსფერ კულულებს ხარისხიან საღებავს უმადლის.

როგორც ჩანს, ამ საკითხში ქალებსაც ესმით მამაკაცებისა: თურმე, ღია ფერის თმის საღებავი შეუდარებლად უკეთ იყიდება, და საერთოდ, ძალიან იშვიათად თუ შეხვდებით ქალს, რომელსაც ცხოვრებაში ერთხელ მაინც არ უცდია, ოქროსთმიანი პრინცესა დამდგარიყო. თურმე, ქერა ქალები ძველ რომშიც კი მოსწონდათ, და ძლიერი სქესის წარმომადგენელთა გულის მოსაგებად რომაელი ქალები "გაქერავებას" თხის ქონითა და ნაცრით ცდილობდნენ, ან არადა, სხვისი, ქერა ქალების თმისგან გაკეთებულ პარიკებს იმხობდნენ ხოლმე მოკლედ შეჭრილ შავ თმაზე.

ქერათმიანთა მომხრეები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ პოდიუმზე მოარულ ქალთა უმრავლესობა ქერაა; რომ ქერათმიან კინოვარსკვლავებს ყველაზე დადებით როლებს აძლევენ – მათ გვერდით გამოჩენილი შავთმიანი ქალი, როგორც წესი, ცუდი ადამიანი გამოდგება ხოლმე.

ქერა თმა წარმატების საწინდარია. თუ არ გჯერათ, სახელმოხვეჭილ ქალებს გადახედეთ. აი, თუნდაც, უამრავი მამაკაცისთვის ყველაზე სასურველი ქალი ავიღოთ – მერლინ მონრო. ოდესღაც ნორმა ჯინ ბეიკერი საშუალო სიმაღლისა იყო, წაბლისფერი თმა ჰქონდა, პუტკუნა სახე და მიამიტი თვალები. მაგრამ თმა შეიღება და ჰოი, საოცრებავ! მსოფლიოს წინაშე "ყველა დროისა და ხალხის სექს-სიმბოლო" წარსდგა. ქერათმიანთა პრივილეგიების დამცველები ამტკიცებენ, რომ ეს ჯადოსნური სახეცვლილება მთლიანად ქერა თმის დამსახურება იყო.

ანდა, მადონა. ექსცენტრული და შესანიშნავი, ცეცხლივით ქალი, მშვენიერი და გამარჯვებული... ადრეული ფოტოსურათები თუ გინახავთ, იმ დროისა, როცა ჯერ კიდევ ლუიზა ჩიკონე იყო? მაშინ შავთმიანი გახლდათ და დიდად არავინ ამჩნევდა. თმა ისე, შემთხვევით გადაიღება, და მაშინ განხორციელდა მისი მუქარა: "დრო მოვა და ჩემს შესახებ მთელი მსოფლიო გაიგებს". ახლა თმას უნდა შავად შეიღებავს და უნდა მწვანედ, ვისი რა საქმეა, მადონა მადონაა.

პამელა ანდერსონის სახელი ხომ საერთოდ, სახსენებელიც არ იქნებოდა, ოქროსფერი თმა რომ არა. ისიც ხელოვნურია, ისევე, როგორც მკერდი. მართალია, მკერდი კვლავ დაიპატარავა – შეაწუხა, მაგრამ თმის ღებვა განაგრძო, და არაფერი დაუკარგავს. პირიქით – მან დანამდვილებით იცოდა, რომ მამაკაცებს ქერა მანდილოსნები მოსწონთ, და წაბლისფერი თმა რომ ჰქონოდა, წელს ვენის ოპერის მეჯლისს არავინ გაახსნევინებდა.

ცხადია, პირიქითაც ხდება ხოლმე: გასული საუკუნის სამოციან წლებში, დაბადებით ქერათმიანმა ჯეინ ფონდამ თმა მუქ ფერად გადაიღება, რადგან მაშინ ვიეტნამელი ხალხის უფლებებისთვის იბრძოდა და, მისი თქმით, "აბა, ვინ მოუსმენდა ქერა ქალს?" ალბათ, ასაკგადასულ ბრიჯიტ ბარდოსაც იგივე აზრი ამოძრავებდა, როცა ძაღლებსა და კატებზე დაიწყო ზრუნვა და წაბლისფრად შეიღება ქერა დალალები.

და აი, დღეს ლონდონი, "ქერათმიანთა დედაქალაქი", ერთბაშად ორი გამოფენისთვის ემზადება. ორივე ლეგენდარული ქერათმიანი ქალებისადმი იქნება მიძღვნილი.

ჯოანა პიტმანი, ერთ-ერთი გამოფენის კოორდინატორი, საკმაოდ პოპულარული წიგნის ავტორია, რომლის სახელწოდებაც კომენტარს არ საჭიროებს: "ქერათმიანთა შესახებ". ჯოანა ამტკიცებს, რომ დროთა განმავლობაში ქერათმიანი ქალების მიმართ დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა: მართალია, ისინი კვლავ მოსწონთ, "ჩერჩეტი ქერა ქალის სახე წარსულს ჩაბარდა. ახლა ხალხი მათ უფრო სერიოზულად აღიქვამს".

პორტრეტების ეროვნულ გალერეაში სახელგანთქმული ბრიტანელი ქალების – პრინცესა დაიანას, ტვიგის, ჯოელი რიჩარდსონის, დიანა დორზის და მარგარეტ ტეტჩერის ფოტოპორტრეტები იქნება გამოფენილი. ექსპოზიციასაც ასე ჰქვია: "ბრიტანეთის ქერა ქალები". ამ საზოგადოებას თუ გადავხედავთ, სიტყვა "სიჩერჩეტე", ცხადია, აზრადაც არ მოგვივა.

მეორე გამოფენას, რომელიც გალერეა Getty Images-ში იხსნება, უბრალოდ, "ქერები" ჰქვია. აქ დამთვალიერებელი ლეგენდად ქცეული ქერა მსახიობების პორტრეტებს იხილავს: ჯენეტ ლის, ბრიჯიტ ბარდოსა თუ მერლინ მონროს ფოტოსურათებს – მართალია, ეს უკანასკნელი დაბადებით ქერა არ ყოფილა, მაგრამ მაინც...


ჯეინ ფონდა

# ცოტა ეროტიკა მეძავებს არ აწყენდათ

მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ხმურიან ქუჩას რიპერბანს, რომელიც 24 საათის განმავლობაში დუღს და გადადუღს, ამერიკელი მხატვარი კიდევ უფრო გააცოცხლებს. ქალაქ ჰამბურგის მუნიციპალიტეტმა ცნობილ ამერიკელ მხატვარს ჯეფ კუნსს რიპერბანის გაფორმება შესთავაზა. ქალაქის ხელმძღვანელობის აზრით, ახალი მხატვრული პროექტი გართობის ბულვარს კიდევ უფრო მეტ მიმზიდველობას მიანიჭებს. მოედნის რეკონსტრუქცია წელს დაიწყება და მომავალი წლისთვის დასრულდება, რასაც 4 მილიონ ევროზე მეტი მოხმარდება: 1,8 მილიონს ქალაქის ბიუჯეტი გაიღებს, 2,5 მილიონს კი კერძო ინვესტორები.

კუნსი სიამოვნებით დათანხმდა პროექტის განხორციელებაზე და გასულ თვეს ჰამბურგს ეწვია, რომ ახლოს გაცნობოდა ლეგენდარულ ადგილს. კუნსი "შპიგელისთვის" მიცემულ ინტერვიუში ამბობს: "ჩამოვედი, რომ პირველი შთაბეჭდილებები ავკრიფო, მინდა თავისებური სიმბოლო შევქმნა, რაღაც ისეთი, რისი ყურებაც ხალხს არასდროს მოსწყინდება".

ჰამბურგის სამშენებლო დეპარტამენტის ხელმძღვანელის მარიო მეტზახის აზრით, პროექტმა ახალი ხიბლი უნდა შესძინოს მოედანს. თავად მეტზახი გერმანიის ერთ-ერთ ყველაზე რეაქციული პარტიის - შილის წევრია, რომელიც უმკაცრეს ზომებს იღებს უცხოელების წინააღმდეგ. მეტზახს ამჯერად არც ის ფაქტი აღელვებს, რომ კუნსმა მსოფლიოში პოპულარობა ეროტიკული ხასიათის ნამუშევრების წყალობით მოიპოვა. "ეროტიკა რიპერბანს ვერ დააზიანებს"- განაცხადა მეტზახმა.

ჯერჯერობით უცნობია ზუსტად როგორი იქნება მოედანი რეკონსტრუქციის შემდეგ - კუნსი ბოლო პერიოდის სტილისტიკას შეინარჩუნებს და ბილბაოში გუგენჰეიმის მუზეუმის წინ დადგმულ 9-მეტრიანი ქუჩის ქანდაკების მსგავსს პროექტს გააკეთებს, თუ ადრეული ნამუშევრების პროვოკაციულ სტილისტიკას გაიხსენებს. მხატვარმა კი ჰამბურგში განაცხადა თეთრი ქაღალდივით სუფთა ვარო. კუნსი პროექტის დამუშავების დასრულებას აპრილის დასაწყისისთვის გეგმავს, რის შემდეგაც ქალაქის ხელმძღვანელობასთან და რაიონის მაცხოვრებლებთან ერთად განიხილავს პროექტს. ის თვლის, რომ რაიონის მაცხოვრებლებს, საშუალება უნდა ჰქონდეთ თვალი ადევნონ პროექტის განხორციელებას და მონაწილეობაც მიიღონ მასში.

სიყვარულის გაყიდვის ხელოვნება რიპერბანზე უმსხვილეს ტურისტულ ღირშესანიშნაობად იქცა. მართალია, ამსტერდამის წითელი ლამპიონების ქუჩა, რიპერბანზე უფრო პოპულარულია, სექს-შოფებით და ნაირ-ნაირი კლუბებით გადაჭედილი რიპერბანი, თავისი ზომებით ამსტერდამის კვარტალს აჭარბებს. ამასთან რიპერბანი საკმაოდ კეთილმოწყობილად გამოიყურება. აქ მდებარეობს სექს-თეატრი "სალამბო". 60-იან წლებში სწორედ რიპერბანზე დაიწყო თავისი კარიერა "ბითლზმა", აქვე, ერთ-ერთ კაბარეში ლივერპულელი ოთხეულის მუზეუმია განთავსებული. რიპერბანზე თავიანთი ოჯახებით გერმანელი ბიურგერები დასათვალიერებლად დადიან ხოლმე, თუმცა, თავად დაწესებულებებში შესვლას არასდროს რისკავენ.









რიპერბანზე

დღეს
სამშაბათს, 25 მარტს



1996 წელი: ბრიტანული ხორცის პროდუქტის ექსპორტი ციმბირის წყლულის გამო მთელ მსოფლიოში აიკრძალა.

1918 წელი: გარდაიცვალა ფრანგი კომპოზიტორი კლოდ დებიუსი.

1924 წელი: მეფე ჯორჯ მეხუთე ტახტიდან გადააყენეს და საბერძნეთი რესპუბლიკად გამოცხადდა.

1957 წელი: გაფორმდა რომის ხელშეკრულება, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ახალი ორგანო - ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა.

1995 წელი: ევროკავშირის შვიდმა წევრმა ქვეყანამ, მათ შორის საფრანგეთმა, გერმანიამ, ესპანეთმა და ჰოლანდიამ გააუქმეს საზღვრის კონტროლი, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ქვეყნებს შორის თავისუფალი მოძრაობა.

2002 წელი: ჩრდილოეთ ავღანეთში მომხდარ მიწისძვრას სულ ცოტა 800 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, უსახლკაროდ დარჩა ათასობით ავღანელი.

© GRAPHIC NEWS



# მშვიდობის მტრედები და პროტესტი გულში

თამარ ბაბუაძე

გუშინ საინფორმაციო სააგენტო "როიტერსი" ირწმუნებოდა, რომ კვირა საღამოს, კოდაკის თეატრში გამართულ "ოსკარის" ცერემონიალზე ყურადღების ცენტრში პოლიტიკა და ომი იდგა. თუმცა, ვინც ამერიკული კინო-აკადემიის ამ პოპულარულ შოუს ადევნა თვალი, ადვილად ირწმუნებდა სულ საპირისპიროს – ჰოლივუდის ბულვარზე 23 მარტს ერაყში დაწყებული ომი მხოლოდ შავი ფერის კაბებს, მკერდზე მიმაგრებულ სამშვიდობო შინაარსის ბროშებს, მტრედების გამოსახულებებს "ახსოვდათ". უფრო ზუსტად, კოდაკის თეატრში შეკრებილი ვარსკვლავები საომარი მოქმედებების გამო უკმაყოფილებას სწორედ ამ "მდუმარე" ატრიბუტიკით გამოხატავდნენ და არა მწვავე პოლიტიკური გამოსვლებით.

მოლოდინი არ გაამართლა არც სიუზენ სარანდონმა – მან პროტესტი მხოლოდ სამშვიდობო პლაკატით იკმარა. პოლიტიკურად ყველაზე მწვავე მომენტი რეჟისორ მაიკლ მურის გამარჯვება აღმოჩნდა. ის სცენისკენ შეთქმული სახით გაემართა და დარბაზი მის ამ ვოიაჟს სცენის მიმართულებით ფეხზე წამოდგომითა და მქუხარე ტაშით შეეგება. ეს დიდი ემოციური მუხტი მიკროფონთან მისულმა მურმა კიდევ უფრო გააძლიერა: **"არავის მოსწონს გამონაგონი ამბები, არადა, სწორედ ასეთ რეალობაში ვცხოვრობთ. გვასაღებენ არჩევნების ყალბ შედეგებს, რომელშიც ყალბი პრეზიდენტი იმარჯვებს. ვცხოვრობთ დროში, როდესაც ლიდერი ომში შეთითხნილი მიზეზების გამო გვიშვებს... ჩვენ ომის წინააღმდეგნი ვართ, ბატონო ბუშ. გრცხვენოდეთ!"**, - ხმამაღლა და ცხარედ საუბრობდა მური, დარბაზისკენ თითს ნამდვილი პოლიტიკური ლიდერივით იშვერდა და საპასუხოდ აუდიტორიიდანაც ემოციურ შეძახილებსა და ტაშს იღებდა.

თუმცა, ტალღას, რომელიც მურმა ააგორა, შტორმი არ გამოუწვევია. ნიკოლ კიდმანი, ედრიენ ბროდი (რომელიც, სხვათა შორის, 29 წლისა და საუკეთესო მამაკაცი მსახიობის ტიტულის ყველაზე ახალგაზრდა მფლობელი გახლავთ), კრის კუპერი მხოლოდ სევდიანად საუბრობდნენ მშვიდობაზე და არც 45-წამიან რეგლამენტს ივიწყებდნენ (ერთადერთი, მშვიდობის გამო ბროდიმ ითხოვა, დროის გაგრძელება). პედრო ალმოდოვარი კი თავის "ოსკარს" უძღვნიდა **"ყველას, ვინც ხმას იმაღლებს მშვიდობის, ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და საერთაშორისო წესრიგის დასაცავად"**.

თავისი ფუნქცია შესანიშნავად შეასრულეს მიუზიკლმა "ჩიკაგომ" (ის 1968 წლის შემდეგ პირველი მიუზიკლია, რომელიც საუკეთესო ფილმი გახდა) და ორსულმა კეტრინ ზეტა ჯონსმა: ფილმმაც და მისმა გმირმაც დარბაზში გამეფებული სევდიანი განწყობა რადიკალურად შეცვალეს. ამას ხელი ზეტა ჯონსის კომენტარმაც შეუწყო. **"ღმერთო, რას მოვესწარი, უელსელ გოგონას "ოსკარს" შოტლანდიელი გადასცემს"**, - ცრემლნარევი ხმით წამოიძახა ზეტა ჯონსმა, როდესაც ექს-ჯეიმს ბონდის, შონ კონერისგან "ოსკარს" იბარებდა და პუბლიკა გულიანად აცინა. თუმცა, ამაში სასაცილო არაფერია. ღიად უნდა ითქვას, რომ ამერიკელების საზოგადოებაში მოხვედრილ ბრიტანელებს ნაციონალური გრძნობა ყოველთვის უმძაფრდებათ და ამას არც მალავენ. უელსელ ზეტა ჯონსსაც ამერიკელებით გადაჭედილ დარბაზში დიდი შოტლანდიელი თანამემამულის გამოჩენა ტყუილად არ გახარებია.

ამერიკული კინო-აკადემიისა და მისი მთავარი ჯილდოს მიმართ ირონია გუშინ არც 70 წლის პიტერ ო`ტულს დაუშურებია. ირლანდიელმა მსახიობმა, რომელიც შვიდჯერ იყო ნომინირებული "ოსკარზე", მაგრამ ვერც ერთხელ მოიპოვა ის, გუშინ ამბობდა: **"მთელი ამ წლების განმავლობაში ყოველთვის ხელისმომკიდე ვიყავი და არასდროს თვითონ პატარძალი. ახლა კი ძლივს საკუთარი "ოსკარი" მაქვს და სიკვდილამდე მას ვერაფერი დამაშორებს"**. თუმცა, ო`ტული მალევე დასერიოზულდა და დასძინა, რომ "ოსკარის" მოპოვება მისთვის პატივი იყო.

გუშინვე გაგრძელდა ლიტერატურულ ნობელზე დაწყებული, ე.წ. ებრაელებისა და ნაცისტების ტენდენციაც – "ოსკარით" დაჯილდოებული პოლანსკის "პიანისტი" სწორედ ამ თემას ეძღვნება, საუკეთესო უცხოური ფილმიც "არსად აფრიკაში" ომამდე გერმანიიდან აფრიკაში გადახვეწილი ებრაული ოჯახის ამბავს მოგვითხრობს. ანუ, როგორც ჩანს, სხვა არანაკლებ მწვავე პოლიტიკური პრობლემატიკით სავსე მსოფლიოში ნაცისტები და გეტო კრიტიკოსებს მაინც ძველებურად აღელვებთ.

ემინემის, კეიტ ბლანშეტის, პოლ ნიუმენის, უილ სმიტის, აკი კაურისმაკის, კაროლინე ლინკის და სხვათა მსგავსად, "ოსკარზე" არ ჩასულა არც ამერიკიდან საფრანგეთში გადახვეწილი, "საუკეთესო რეჟისორის" ტიტულის მფლობელი რომან პოლანსკი (მაგრამ ბუნებრივია, არა საპროტესტო, არამედ პირადი მიზეზით). მის გამარჯვებას აპლოდისმენტებით შეხვდა დარბაზში მჯდომი მარტინ სკორსეზე. თუმცა, ალბათ, დიდი რეჟისორი ნაწყენი დარჩა – ყველა, მათ შორის, პირადად, სკორსეზეც ელოდა, რომ კინო-აკადემია საუკეთესო რეჟისორის ტიტულით მას წელს მაინც დააჯილდოებდა...

დაბოლოს, დასკვნის სახით: "ოსკარზე" პროტესტის ორგვარი ფორმა დაფიქსირდა – იშვიათ შემთხვევაში ხმამაღლა გამოხატული პროტესტი და უმეტესწილად გულში ჩახვეული უკმაყოფილება, რომელსაც გარეგნულად მსახიობთა სამოსზე მიმაგრებული მშვიდობის მტრედები და ბროშები გამოხატავდნენ.

ასე რომ, ნამდვილად არ გამართლდა შიში – წლის ცენტრალური კინომოვლენა არ იქცა დიდ პოლიტიკურ მიტინგად და "ოსკარმა" თავისი სანახაობრივი ღირებულება ბოლომდე შეინარჩუნა.



სამახსოვრო ფოტო

## "ოსკარის" 75-ე ცერემონიალის





| | |
|---|---|
| საუკეთესო ფილმი: "ჩიკაგო" | |
| მსახიობი მამაკაცი: ედრიენ ბროდი, "პიანისტი" | |
| მსახიობი ქალი: ნიკოლ კიდმანი, "საათები" | |
| მსახიობი მამაკაცი მეორეხარისხოვანი როლისთვის: კრის კუპერი, "ადაპტაცია" | |
| მსახიობი ქალი მეორეხარისხოვანი როლისთვის: კეტრინ ზეტა ჯონსი, "ჩიკაგო" | |
| რეჟისორი: რომან პოლანსკი, "პიანისტი" | |
| უცხოური ფილმი: "არსად აფრიკაში", გერმანია | |
| ორიგინალური სცენარი: პედრო ალმოდოვარი, "ელაპარაკე მას" | |
| ადაპტირებული სცენარი: რონალდ ჰარვუდი, "პიანისტი" | |
| ოპერატორული ნამუშევარი: "დაცემის გზა" | |
| მხატვრული დადგმა: "ჩიკაგო" | |
| ორიგინალური სიმღერა: Lose Yourself, ფილმიდან "რვა მილი", ემინემი, ჯეფ ბასი, ლუის რესტო | მაკიაჟი: "ფრიდა" |
| ორიგინალური პარტიტურა: "ფრიდა" | ცოცხალი მოქმედება: This Charming Man (Der Er En Yndig Mand) |
| ვიზუალური ეფექტები: "ბეჭდების მბრძანებელი: ორი ციხე-სიმაგრე" | ანიმაციური სრულმეტრაჟიანი ფილმი: Spirited Away |
| მონტაჟი: "ჩიკაგო" | ანიმაციური მოკლემეტრაჟიანი ფილმი: The ChubbChubbs |
| ხმა: "ჩიკაგო" | დოკუმენტური სრულმეტრაჟიანი ფილმი: "ბოულინგი კოლუმბინისთვის" |
| ხმის მონტაჟი: "ბეჭდების მბრძანებელი: ორი ციხე-სიმაგრე" | დოკუმენტური მოკლემეტრაჟიანი ფილმი: "ტყუპები" |
| კოსტუმების დიზაინი: "ჩიკაგო" | საპატიო ჯილდო: პიტერ ო`ტული |

© GRAPHIC NEWS

## კროსვორდი



NMCP
Netherlands Management Cooperation Programme
ნიდერლანდის მართვის თანამშრომლობის პროგრამა

**მოიწვიეთ თქვენს კომპანიაში ჰოლანდიელი მენეჯერი!**

ნიდერლანდის სამეფოს სამთავრობო პროგრამა მენეჯმენტის განვითარების და თანამშრომლობის დარგში (NMCP), კერძო წარმომადგენლებს გაძლევთ საშუალებას, ერთი ან ორი კვირით, უფასოდ მოიწვიოთ თქვენს ფირმაში გამოცდილი ჰოლანდიელი სპეციალისტი. ჰოლანდიელი ექსპერტი დაგეხმარებათ თქვენი კომპანიის მენეჯმენტის, მარკეტინგის, PR-ის განვითარებასა და სრულყოფაში, ახალი და საქმიანი კონტაქტების დამყარებაში.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ საქართველოში NMCP პროგრამის კოორდინატორს (ტელ: 899-931454). აგრეთვე, შეგიძლიათ მოიპოვოთ ინფორმაცია ინტერნეტის მეშვეობით (www.nmcp.nl). გისურვებთ წარმატებებს.

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24

20%-იანი ფასდაკლება კუპონით

პირველი ელექტრონული ენციკლოპედია საქართველოს შესახებ ინგლისურ ენაზე - "Discover Georgia"
43 ვიდეო რგოლი, 95 აუდიო ნაწარმოები, 3,000 ილუსტრაცია, 100 გვერდი შემეცნებითი
DIGITAL ENCYCLOPEDIA ON GEORGIA




NeoMedia

ადგილზე მიტანით

მხოლოდ 33 ლარად!
დაგვირეკეთ (920162) და შეუკვეთეთ!

# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.